بسم الله الرحمن الرحيم

რელიგიის საქმეთა სამინისტროს გამომცემლობა -801
სახალხო წიგნები - 184
სიბრძნის სერია - 3
გამომცემლობის დირექტორი
დრ. ფათიჰ ქურთი
გამომცემლობის კოორდინატორი
ბუნიამინ ქაჰრამანი
გამომცემელი
პროფ. ჰურიე მართი
საბოლოო რედაქტირება
იუსუფ თურქერი
რედაქტორი
ალთან ჩაფი
გრაფიკა და დიზაინი
ემრე ილდიზი
ბეჭდვა
რელიგიის საქმეთა სამინისტორს ფონდის გამომცემლობა
0312 354 91 31
5. გამოცემა -2021
რელიგიის საქმეთა უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება:
13.01. 2010/03
ისბნ
2020-06-წ-0003-803
ისბნ: 978-975-19-4915-8
სერთიფიკატის ნომერი: 12930
თ.რ. რელიგიის საქმეთა სამინისტრო
კომუნიკაცია
რელიგიური გამომცემლობის გენერალური სამმართველო
ბეჭდვური გამომცემლობის სახელმწიფო სამმართველო
უნივერსიტელერი. დუმლუფინარის ბულვარი
ნომერი: 147/1. 06800. ჩანქაია/ ანკარა
ტელ: 0312 295 72 93-94 ფაქსი: 0312 284 72 88
ელ-ფოსტა: დინიყაყინლარდიყანეტ.გოვ.ტრ
გავრცელება და გაყიდვა
კაპიტალწარმოების სამმართველო
ტელ: 0312 295 71 53- 295 71 56
ფაქსი: 0312 285 18 54
ელ-ფოსტა: diniyayinlar@diyanet.gov.tr

muslim georgia international charity foundation
საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი
وقف مسلمو جورجيا
muslim georgia uluslararası yardımlaşma vakfı
www.muslimgeorgia.org info@muslimgeorgia.org
muslim.georgia.18 muslim.georgia.54
georgiaquran muslim_georgia
muslimgeorgiaquran muslimgeorgia

ზექათის არსი

ერჯან ესერი

მუჰლის აქარი

ანკარა 2021

სარჩევი

წარდგენა 9

წინასიტყვაობა 11

ზექათის სიბრძნისა და მიზნების არსის გაგება 15

ა. ზექათი, მისი გადამხდელის თვალსაზრისით 16

ბ. ზექათი მისი ამღების გადასახედიდან 44

გ. ქონებისა და სიმდიდრის თვალსაზრისით 52

დ. სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზირით 58

ზექათის სამართლის არსი 69

ა. ზექათის პასუხისმგებლობის პირობები 70

ა. მუსლიმი 71

ბ. გონიერი და მოწიფებულობას მიღწეული 72

გ. სიმდიდრე 73

დ. თავისუფლება 74

ა. სრულ კუთვნილებას უნდა გამოხატავდეს 75

ბ. ქონება მატებითი ხასიათის უნდა იყოს 75

გ. ნისაბის რაოდენობა 75

დ. ძირითად მოთხოვნილებას უნდა აღემატებოდეს 76

ე. კუთვნილებიდან ერთ წელი უნდა იყოს გასული 77

ბ. ზექათის ნებადართულობის პირობები 78

გ. ქონება და მისი სახეობები,
რომელიც ექვემდებარება ზექათს 81

დ. ადგილები, სად უნდა მოხდეს ზექათის გადახდა 91

ე. ადგილები და პიროვნებები,
სადაც არ შეიძლება ზექათის გაცემა 101

ზ. ზექათის არგადამხდელთა მდგომარეობა 118

ზოგადი შეფასება და დასკვნა 127

წყაროები 133

წარდგენა

რელიგიის საქმეთა სამინისტრო, როგორც საზოგადოების სულიერი განათლების საკითხში მნიშვნელოვანი წვლილის შემტანი ორგანიზაცია, თავისი დაარსების დღიდან ბეჭდვურ საქმიანობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. სამინისტროს მიერ პირველი გამოცემა დაიწყო 1924 წელს, როდესაც აჰმეთ ჰამდი აქსექის პირველი წიგნი, "მორალის გაკვეთილები" დაიბეჭდა. იმ დღიდან მოყოლებული ამ ორგანიზაციის თაოსნობით რელიგიური შინაარსის წიგნების გამოცემა უფრო და უფრო ვითარდება და გამოცემული ლიტერატურე უფრო მრავალფეროვანია.

სამინისტრო დროთა განმავლობაში საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს ყოველთვის ითვალისწინებდა და სხვა და სხვა გამოცემებს სთავაზობდა, მათ შორის საბავშვო გამოცემები, სახალხო და ა. შ. სამინისტრო ასევე საზოგადოებას სთავაზობდა ილუსტრირებულ და გახმოვანებულ ლიტერატურას. ჯანსაღი სასულიერო განათლების ძირითადი პირობა სწორი ინფორმაციის მიწოდებაა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში მკითხველთა რაოდენობა სასურველი რაოდენობის არ გახლავთ, მატერიალური და ელექტრონული სახით მიწოდებული ლიტერატურა მაინც დღითიდღე იზრდება. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ საკითხების განხილვის ფორმები და წერის მანერა ჯერ კიდევ არ არის იმ დონეზე, რომ მკითხველმა წიგნი ერთი ამოსუნთქვით წაიკითხოს. ჯერ კიდევ იგრძნობა მძაფრი საჭიროება იმისა, რომ წიგნმა მკითხველის სულიერ სამყაროში შეაღწიოს და სასურველი ეფექტი იქონიოს. ადამიანებს სჭირდებათ ცოდნა, რომელიც ღვთისმსახურების ნამდვილ მიზანს გააგებინებს და მისი შესრულებისთვის გულწრფელ მოტივაციას შეუქმნის. სწორედ ამ მიზნითაა მომზადებული მრავალი წიგნი, სადაც ღვთისმსახურებაში არსებული სიბრძნე და მიზანია განხილული.

ყველა ღვთიური დებულება, რომელიც ღმერთმა დაგვიდგინა, ადამიანთა სასარგელოდაა მიმართული და მათი

დაცვა, როგორც ამქვეყნიური, ისე საიქიო ბედნიერებისკენ მიმავალ გზებს გვასწავლის. ყოველ ბრძანებასა თუ აკრძალულში უსასრულო სიბრძნე და სიკეთეა. სწორედ სამყაროს გამჩენია სიბრძნისა და სიკეთის წყარო. მას ტყუილუბრალოდ, უმიზნოდ, უშინაარსოდ არაფერი გაუჩენია. ადამიანებს მხოლოდ ღვთის მიერ ბოძებული უნარებით შეგვიძლია სამყაროს აღქმა და მხოლოდ იმ დოზით, რაოდენსაც თავად გამჩენი გვიწყალობებს.

წინამდებარე ნაშრომი "სიბრძნის სერიიდან" ერთ-ერთია. აღნიშნულ სერიაში მოცემული თემები ღვთისმსახურებას შეეხება და ისინი განხილულია მათში არსებული სიბრძნის თვალსაზრისით, რამეთუ მკითხველმა თითოეული ღვთისმსახურების არსი და შინაარსი გაიგოს. თითოეულ ნაშრომში გამოყენებულია მეთოდი, რომელიც ადამიანთა გრძნობებს ეხმიანება და მათ ფიქრისკენ, აზროვნებისა და შემეცნებისკენ წარმართავს. ამ სერიაში ასევე წარმოდგენილია შემდეგი წიგნები: მონოთეიზმის არსი, ლოცვის არსი, ყურანის გაგება, მსხვერპლშეწირვის არსი და ა.შ.

წინამდებარე ნაშრომში თითოეული სიტყვა მთელი გულისყურითაა შერჩეული და შესაბამისად, იმედი გვაქვს, რომ აქ წარმოდგენილი გზავნილები მკითხველის გულსა და გონებას სწორი ფორმით შეეხმიანება. თანამედროვე ეპოქაში ძალიან რთულია შეიქმნას ისეთი წიგნი, რომელიც მკითხველს აიძულებს "ერთი ამოსუნთქვით" წაიკითხოს, მაგრამ მერწმუნეთ, ჩვენმა მწერლებმა ძალიან მოიმდომეს და ამ სირთულის გადალახვისათვის ყველაფერი გააკეთეს. საბოლოო ჯამში, ადამიანთა გულებისკენ გზას თავად გამჩენი კვალავს და გადარჩენაც მისი უზენაესი ნებაა. ჩვენ კი ვცდილობთ გავაკეთოთ ის, რაც შეგვიძლია. უზენაესს ვთხოვთ, ეს წიგნი სასარგებლო იყოს მკითხველებისთვის და მასში მოცემული გზავნილები მკითხველთა გონებაში სწორად აისახოს.

მცდელობა ჩვენგან, წყალობა კი გამჩენისგანაა.

რეფერენდის საქმეთა საინფორმაციო

წინასიტყვაობა

საოცარი გეგმის შესაბამისად გაჩენილ სამყაროში, რომელიც უნაკლოდ განაგრძნობს ფუნქციონირებას, არ არსებობს არსება, რომლის გაჩენაც გარკვეულ მიზანს არ ემსახურებოდეს. არც საუკეთესო ფორმით გაჩენილი ადამიანია გამონაკლისი. აღსანიშნავია, რომ სურა ზარიათის 56-ე აიათში უზენაესი ალლაჰის გაცხადებული ბრძანება ჩვენი გაჩენის მიზანსა და სიბრძნეს შეეხება, სადაც ალლაჰისადმი მონა-მსახურება ძირითადია. აიათში ვკითხულობთ: „და მე არ გამიჩენია ჯინები და ადამიანები, თუ არა ჩემდამი თაყვანისცემისთვის“.

რაც შეეხება მონა-მსახურებას ანუ ღვთისმსახურებას, ეს არის უზენაესი ალლაჰისადმი წრფელი გულით მიდრეკილება. მნიშვნელოვანია ქმედება, მისი (დიადი გამჩენის) კმაყოფილების მოპოვების მიზნით ხალასი განზრახვით. ბრძანებებისადმი ერთგულებითა და აკრძალვებისგან განრიდებით მასზე უშუალო მორჩილება. რწმენის სიტყვად და საქმედ ქცევა. სხვაგვარად, რომ ვთქვათ ღვთისმსახურება მონა-მსახურებრივი მოვლენაა, რომელიც ადამიანის მთელს ცხოვრებას მოიცავს.

ალლაჰისადმი მსახურება, როგორიცაა ლოცვა, მარხვა, ჰაჯობა, ზექათის გადახდა და სხვა, რელიგიურად გარკვეულ პირობებსა და დროზე გათვლილ ღვთისმსახურებებს მოიცავს. იგი ამავდროულად კეთილი სიტყვისა და საქმის მსგავს მადლის მომტან ქმედებებსაც ითავსებს, რაც საერთო ჯამში ალლაჰის წინაშე ადამიანს ღირებულს ხდის. გამომდინარე აქედან ლოცვა, მარხვა, ჰაჯობა და ზექათი ისლამის ძირითადი ღვთისმსახურებებია. გარდა ამისა, მშობლების, ოჯახის წევრების, მეუღლის, მეგობრის, მეზობლისა და ნათესავებისადმი კეთილ დამოკიდებულებასაც მოიცავს. მონა-მსახურება ასევე ითვალისწინებს ავადმყოფის, მოხუცის, ხანდაზმულის, უნარშეზღუდულის მიმართ როგორც მატერიალურ ასევე სულიერ მხარდაჭე-

რას. ამასთან ერთად ღვთისმსახურების ნაწილად მიიჩნევა გარემოსა და ჰიგიენის დაცვის მიმართულებით ზრუნვა და გზიდან საზიანო დაბრკოლებების მოშორება. გარდა ამისა ღვთისმსახურების ცალკეულ კატეგორიაში შედის; კეთილი სიტყვა, სახემომღიმარობა, მისალმება, ძმური ვალდებულებების სისრულეში მოყვანა, ადამიანებს შორის სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება, მოგების ალალი გზით უზრუნველყოფა, ისლამური პრინციპების შესაბამისად სავაჭრო თუ ეკონომიკური საქმიანობა და ყოველგვარი აკრძალულისა თუ ცოდვისგან განრიდება.

ღვთისმსახურება, მხოლოდ და მხოლოდ უზენაესი ალლაჰისთვის სრულდება. დაუშვებელია, როგორც უზენაესი ალლაჰის გარდა სხვა არსების წინაშე მსახურება, ასევე მისი კმაყოფილების გარდა სხვა მიზნით ღვთისმსახურება.

ღვთისმსახურებები, რომელიც დიადი გამჩენის ხსენების საშუალებაა, (ტაჰა, 20/14) თავდაპირველად მორწმუნეებს უზენაესი ალლაჰის წინაშე ღირსებით აღამაღლებს. (ფურყანი, 25/77) ღვთისმსახურება ადამიანს რწმენის სიმტკიცეს მიანიჭებს, სულიერ ძალას შეჰმატებს და მათ გულებში ალლაჰის სიყვარულს ჩაუნერგავს. მორწმუნეები, რომლებსაც რწმენის ვალდებულებები შესაბამისობაში მოჰყავთ, ღვთისმსახურება მათ ზნეობრივ ჩამოყალიბებაში დაეხმარება და მათ ყოველგვარი ბოროტ ზრახვებს, საზიანო ჩვევებს, მაცდუნებელ სიტყვებს, გასაკიცხ ქმედებებსა და ცოდვებისგან განარიდებს. (ანქებუთი, 29/45). ღვთისმსახურება ადამიანის გულს ბედნიერებას მიანიჭებს და მას სტრესისა და წუხილისგან დაიცავს. (რაღდი, 13/28) ადამიანის ბუნებაში არსებულ ზღვარგადასულობისკენ ორიენტირებულ გრძნობებსა და მიდრეკილებებს დაამუხრუჭებს. მის ცხოვრებას კი დისციპლინასა და სტაბილურებას შესძენს.

ძვირფასო მკითხველო! თქვენს ხელთ არსებულ ნაშრომში შევეცდებით განვიხილოთ და ცალკეულად გავაანალიზოთ ისლამური დოგმატიკის განზომილებებში ზექათის არსი და სიბრძნე, რომელიც დიადი გამჩენის კმაყოფილების ერთ-ერთ პირობას და სხვა ღვთისმსახურებების მსგავსად ცხოვრების მნიშვნელოვან და აქტიურ ნაწილს წარმოადგენს.

ნაშრომის მომზადებისას გამოყენებული იქნა ყურანიდან ამოღებული აიათები, ციტატები, ასევე მოყვანილია ჰადისები, რომელიც ისლამური ლიტერატურის ჰადისთა კრებულებიდან საკითხების შესაბამისად იქნა მოძიებული. შევთხოვ დიად გამჩენს მკითხველისთვის მხოლოდ საუკეთესო სარგებელის მომტანი ყოფილიყოს.

ერეკლე ესერი

ბუდეიმის აქსარი

ზექათის სიბრძნისა და მიზნების არსის გაგება

„და სიამოვნებით აპურებენ უპოვრებს, ობლებს და ტყვეებს. ჩვენ მხოლოდ ალლაჰის კმაყოფილების სურვილით გაპურებთ თქვენ, ჩვენ არ გვსურს თქვენგან საზღაური და არც მადლობა“.
(ინსანი, 76/8-9)

ზექათი, ეს არის მატერიალური ღვთისმსახურება და მას როგორც ინდივდუალური მიმართულებით, ასევე სოციალური თვალსაზრისით ძალიან ბევრი სიბრძნე და მიზანი ახასიათებს. ყველაფერი ამის ცოდნა, აღნიშნული ღვთისმსახურების უკეთ გათავისებასა და მისი წრფელი გულით სისრულეში მოყვანის შესაძლებლობას მოგვცემს. გამომდინარე აქედან, სანამ ზექათის დოგმატურ მხარეს განვიხილავდეთ, მანამდე მასში არსებულ სიბძნეზე შევჩერდეთ. რამეთუ ვალდებულება, რომელიც შესრულებას მოითხოვს, მისი გაცნობიერებულად შესრულება უფრო ეფექტური და საზრიანი იქნება.

ა. ზექათი, მისი გადამხდელის თვალსაზრისით

გარდა იმისა, რომ ზექათი თავისთავად ცალკეული ღვთისმსახურებაა, მისი გადამხდელისთვის როგორც ამქვეყნიური, ასევე საიქიოსთვის დამახასიათებელი უამრავი სარგებელი და სიბრძნე გააჩნია.

1. მონა-მსახურეობრივი ცნობიერების ამაღლება

ზექათი თავდაპირველად მონა-მსახურებრივი საზომია. ვინაიდან ზექათის გადახდის ბრძანება უზენაესი ალლაჰისგან მომდინარეობს, მონა-მსახურის ვალდებულება შემდეგია: „ყოველგვარი მიზეზებისა და რაობის ძიების გარეშე, დიადი გამჩენის მიერ დაკისრებული ვალდებულების სისრულეში მოყვანა. გამომდინარე აქედან, მუსლიმი მორწმუნე ასევე ვალდებულია სიცოცხლის გარანტად წოდებული ქონება და სიმდიდრე გაიღოს მხოლოდ დიადი გამჩენის კმაყოფილების მოსაპოვებლად. რა თქმა უნდა სხვა ყოველგვარი მოსალოდნელი ამქვეყნიური მატერიალური სანაცვლოს გამორიცხვით. ამრიგად ადამიანის გულში არსებული ქონებისადმი ძლიერი სიყვარული დაიმსხვრევა და მის ადგილს უზენაესი ალლაჰის სიყვარული და მისი კმაყოფილების დამსახურების სურვილი, სხვა ყველა სიყვარულს წინ გაუსწრებს.

„რომელნიც გაიღებენ თავიანთ ქონებას ალლაჰის გზაზე, შემდეგ კი რასაც გასცემენ უკან ყვედრებასა და დამცირებას არ მიაყოლებენ, მათი საზღაური თავიანთ ღმერთთანაა, მათ არც შიში ექნებათ და არც არასდროს დამწუხრდებიან“. (ბაყარა, 2/262)

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! არ მოგაცდინოთ თქვენ თქვენმა ქონებამ და შვილებმა ალლაჰის მოხსენიებისაგან, რამეთუ ვინც იქმს ამას, სწორედ ისინი არიან წაწყმედილნი“ (მუნაფიყუნი, 63/9) როგორც მოცემულ აიათშია მინიშნებული, ასეთ დროს ადამიანი ერთის მხრივ ზრუნავს ოჯახზე და მათთვის ალალი სარჩოს მოპოვებისთვის სათანადო საქმეებითაა დაკავებული, მეორეს მხრივ გზას ჩაურაზავს ყოველგვარ ცოდვას, რომელიც ამქვეყნიური ცხოვრების ძირითად მიზანს ავიწყებს და მონა-მსახურებრივ თვითშეგნებას აკარგვინებს. მაშინ იგი გასცემს ზექათს, რომელიც საკუთარ ქონებაში არსებული ღარიბი ადამიანების უფლებაცაა.

2. სარჩოს მბოძებლისადმი მადლიერება

მადლიერება; ეს არის, იცოდე, რომ უზენაესი ყველა იმ წყალობის მბოძებელი, რომელიც შენ გაგაჩნია. ბოძებული წყალობის გამო მისთვის მადლიერების გამოხატვა და სარჩოს ღვთისმსახურების დანიშნულებისამებრ გამოყენება.

მდიდარი ადამიანი, უზენაესი ალლაჰის მიერ ბოძებული უთვალავი წყალობის გამო მისადმი მადლიერებას გამოხატავს. ვინაიდან ადამიანის დიადი გამჩენისადმი მადლიერება მისი ერთ-ერთი მოვალეობაა, რამეთუ მან (ღმერთმა) იგი სიღარიბისა და სიდუხჭირის კლანჭებიდან იხსნა. უზენაესი ალლაჰი მონა-მსახურებისგან ალალი და სუფთა სარჩოთი კვებასა და მისადმი მადლიერებას მოითხოვს. (ბაყარა, 2/172) თუმცა, უამრავი ადამიანი უმადურებას იჩენს, ივიწყებს სარჩოს მწყალებელს და მადლიერების მოვალეობას არ არსრულებს: აიათში ვკითხულობთ, „მაგრამ ჩემს მსახურთა შორის ცოტაა მადლიერი“! (სურა სებე, 34/13)

უზენაესმა ალლაჰმა დედამიწაზე არსებული ყველა არსება ცოცხალი თუ არა ცოცხალი, ყველა ადამიანის სამსახურითვის გააჩინა. აღნიშნული სამსახურის დანიშნულება, ბოძებული წყალობის უზენაესი ალლაჰის ბრძანებისამებრ, მითითებული მიმართულებით შეფასება და მადლიერების გამოხატვაა. რაც შეეხება ბოძებული წყალობის დანიშნულების საწინააღმდეგოდ გამოყენება პირდაპირი მნიშვნელობით უმადურობაა. უზენაესი ალლაჰის გვამცნობს: „განა არ გინახავს ისინი, რომელთაც ალლაჰის სიკეთე უმადურობაზე გაცვალეს“ (იბრაჰიმი, 14/28) მოცემული აიათი მკაფიოდ გამოხატავს, რომ წყალობად ბოძებული სარჩო გამოიყენეს მიზნის საწინააღმდეგოდ და დიადი გამჩენის გზას უღალატეს. უფრო მეტიც, მათ სარჩოს მბოძებლის მიმართ უდიდესი უმადურობა გამოიჩინეს.

უდავოა, რომ წყალობის მიმართ მადლიერების გამოხატვა, ამქვეყნად მას დაიცავს და გაამრავლებს, ასევე საიქიოში მის მფლობელისთვის სამარადისო ბედნიერების მიზეზი გახდება. სარჩოსადმი უმადურობა კი სარჩოს შემცირების ან კიდევ შესაძლოა სრულად დაკარგვის მიზეზი გახდეს.

ადამიანს არ აქვს უფლება მისთვის ბოძებული ქონება თუ სარჩო უპასუხისმგებლოდ და გაუთვლელად გამოიყენოს. დამიანს ბოძებული სარჩოს მადლიერების სანაცვლოდ გარკვეული სახდელი მართებს, რაც მის ხელთ არსებული სარჩოთაგან ყველაზე საუკეთესოს ალლაჰის კმაყოფილების მიზნით გაღებით გამოიხატება. ადამიანის ბუნებიდან გამომდინარეა, რომ როდესაც ის სიმდიდრეს იძენს თავს ძლიერად წარმოიდგენს. იგი ირწმუნებს, რომ ამით ყველაფრის ძალა შესწევს, ან კიდევ ეგონება, რომ თავისი სიმდიდრე მას ამქვეყანაზე მარადიულს გახდის. რაც უფრო მოიმატებს ქონება და სიმდიდრე, მით უფრო უკონტროლო გახდება. აი სწორედ მაშინ მადლიერების გამოხატვის ვალდებულება უნდა გააქტიუროს და აღნიშნული განცდისგან იხსნას. რამეთუ მადლიერი ადამიანი, ითავისებს, რომ დიადი გამჩენის მიერ ამანათად ბოძებული სიმდიდრე, ვალდებულია მიაწვდინოს მათაც, ვისაც თავის სიმდიდრეში უფლება მიუძღვით. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ შუამავალი დავუდი და სულეიმანი უთვალავ ქონებასა და

დიდ თანამდებობებს ფლობდნენ, ისინი ხელთარსებული წყალობის გამო თავმდაბლობას იჩენდენენ, ასევე ცნობილია, რომ მათ დიად გამჩენისადმი მადლიერების ვალი მოიხადეს. (ნემლი, 27/15-19) უდავოა, რომ მადლიერების გამომხატველი ადამიანი საკუთარი თავის სასიკეთოდაა მადლიერი, ხოლო უმადურნი, საკუთარი თავის საწინააღმდეგოდ ცოდვაში ვარდებიან. ალლაჰი ყოვლად მდიდარია, იგი არავის მადლიერებას არ საჭიროებს. თუმცა უზენაესი ალლაჰის ბოძებული წყალობების წინაშე მონა-მსახურებს გამოცდის წინაშე აყენებს. (ნემლი, 27/40)

ჭეშმარიტი სინამდვილეა, რომ ბუნებისეული განსხვევებებით ცხოვრების ფერხულში ჩაბმულ ადამიანებს ერთმანეთის გარეშე არ შეუძლიათ. ბევრ სხვადასხვა საკითხებში იძულებული ხდება მდიდარმა ღარიბს, ძლიერმა კი სუსტს სთხოვოს დახმარება. ვერცერთი მდიდარი ვერ იტყვის, რომ „მე არავინ მჭირდება“. რამეთუ იგი ქონებას იმ ადამიანების შრომით მოიპოვებს, ვინც დასაქმებული ჰყავს. იმის თქმა, რომ „მე მდიდარი ვარ, ფული მაქვს და დავასაქმებ მას, ვისაც მე მოვისურვებ“ რეალობას არ შეცვლის. რადგან იგი დამოკიდებულია მასზე, ვინც უშუალოდ დასაქმებული ჰყავს. არა აქვს მნიშვნელობა სიათკენ ან რა მიმართულებით გავიხედავთ, სოციალურ ურთიერთობებში მსგავს შემთხვევებს უხვად შევხდებით. ამასთან ერთად დავინახავთ, რომ ნებისმიერი ადამიანი, მიუხედავად მათი სურვილისა, სხვების ძალას, ფულს, აზრს და ამაგს საძიროებს. ამიტომაც ნათქვამია, რომ ქალი მამაკაცს, ახალგაზრდა მოხუცს, მშვილდი ისარს საჭიროებს. მოკლედ ადამიანები ერთმანეთს აუცილებლად საჭიროებენ.

მაშ ასე, შეძლებულმა ადამიანმა უნდა გაიაზროს, რომ ხელთარსებულ სიმდიდრეში იმ სოციუმის უფლებები და წილი არსებობს, ვისთანაც ერთად ცხოვრობს. განა შეძლებდა იმ ქონების დაგროვებას რაც ხელთ აბადია, თუკი არ იცხოვრება იმ გარემოში, სადაც ცხოვრობს და იცხოვრებდა მთაში? რა თქმა უნდა ამას მთაში ცხოვრებით ვერ მიაღწევდა. სწორედ ამიტომ, ყველა იმ წყალობის მბძოძებელი ალლაჰისა და იმ საზოგადოების წინაშე, ვისათანაც ერთად ცხოვრობს, მადლიერების ვალის მოსახდელად ზექათის

გადახდასთან დაკავშირებით ღვთიური ბრძანება უნდა შეასრულოს. რამეთუ უთვალავი წყალობის მბოძებელი ალლაჰის წინაშე, ზექათის გადახდა მადლიერების გამოხატულების საუკეთესო მაგალითია. მონა-მსახური ზექათის გადახდით უზენაესი ალლაჰის მიერ ბოძებული ქონებისა და სიმდიდრის წინაშე მადლიერების ვალი გადახდილად ჩაეთვლება.

3. სიძუნწის სენისგან თავის დაცვა

სიძუნწე, ეს არის დასახარჯი ქონების ხარჯვისგან თავის შეკავებით, ქონებისადმი სიყვარულის გამო მისი სხვებისათვის ვერ გამეტება. სხვაგვარად, რომ ვთქვათ სიძუნწე ეს არის, კონკრეტული პიროვნების მიერ კუთვნილი ქონების, მხოლოდ საკუთარი თავის საკეთილდღეოდ ხარჯვა, ხოლოს სხვების სასარგებლოდ სრულიად გამოუყენებლობის გრძნობაა. როდესაც ადამიანი, სიძუნწის გრძნობის მონად იქცევა და მხოლოდ საკუთარ თავზე იფიქრებს, შესაძლოა ყველა სხვა ღირებულება ამ გრძნობას შეწიროს.

ალლაჰის შუამავალი ბრძანებს: „კატეგორიულად გამორიცხულია მმონა-მსახურის გულში სიძუნწემ და რწმენამ ერთად მოიყაროს თავი“. (ნესაი, ჯიჰადი, 8) გამომდინარე აქედან, მორწმუნეები ვალდებული არიან განსაკუთრებით ფლობდნენ ხელგაშლილობის სათნოებას. ყურანში, როდესაც მწყალობელი ღმერთი მონა-მსახურების თვისებების შესახებ საუბრობს, აღნიშნავს, რომ ჭეშმარიტი მორწმუნეები სიძუნწისა და მფლანგველობის მიმართ ფრთხილობენ, ხოლო ხარჯვის დროს ზმოიერებას იჩენენ. ყურანში ვკითხულობთ: „ხოლო რომელნიც, როცა შემოწირულობას გასცემენ, არც ფლანგავენ და არც ძუნწობენ, საშუალოს ირჩევენ მათ შორის“. (ფურყანი, 25/67)

ძუნწები არც ღმერთისთვის არიან საყვარელი პიროვნებები. რამეთუ ისინი არამარტო სიძუნწით გამოირჩევიან, არამედ სხვებსაც მოუწოდებენ ამისთვის. ძუნწების აღნიშნული ხასიათის შესახებ ყურანში ასეა განმარტებული:

„რომელნიც ძუნწობენ და ხალხსაც ძუნწობისკენ მოუწოდებენ; და მალავენ იმას, რაც ალლაჰმა უბოძა მათ თავისი

წყალობისგან! ჩვენ მოვამზადეთ ურწმუნოთათვის დამამ-ცირებელი სასჯელი!“ (ნისა, 4/37)

ყურანში ასევე გაკიცხულნი არიან ისინი, ვინც ობლებსა და ღარიბებს არ აპურებენ. ამასთან ქველმოქმედებას ერთ-ერთ სწორ და იდეალურ ქმედებად მოიხსენიებს:

„ის კი არც შეეცადა დაბრკოლება გადაელახა! იცი თუ არა, რა არის დაბრკოლება? (დაბრკოლების გადალახვაა) მონის გათა-ვისუფლება ან დაპურება გაჭირვების ჟამს ნათესავი ობლი-სა ან გაღატაკებული უპოვრისა“! (ბელედი, 90/11-16)

ამასთან ერთად ალლაჰის შუამავალი სხვადასხვა ჰადი-სებში სიძუნინის შესახებ თანამიმდევრებს აფრთხილებდა. იგი (ს.ა.ს.) ბრძანებს: „სიძუნწეს განერიდეთ, რამეთუ თქვენს უწინარს მყოფნი სიძუნწის გამო განადგურდნენ. სიძუნწემ მათი გაუცემლობისკენ უბიძგა და არც გასცეს. ნათესაური კავშირის გაწყვეტისკენ უბიძგა და გაწყვიტეს კავშირები. (ქონების შეგროვების მიზნით) ცოდვისკენ უბიძგა და ჩაიდინეს ცოდვა. (ებუ დავუდი, ზექათი 46) თემასთან დაკავშირებული სხვა ჰადისები ასე გამოიყურება:

ალლაჰის შუამავალი ბრძანებს: „მჩაგვრელობას განერიდეთ! რამეთუ მჩაგვრელობა განკითხვის დღეს სიბნელით იქნება მოცული. ვნებების ჟინსა და სიძუნწეს განერიდეთ. რამეთუ თქვენს უწინარეს მყოფნი, ჟინისა და სიძუნწის გამო გარდა-შენდნენ. ასეთმა გრძნობამ მათ სისხლისღვრიკენ, ჰარამის ალალად დადგენისკენ უბიძგა. (მუსლიმი, ბირრი, 56) ალლაჰის გაჩენილ ყოველ დღეს ორი ანგელოზი ჩამოვა, რომელთაგან ერთი ასეთ ვედრებას აღავლენს: „ღმერთო ჩემო! ვინც გაიღო ქონება მას უკეთესი მიეცი, ხოლო მეორე წყევლას დაიწყებს: „ღმერთო ჩემო! გაუნადგურე ქონება მას, ვინც სიძუნწე გამო-იჩინა“. (ბუხარი, ზექათი, 27; მუსლიმი, ზექათი, 57)

როგორც ჩანს, ზემოთ მოცემული ჰადისები შინაარსიდან გამომდინარე სიძუნწის გამო განადგურებული ხალხის შესახებაა საუბარი. ვიანიდან, მდიდარი თუ შეძლებული ადამიანები თუკი ქონებას ქველმოქმედებას არ მოახმა-რენ, ზექათითა და მოწყალებით ღარიბებს არ დაეხმარები-ან, ღარიბების სიბრაზესა და შურისკენ უბიძგებენ. თუმცა

ადამიანები ვალდებული არიან ერთმანეთს თანადგომა და დახმარება გაუწიონ. შეძლებული პიროვნებები ზექათის ვალისგან მაშინ გადარჩებიან, როცა მას ღარიბებს გადაუხდიან. ამ დროს კი ღარიბები იმის გამო, რომ შეძლებულებმა მათთამი თანადგომა გამოიჩინეს, მათ მიმართ სიყვარულითა და პატივისცემით განეწყობიან. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც ალლაჰის შუამავლის (ს.ა.ს.) ჰადისშია ნაბრძანები, ასეთი ხალხის განადგურების პირისპირ აღმოჩნდებიან. ისინი სისხლისღვარსა და არასამართლიანად სხვისი კუთვნილის მითვისებას სამართლიანად მიიჩნევენ. მდიდრებსა და ღარიბებს შორის შემოსავლის რაოდენობის მკვეთრი ცვლილების გამო უსამართლობა მოიმატებს.

სიძუნწის ძირითადი მიზეზი, ქონებისადმი უზადო ჟინი და სიღარიბის შიშია. ძუნწს ავიწყდება, რომ იმ უამრავი სიმდიდრისა თუ ქონების ჭეშმარიტი პატრონი უზენაესი ალლაჰია. იმ შიშით, რომ მალე გამოელევა, ღარიბებს ვერ გაუნაწილებს. აღნიშნული მდგომარეობა ყურანში ასეა განმარტებული: „უთხარი: „თქვენ რომ ჩემი უფლის მოწყალების საგანძურს ფლობდეთ, მაინც იძუნწებდით გაღატაკების შიშით, რამეთუ ადამიანი ძუნწია“! (ისრა, 17/100)

ზექათი ხომ ღვთისმსახურებაა, რომელიც კონკრეტულ პიროვნებებს ამქვეყნიური ქონებისადმი ზღვარგადასული სიხარბისა და სიძუნწისგან იცავს. რწმენისა და ქველმოქმედებითი ხასიათის მორწმუნეები, როგორც ქვემოთ მოცემულ აიათშია განმარტებული, საკუთარ თავს რწმენითა და ქველმოქმედებით სიძუნწის სენისგან დაიცავენ. აიათში ვკითხულობთ: „...და უპირატესობას ანიჭებენ საკუთარ თავზე მეტად, თუნდ ესაჭიროებოდეთ. და ვინც სიხარბისგან თავს დაიცავს, სწორედ ისინი არიან ნეტარნი! (ჰაშრი, 59/9)

4. ხელგაშლილობა და სათნოება

ხელგაშლილობა, ეს არის სრულფასოვანი რწმენით მიღწევადი სათნოება. ამ საკითხთან დაკავშირებით ყურანის მინიშნება ასეთია:

„და რომელთაც იმათზე უწინ ბინა ჰქონდათ დადებული და სარწმუნოება მიღებული, უყვართ ვინც გადასახლდა მათთან. გულში არ ივლებენ არანაირ შურს იმის გამო, რაც

იმათ მიეცათ, და უპირატესობას ანიჭებენ საკუთარ თავზე მეტად, თუნდ ესაჭიროებოდეთ. და ვინც სიხარბისგან თავს დაიცავს, სწორედ ისინი არიან ნეტარნი“! (ჰაშრი, 59/9)

მოცემული აიათის ზეგარდმოვლენის საბაბი ქვემოთ მოყვანილ ისტორიაშია მოთხრობილი: თანამიმდევრათაგან ერთი ერთი პიროვნება ალლაჰის შუამავალს ეახლება და მშივრად დარჩენის შესახებ ამცნობს. შუამავალი (ს.ა.ს.) მეუღლეს შეატყობინებს, თუმცა იქედან მოსული პასუხი სახლში არანაირი შეჭამადის არასებობაზე მეტყველებდა. მიუბრუნდება თანამიმდევრებს და ჰკითხავს: „არავინ არის ისეთი, ვინც ამ პიროვნებას ამეღამ უმასპინძლებს? ენსართაგან ერთ-ერთი მათგანი აღნიშნული პიროვნების სტუმრად წაყვანის სურვილს გამოთქვამს და სახლში წაიყვანს. მეუღლეს ეტყვის, რომ ეს პიროვნება ალლაჰის შუამავლის სტუმარია, გთხოვს ყურადღებას ნუ მოაკლებ“. მეუღლემ უთხრა, რომ სახლში არაფერი გაგვაჩნია, გარდა იმისა, რაც ბავშვებისთვის მაქვს შემონახული. ქმარმა დაარიგა: „ბაშვები, როდესაც საღამოს ვახშამს მოითხოვენ, ისინი დააძინე და ლამპაც ჩააქრე. ჩვენ კი ამ ღამეს როგორმე გავუძლოთ. მეუღლე ასეც მოიქცევა. მომდევნო დღეს, ალლაჰის შუამავალი ამ ოჯახს შეაქებს და ბრძანებს: „ამა და ამ პიროვნებების ქმედებებმა უზენაესი ალლაჰის მოწონება დაიმსახურა“. „ბუხარი, მენაქიბულ-ენსარი, 10

მაშ ასე, მორწმუნე ყაირათიანი უნდა იყოს, როდესაც იგი გარკვეული ქონების მფლობელი გახდება სულიერ ძმებს საკუთარ თავზე მეტად უნდა მიანიჭონ უპირატესობა და ხელგაშლილობის ხასიათი უნდა გამოავლინონ. უნდა შეეცადოს სიკეთე ქმნას და სიძუნწისგან თავი შორს დაიჭიროს. რამეთუ ხელგაშლილობა შუამავალთა ზენობისა და სამარადისო გადარჩენის ერთ-ერთი გზაა. ალლაჰის შუამავალი ხელგაშლილობას სამოთხის ხეებს ამსგავსებს, რომელთა ტოტები ძირამდეა ჩამოწვდენილი და გვამცნობს, რომ ვინც მას ჩაეჭიდება სამოთხეში შეიყვანს. ამასთან ერთად შუამავალი (ს.ა.ს.) საუბრობს სიძუნწის შესახებაც და მას დედამიწამდე ჩამოწვდენილ ჯოჯოხეთის ხის ტოტებს ამსგავსებს, შესაბამისად ვინც მას ჩაებღაუჭება ჯოჯხეთში აღმოჩნდება. (ბეიჰაქი, შუაბულ-იმანი, VII, 434 ჰადისის ნომერი: 10875)

იმის გამო, რომ ხელგაშლილობა სიდუხჭირეში მყოფთა სირთულეებიდან გადარჩენის თვისებას ატარებს, შესაძლოა ითქვას, რომ იგი გარკვეული სენისგან განკურნების მატარებელი წამალის მსგავსია. ალლაჰის შუამავალი ბრძანებს: „ხელგაშლილი ადამიანი ალლაჰთან ახლოს, ადამიანებთან ახლოს, სამოთხესთან ახლოსაა, ხოლო ჯოჯოხეთიდან შორსაა. ძუნწი კი ალლაჰისგან შორს, ადმიანებისგან შორს, სამოთხისგან შორს და ჯოჯოხეთთან ახლოსაა. უზენაესი ალლაჰის წინაშე უცოდინარი და ხალგაშლილი პიროვნება, ძუნწ ღვთისმსახურზე უფრო უპირატესია“. (თირმიზი, ბირრი და სილა, 40) ალლაჰის შუამავალი ხარჯვის დროს სიძუნწისგან განრიდებას და ზედმეტად ხელმომჭირნეობისგან თავის შეკავებას გვირჩევს, წინააღმდეგ შემთხვევაში უზენაესი ალლაჰი პიროვნებისთვის ბოძებულ წყალობას შეაჩერებს.

„გამოიჩინე ქველმოქმედება და მხოლოდ დათვლით ნუ დაკავდები, სხვაგვარად ალლაჰი შენთვის ბოძებულ წყალობას დიათვლის და შეგიმცირებს. ფულს ქოთანში ნუ დამალავ, სხვაგვარად ალლაჰიც შენ დაგიმალავს“ (მუსლიმი, ზექათი, 88)

უდავოა, რომ ხელგაშლილობა მხოლოდ უხვად გაცემის მნიშნვენლობით არ უნდა გავიგოთ. ამ შემთხვევაში ხელთ არსებული შესაძლებლობის მიხედვით ბევრი თუ მცირე რაოდნეობით გაცემაა ნაგულისხმები. რაც იმას ნიშნავს, რომ ზედმეტი დოზით ხელმომჭირენეობას არ უნდა ჰქონდეს ადგილი. უამრავი მცირე, თუმცა წრფელი გულით გაცემული მოწყალება, უზენაესი ალლაჰის წინაშე გაცილებით დიდადაა შეფასებული. რაც შეეხება მოწყალებას, რომელიც არაგულწრფელად არის გაცემული, მცირედ ითვლება და შესაძლოა სრულიად არ იქნას მიღებული. მუსლიმი ყოველთვის უნდა ცდილობდეს მოწყალების გაცემას. რადგან მოწყალების თუნდაც მცირე რაოდენობა შესაძლებელია ჯოჯოხეთიდან გადარჩენის მიზეზი გახდეს. ამრიგად ალლაჰის შუამავალი ადამიანისგან, თუნდაც მცირე რაოდენობით, შესაძლებლობის ფარგლებში მოწყალების გაღებას მოითხოვს. „თქვენს შორის ვისაც შეუძლია ნახევარი ხურმით ცეცხლისგან დაიცვას თავი, იგი გააკეთოს. (მუსლიმი, ზექათი, 66)

გულუხვობა ხელგაშლილობის სინონიმია და ანალოგიურად მასშიც სიკეთე და თანადგომაა ნაგულისხმები. ამის მაგალითად შეიძლება შემდეგი საკითხები დასახელდეს: ომში წამსვლელი ჯარისკაცისთვის საჭირო აღჭურვილობაში დახმარება, ღარიბი და მზრუნველობა მოკლებულთა სასარგებლოდ მატერიალურ-მორალური მხარდაჭერა, ვალში მყოფი პიროვნების ვალებისგან განთავისუფლება, ღარიბი და ობოლი ბავშვების გაზრდა, სწავლა და დაქორწინება. ამრიგად შეიძლება ითქვას, რომ ყველა ესენი გულუხვობის მაჩვენებელია.

ალლაჰის შუამავალი ბრძანებს: „ ძუნწისა და გულიხვის მდგომარეობა, მკერდსა და ლავიწის ძვლებს შორის ჯაჭვის პერანგ ჩაცმული ორ პიროვნების მდგომარეობას ჰგავს. გულუხვი როცა წყალობას გასცემს, ტანზედ არსებული ჯაჭვის პერანგი გაფართოვდება, გაიზრდება, ფეხის თითებს მოიცავს და კვალს დაფარავს. რაც შეეხება ძუნწს, როდესაც რაიმეს გაცემას მოისურვებს, ჯაჭვის პერანგის რგოლები კიდევ უფრო შემჭიდროვდება და მოუჭერს. რამდენიც უნდა ეცადოს მის გაფართოებას, წარუმატებელი აღმოჩნდება. (მუსლიმი, ზექათი, 76-77) ამ სიტვებით შუამავალი (ს.ა.ს.) გულხვისა და ძუნწის სულიერ მდგომარეობას აღწერდა. ადამიანი, რომელიც ვინმე ღარიბისთვის დახმარების აღმოსაჩენად გაირჯება, იგი შინაგანად სულიერ სიმშვიდეს იგრძნობს. მაშინ გაიხსნება ჯაჭვის ის რგოლები, რომელიც მას ქონების გაცემის სურვილის დროს უჭერდა. ამრიგან გულუხვი ადამიანი იმდენად დიდ სიხარულსა და სიმშვიდეს იგრძნობს, რომ მისი ეს ბედნიერება მთელს სხეულს მოიცავს. ხოლო ძუნწის ქონებისადმი ჟინი, თანდათან მას უფრო მოუჭერს და მოსვენებას დააკარგვინებს. შესაძლოა წუხილი განიცადოს, იმის გამო, რომ სხვები გასაჭირში იმყოფებიან, მაგრამ სიძუნწე მას უსასყიდლოდ დახმარების ნებას არ მისცემს.

ისტორია, რომელიც ბენიერების ეპოქაში განვითარდა და ახლა მოგითხრობთ, გულუხვობასთან დაკავშირებით საკმაოდ კარგ შეგონებად წარმოგვიდგება. „ერთხელ, როდესაც ალლაჰის შუამავალი ბაირამის ლოცვის შემდეგ იმ მწკვირვში მივიდა, სადაც ქალბატონები ისხდნენ და ისინი

ქველმოქმედების საკითხში დაარიგა, ქალებმა ყურსაკიდე-ბი და სხვა ძვირფასეულობა მაშინვე მოიხსნეს და მოწყა-ლებად გაიღეს. ძვირფასი ბილალი (რ.ა.), რომელიც ალლაჰის შუამავლს თან ახლდა და ქალბატონების მიერ მოწყალებად გაღებულ ძვირფასეულობას კრეფდა, კაბის უბე ძვირფასე-ულობით გაევსო. (ბუხარი, იდეინი, 18; მუსლიმი, სალათულ იდეინი, 4)

სწორედაც ზექათი და ზოგადად უსასყიდლოდ გაღების უნარი ადამიანს ესოდენ ღირსეულ სულიერ ძლასა და სხვე-ბისთვის თავგანწირვის თვითშეგნებას მიანიჭებს. მაშ ასე, თუკი დიადი გამჩენი მონა-მსახურისთვის სიკეთეს ინებებს, მას ადამიანების სიდუხჭირეში დახმარების აღმოჩენისთ-ვის გულუხვობის სათნოებით დააჯილდოებს.

5. გულისხმიერება და შემწყნარებლობა

ზექათი, ეს არის ღვთისმსახურება, რომელიც მონა-მსა-ხურს დიად გამჩენთან აახლოებს და მის გულსა და ქონებას სულიერად წმენდს. ადამიანი, რომელიც გაიღებს ზექათს ეს ნიშნავს, რომ მან მიაღწია იმ წარმატებას, რაც ქონები-სადმი დაჟინებული სიხარბის გამოსწორებაში გამოიხატა. ადამიანი, რომელიც აღნიშნულ სათნოებას მიაღწევს, გა-ნუვითარდება ისეთი თვითშეგნება, რომელიც მას არც ქო-ნების სიუხვით გაათამამებს და არც იმის ხელში ვერ ჩაგ-დება არ დაამწუხრებს, რისი მოპოვების ძლიერი სურვილი ჰქონდა. მისთვის მნიშვნელოვანი ის წყალობა იქნება, რაც უზენაესმა ალლაჰმა საიქიოში მისთვის უნდა მოიღოს. ასე-ვე სწამს, რომ ამქვეყანაზე ცხოვრების დროს გაღებული ქველმოქმედების სანაცვლოდ საიქიოში ამაღლდება. ამ-რიგად, მორწმუნე, რომელიც სულიერებით იქნება აღჭურ-ვილი, შეძლების ფარგლებში დახმარების ხელს გაუწვდის ყველას, ვინც საზოგადოების ღარიბ ფენას მიეკუთვნება. ასეთი ქმედებით სიამოვნებას იგრძნობს და გულის სიმშ-ვიდით აევსება. ამ დროს იგი არანაირ მატერიალურ სარგე-ბელს არ ელის არავისგან, გარდა იმისა რაც მას უზენაესმა აღუთქვა. როდესაც იგი დაინახავს ობოლს, ღარიბს, მშიერ, დაჩაგრულს, სისტსა და სამოსის არ მქონეს მასში გულისხ-მიერების გრძნობა გააქტიურდება. ამრიგად იგი ვერ მო-ისვნებეს მანამ, სანამ მათთან თანადგომას არ გამოიჩენს.

მედინელი ენსართა გულები რწმენით იმდენად თბილი და გასათნოებულიყო გამხდარი, რომ მექელები, რომლებმაც ყველაფერი მექაში დატოვეს და მედინაში გადასახლდნენ, გულში ჩაიკრეს და შესთავაზეს ხელთარსებული ყველა შესაძლებლობის საზიაროდ სარგებლობა. ყურანში მედინელი ენსარების აღნიშნული ქმედება დადებითადაა შეფასებული და შექებული. ყურანში ვკითხულობთ:

„და რომელთაც იმათზე უწინ ბინა ჰქონდათ დადებული და სარწმუნოება მიღებული, უყვართ ვინც გადასახლდა მათთან. გულში არ ივლებენ არანაირ შურს იმის გამო, რაც იმათ მიეცათ, და უპირატესობას ანიჭებენ საკუთარ თავზე მეტად, თუნდ ესაჭიროებოდეთ. და ვინც სიხარბისგან თავს დაიცავს, სწორედ ისინი არიან ნეტარნი“! (ჰაშრი, 59/9)

„ჩვენიანი ვერ იქნება ის, ვისაც მეზობელი მშიერი ჰყავს, თავად კი დანაყრებული დაიძინებს“. (ბეიჰაყი, ეს-სუნენულ ქუბრა, X, 7) მოცემულ ჰადისში საყვარელი შუამავალი (ს.ა.ს.) გულისხმიერი და შემწყნარებლური გრძნობით აღსავსე მორწუნეზე საუბრისას, მიანიშნებდა იმაზეც, რომ ასეთი პიროვნება გაჭირვებაში მყოფ სულიერ ძმას მარტოდ არასდროს მიატოვებს.

ადამიანის გული როცა ლმობიერი იქნება და ქონებისადმი დაჟინებული სიხარბით არ იქნება დამძიმებული, იგი შეძლებს ხელთარსებული ქონება სხვებსაც გაუზიაროს. შუამავალი (ს.ა.ს.) გვახსენებს, რომ უზენაესი ალლაჰი წყალობას მოიღებს იმ ადამიანებზედ, ვინც ერთმანეთის მიმართ შემწყნარებელი იქნებიან. ჰადისში ვკითხულობთ: „შეიწყალეთ დედამიწაზე მყოფები, რათა ზეცაში მყოფებმა თქვენ შეგიწყალონ“. (ებუ დავუდი, ედები, 58)

სწორედ ასეთი თვითშეგნების მქონე მორქმუნეები ერთმანეთისადმი იმდენად მტკიცე და შეუვალნი იქნებიან, რომ ალლაჰის შუამავალი მათ მდგომარეობას მტკიცე ქვებით გადაჯაჭვულ სახლის ურყევ კედელს ამსგავსებს. (ბუხარი, სალათი, 88; ნესაი, ზექათი, 67) ისე როგორც შენობის რომელიმე ნაწილის შესუსტებამ შესაძლოა ბინის სრულად ჩამონგრევა გამოიწვიოს, ასეთივეა მორწმუნის გაჭირვება, იგი და-

ნარჩენს მორწმუნეებს მოსვენებას დააკარგვინებს. აიათში მორწმუნეების ერთმანეთისადმი გულისხმიერებისა და პასუხისმგებლობის შესახებ ასე წერია:

„მუჰამმედი, შუამავალია ალლაჰის. ხოლო მასთან ერთად რომელნიც არიან ურწმუნონის წინაშე მკაცრნი და მოწყალენი ერთმანეთთან მიმართებაში“... (ფეთიჰი, 48/29) მორწმუნე კაცები და მორწმუნე ქალები ერთმანეთის დამხმარენი არიან. უბრძანებენ ერთმანეთს სიკეთეს და უკრძალავენ უკეთურობას, აღავლენენ ლოცვას, გაიღებენ ზექათს და ალლაჰსა და მის შუამავალს ჰმორჩილებენ. სწორედ, მათ შეიწყალებს ალლაჰი. უეჭველად, ალლაჰი ძლევამოსილია, ბრძენია“! (თევბე, 9/71)

ამრიგად ყურანში გაცხადებულია, რომ საიქიოში უზენაესი ალლაჰის წყალობას დაიმსახურებენ ისინი, რომლებმაც ირწმუნეს და ზექათი გაიდაიხადეს. (ეღრაფი, 7/156) ყურანში ასევე გაცხადებულია, რომ ლოცვის აღსრულების, ზექათის გადახდისა და შუამავალზე მორჩილების შემთხვევაში უზენაესი ალლაჰის წყალობას დაიმსახურებენ. (ნური, 24/56) გარდა ამისა ალლაჰის შუამავალი გვამცნობს, რომ ისინი ვინც ზექათს არ გადაიხდიან ალლაჰის მოწყალებისგან შორს აღმოჩნდებიან. ჰადისში ვკითხულობთ: „ხალხი, რომელიც ქონების ზექათს არ გადაიხდის, ზეციდან წამოსული წვიმისგან უგულებელყოფილნი იქნებიან. რომ არაც ცხოველები ისინი წვმას სრულებით ვერ ეღირსებოდნენ“. (იბნი მაჯე, ფითენი, 22)

როგორც ზემოთ მოცემული ჰადისიდან ირკვევა, ადამიანის მიერ ზექათის გადახდა უზენაესი ალლაჰის წყალობის დამსახურების მიზეზი შეიქმნება. ვინაიდან დიადი გამჩენი დედამიწაზე წყალობას მოიღებს იმ მონა-მსახურებზე, რომლებიც შემწყნარებულური და გულისხმიერები იქნებიან. (ბუხარი, თევჰიდი, 25) მტკნარი ჭეშმარიტებაა, რომ პიროვნებები, რომლებიც გულთბილი აირან და სიბრალულის გრძნობით გამოირჩევიან, ზექათისა და თანადგომის საკითხებში ზედმიწევნით ფაქიზები არიან. ისინი შეეცდებიან დაეხმარონ ჩაგრულებს, ობლებსა და მშივრად დარჩენილ ადამიანებს.

მორწმუნის შემწყნარებლობითა და გულისხმიერებით გამსჭვალული გზა, ქონებითა და წრფელი გულით გაღებულ ქელმოქმედებაზე გადის, რომლის სათავეში უმთავრესი ზექათია. თანამიმდევარი, რომელიც ალლაჰის შუამავალთან გულის სიუხეშეს უჩიოდა, მან იგი ასე დაარიგა: „თუ გინდა გული დაგირბილდეს, ღარიბი დააპურე და ობოლს მოეფერე“! (ბეიჰაყი, შუაბულ-იმანი, VII,472)

6. ურთიერთდახმარებისა და თანადგომის თვითშეგნება

ურთიერთ დახმარება, თანადგომა და ურთიერთგაზიარება ეს არის ადამიანის თანდაყოლილი გრძნობა, რომელიც მას სილამაზითა და სიკეთით მოკაზმავს. ამ შემთხვევაში მთავარია თანდაყოლილი გრძნობის განვითარება და აქტიურ ფაზაში მოყვანის უზრუნველყოფა. სწორედ ზექათია ის ძირითადი გამომწვევი ძალა, რომელიც სოციალურ თანადგომასა და და ურთიერთდახმარებას ააქტიურებს. რაც შეეხება სოციალურ თანადგომასა და დახმარებას, ეს არის საზოგადოების მხრიდან იმ ღარიბების, ობლების და დავრდომილების ძირითადი საჭიროების უზრუნველყოფა, რომლებსაც არ შესწევთ შრომისთვის საკმარისი შესაძლებლობა ან ფიზიკური ძალა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სოციალური დახმარება ეს არის, საზოგადოების თითოეულმა წევრმა იცოდეს, რომ მას საზოგადოების წინაშე გარკვეული მოვალეობები და პასუხისმგებლობები აკისრია, რისთვისაც შეძლების გარგლებში უნდა განისარჯოს. ვინაიდან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული უყურადღებობა და არადმიჩნევა საზოგადოებრივი ინსტიტუტის ნგრევას გამოიწვევს, რის უარყოფით შედეგსაც კონკრეტული საზოგადოების თითოეული წევრის განიცდის.

მორწმუნეები ერთმანეთის ძმები არიან და უფრო მეტიც ისინი ერთ სხეულს ჰგვანან. ისე როგორც სხეულის რომელიმე ორგანოს ტკივილს მთელი სხეული ყველა სხვა ორგანო ერთნაირად განიცდის, ისლამურ საზოგადოებაში ერთი ვინმეს ტკივილი, წუხილი და გაჭირვება სხვა ყველა მორწმუნეს ერთიანად შეაწუხებს. გამომდინარე აქედან, მორწმუნეები, რომელთაც კარგი მატერიალური და ფიზიკური შესაძლებლობა გააჩნიათ, გასაჭირში მყოფი ძმის

ტკივლის გაიზიარებენ და დასახმარებლად მობილიზებას გამოაცხადებენ. (ბუხარი, ედები, 27; მუსლიმი, ბირრი, 66) ამრიგად საზოგადოებაში სოციალური თანადგომა და დახმარების თვითშეგნება შეიქმნება.

გამომდინარე აქედან, რომელიმე მორწმუნის მიერ განცდილი დარდი და წუხილი სხვა მორწმუნეებმა უნდა გაიზიარონ. რამეთუ სულიერი ძმის გასაჭირში დახმარების აღმოჩენა, ფინანსური პრობლემის მოხსნა და მათდამი თანადგომის გამოხატვა რამდენიმე აიათსა და ჰადისშია მოწოდებული. მორწმუნე გასაჭირში მყოფს საკუთარ თავზე წინ დააყენებს, ქონებას მის გასახარად გაიღებს და მათგან ყოველგვარი მოლოდინის გარეშე მათი პრობლემების მოგვარებით დაინტერესდებიან. ყურანში ვკითხულობთ: „და სიამოვნებით აპურებენ უპოვრებს, ობლებს და ტყვეებს. ჩვენ მხოლოდ ალლაჰის კმაყოფილების სურვილით გაპურებთ თქვენ, ჩვენ არ გვსურს თქვენგან საზღაური და არც მადლობა“.

ამასთან ერთად მათ მტკიცეს უწყიან, რომ „ის ვინც მორწმუნეს ამქვეყნიურ გასაჭირში დახმარებას აღმოუჩენს, უზენაესი ალლაჰი მას იმქვეყნიურ ერთი გასაჭირისგან გაათავისუფლებს. ის ვინც სიდუხჭირეში მყოფს მდგომარეობას გაუმარტივებს, უზენაესი ალლაჰი მას ამიერ და იმიერ სამყაროში სიოლეს აჩვენებს. ის ვინც მუსლიმის ნაკლს დაფარავს, უზენაესი ალლაჰი ამქვეყნიურ და საიქიო ნაკლოვნებებს დაუფარავს. მანამ, სანამ მორწმუნე მონა-მსახური სულიერი ძმის დახმარებით იქნება დაკავებული, უზენაესი ალლაჰიც იმ მონა-მსახურის დამხმარე იქნება“. (ბუხარი, მეზალიმი, 3; მუსლიმი, ზიქრი 38; ბირრი, 58)

ამასთან ერთად მათ უწყიან, რომ ყველაზე საუკეთესო საცხოვრებელი სახლი ისაა, რომელშიც ობოლი მოიპოვება და მას კეთილად ეპყრობიან. ხოლო ყველას ცუდი სახლია ის, სადაც ობოლს უხეშად და ცუდად ექცევიან. (იბნი მაჯე, ედები, 6)

ბუნებრივია ყველა ადამიანი არ იქნება იმდენად მდიდარი, რომ ზექათი გადაიხადოს. მაგრამ თუკი ზექათის გადახდის არსსა და მნიშვნელობას გაათვითცნობიერებს, შესაძლებ-

ლობის ფარგლებში მასზე უფრო მცირე შესაძლებლობის მქონე ადამიანებს ხელთ არსებულის გაზიარებას შეძლებს. აღნიშნული ცნობიერების მქონე პიროვნება, თუდნაც იმდენად ღარიბი იყოს, რომ ერთი პურის ფულის გაზიარების საშუალებაც კი არ ჰქონდეს, შეუძლია ადამიანებს დაეხმაროს თბილი გაღიმებით, გულის სიღრმიდან ამოსული მისალმებით, მდგომარეობის გამოკითხვითა და ტკბილი სიტყვით. რამეთუ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ქმედებას ალლაჰის შუამავალი მოწყალებად ახასიათებს. (ბუხარი, სულჰი, 11; ჯიჰადი, 72-128; მუსლიმი, ზექათი, 56) უფრო მეტიც ცხოვრებაში არსებობს ისეთი მომენტებიც, როცა უბრალო გაღიმებამაც კი შესაძლოა სასოწარკვეთილ პიროვნებას სიცოცხლე აჩუქოს. ადამიანს წამიერად დაავიწყოს დეპრესია და ოჯახური პრობლემები.

შეძლებული მორწმუნეების უყურადღებობა განსაკუთრებით გარშემო მცხოვრები საზოგადოების შეჭირვებული, ობოლი და სუსტი ადამიანების მიმართ ყურანში მკაცრად არის გაკიცხული. უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: „არამც და არამც! თქვენ თავად პატივს არ მიაგებთ ობოლს, და არ აქეზებთ ერთმანეთს ღატაკთა დასაპურებლად, და მემკვიდრეობას (ალალისა და არამის განუსხვავებლად) ხარბად მიირთმევთ, და გიყვართ ქონება გადაჭარბებული სიყვარულით“. (ფეჯრი, 89/17-20) „აი ის, ვინც ობოლს ხელს ჰკრავს, და არ მოუწოდებს, დააპუროს ღარიბნი“. (მააღუუნი, 107/2-3)

უნდა აღინიშნოს, რომ რა თქმა უნდა ისლამი მატერიალურად შეჭირვებული, ღარიბი და სიდუხჭირეში მყოფთა ცხოვრების უზრუნველყოფა მხოლოდ შეძლებული მორწმუნეების დახმარების იმედად არ დაუტოვებია და მას სოციალურ პრობლემად განიხილავს. გამომდინარე აქედან, ისლამი შეძლებულ მორწმუნეებს მოგებული ქონების 1/40-დის ყურანში განსაზღვრულ, დახმარების საჭიროების მქონე, კატეგორიაზე გადახდას რელიგიურ ვალდებულებად აკისრებს. მაშ ასე, მორწმუნე ადამიანი ხელთარსებულ ქონებას, ისე როგორც ვალდებულების, ასევე მოწყალებისა თუ მოხალისეობრივი დახმარების სახით, თანადგომის საჭიროების მქონე მორწმუნეებს გაუზიარებს და მათი გულების გასახარებლად ყველაფერს იღონებს. ამ მიმართუ-

ლებით ქონებას მხოლოდ ალლაჰის კმაყოფილების გზაზე გაიღებს.

ისტორიის განმავლობაში, მორწმუნეები, რომლებიც ისლამის ამ სინატიფეს ამჩნევდნენ, იმისათვის, რომ ყოფილიყვნენ გამცემი ხელი, დღე-ღამე დაუღალავად ირჯებოდნენ, აწარმოებდნენ, ქმნიდნენ საქველმოქმედო ფონდებს და ყველაფერ აკეთებდნენ იმისათვის, რომ სხვებისთვის სარგებელი მოეტანათ. ყველაზე დიდ ბედნიერებას ღარიბზე დახმარებით, ობოლზე მოფერებით, მზურნველობა მოკლებულთა თანადგომით გრძნობდნენ და ასეთი თვითშეგნებით ეკიდებოდნენ ცხოვრებას. დღეისათვის მსგავსი თვითშეგნების ჩამოყალიბება გაცილებით დიდ მნიშვნელობას წარმოადგენს. მხოლოდ უზენაესი ალლაჰის კმაყოფილების მიზნით გაცემა, ღარიბისთვის, ობლისა და უქონელისადმი ლუკმა პურის სიამოვნებით გაზიარება, ეს ხომ საოცარი განცდაა. მათ ვისაც დახმარების ხელს გაუწოდებენ და ეტყვიან: „ჩვენ მხოლოდ ალლაჰის კმაყოფილების სურვილით გაპურებთ თქვენ, ჩვენ არ გვსურს თქვენგან საზღაური და არც მადლობა“. (ინსანი, 76/9) ყველაფერი ეს სოციალური თანადგომის თვითშეგნების ამაღლებით მიიღწევა, რასაც ჩვენი რწმენის განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

7. ქონებისა და სიმდიდრის ჭეშმარიტი მფლობელი

ქონების ჭეშმარიტი მფლობელი უზენაესი ალლაჰია. გამომდინარე აქედან, ქონების მიმართ მისი ხარჯვის სრული უფლებაც მას ეკუთვნის. რამეთუ ის არის ყოვლისგამჩენი და მასაზრდოებელი. ქვემოთ მოცემულ აიათებში აღნიშნული საკითხი შემდეგნაირად არის განმარტებული:

„ალლაჰისაა მეუფება ცათა და ქვეყნისა და იმის, რაც მათ შორისაა. და მას ძალუძს ყველაფერი!“ (მაიდე, 5/120) ალლაჰი გამჩენია ყველაფრის. და იგია მფარველი ყველაფერსა ზედა. (ზუმერი, 39/62) თქვი: ღმერთო ჩემო, ქონების ბატონპატრონო! უბოძებ ქონებას, ინებებ ვისაც, და ართმევ მას, ინებებ ვისაც, და აამაღლებ, ინებებ ვისაც, და დაამდაბლებ, ინებებ ვისაც; სიკეთე ხომ მხოლოდ შენს ხელთაა, უეჭველად, შენ ყოვლისშემძლე ხარ! (ალი ღიმრანი, 3/26)

როგორც მოცემული აიათებიდან ირკვევა, ადმიანისთვის ბოძებული ქონება უზენაესი ალლაჰის ამანათია და იგი უკან წაიღებს მის მიერ ბოძებულ წყალობას, როცა ინებებს. რამეთუ, უეჭველად ქონების ჭეშმარიტი მფლობელი თავადაა. გამომდინარე აქედან, ამქვეყნიურ ცხოვრებაში არავის აქვს განუსაზღვრელი უფლება ქონების უპასუხისმგებლოდ და უსაზღვროდ მოხმარებისა. შესაბამისად მხოლოდ უზენაეს გამჩენს გააჩნია შესაბამისად ხარჯვისა და სარგებლობის უფლებამოსილება.

აიათში მოცემული სიტყვები, „და აამაღლებ, ინებებ ვისაც, და დაამდაბლებ, ინებებ ვისაც“; არ სინშნავს, მხოლოდ იმას, რომ ადამიანის მიერ ქონებისა და სიმდიდრის ფლობას ან მის ხელიდან გამოცლას, არამედ ნაგულისხმებია ყოველგვარი ფიზიკური ძალა, შესაძლებლობა, უფლება და ძლიერება. რამეთუ ისტორიაში ბევრია მაგალითი უამრავი მმართველის მიერ დაკარგული ძალაუფლებისა და ღარიბ-ღატაკის შემდგომი გამდიდრებისა და თანამდებობის დაკავების შესახებ. ასევე უამრავი, ვინმე ვისაც საზოგადოებაში ერთ დროს სოციოლოგიურად თუ ეკონომიურად არანაირი დაფასება არ ჰქონდათ, ყველაზე უფრო დაფასებულ პიროვნებებად იქცნენ. მაგალითად; ერთ დროს, მექელი წარმართები და მედინელი იუდეველები მუსლიმი საზოგადოების წინაში სიმრავლითა და სიმდიდრით იქებდნენ თავს. მაშინ, როდესაც ისინი ფიქრობდნენ, რომ უპირატესობა ამქვეყნიურ სიმდიდრესა და თანამდებობაში იყო, არანაირი სარგებელი არ მოუტანა ყველაფერ იმან, რასაც ისინი ფლობდნენ. მათ საკუთარი გაღარიბების პროცესის შეჩერება ვერ შეძლეს. რამთუ ჭეშმარიტი უპირატესობა უზნეას ალლაჰს, შუამავალსა და მორწმუნეებს ეკუთვნით.

სიტყვები, რომელსაც მორწმუნეები ტავაფის დროს ამქვეყნიური გრძნობებისგან განწმენდილნი წარმოთქვამენ, გამოხატულია ის, რომ ქონების ჭეშმარიტი განმკარგველი უზენაესი ალლაჰია.

„ღმერთო ჩემო! მივიღე და მოვედი შენი მოწვევის საპასუხოდ. მოვედი შენს წინაშე, რათა აღვასრულო ბრძანება შენი. ღმერთო ჩემო! ვალდებული ვარ მივიღო შენი ყოველი

მოწვევა. შენ არა გყავს მბრძანებლობაში ტოლი და სწორი. ღმერთო ჩემო! მთელი ჩემი არსებით მოვიდრიკე შენსკენ. შენ გეკუთვნის ყოველგვარი დიდება, შენია ყოველი წყალობა, შენია ყოველი სიმდიდრე, ამ ყველაფერში შენ არ გყავს ტოლი და სწორი". (ბუხარი, ჰაჯი, 26)

განკითხვის დღის ერთად-ერთი განმკარგველი და ბატონ-პატრონი, იმას, რომ ყველგვარი ძლევამოსილება მას ეკუთვნის, მონა-მსახურებს ასე გამოუცხადებს:

„იმ დღეს, როცა ისინი აღმოცენდებიან, არაფერი დაიმალება ალლაჰის წინაშე. მაშ, ვისია დღეს მეუფება? უეჭველად, ალლაჰს ეკუთვნის, ერთადერთს, ძლევამოსილს"!

მოკლედ, ის როგორც ჩვენ ვეკუთვნით უზენაეს ალლაჰს, (ბაყარა, 2/156) ასევე თვით უზენაესია, ვისაც ჭეშმარიტად ეკუთვნის ყველაფერი, რასაც ვფლობთ ჩვენ და, რაც ცასა და დედამიწაზე არსებობს. (ალი ღიმრანი, 3/189) იგი, მონა-მსახურებს ნებას რთავს ისარგებლონ და მოიხმარონ ყველაფერი ის, რაც მათ სამსახურში უბოძა. აღნიშნული ნებით სარგებლობის დროს ადამიანი ვალდებულია ისინი მოიხმაროს ისე, როგორც მინდობილი პირი. ადამიანმა ყურადღება უნდა გამოიჩინოს ქვემოთ მოცემული ალლაჰის შუამავლის ჰადისების მიმართებაში და არ უნდა შეაფერხოს ზექათი და მოწყალება, რომელიც ქონებისადმი მნიშვნელოვანი ვალდებულებაა. „გამცემი ხელი ამღებ ხელზე მაღლად დგას". (ბუხარი, ზექათი, 18) „რაოდენ ლამაზია ის ალალი და სასარგებლო ქონება, რომელიც გულწრფელი ვინმეს ხელთაა. (იბნი ჰიბბანი, საჰიჰი, VIII, 6; ჰადისი, 3210) ხოლო ისინი ვინც ქონების ჭეშმარიტ მესაკუთრეებად თვლიან და ალლაჰის გზაზე არ გაიღებენ, ქვემოთ მოცემულ ღვთიურ გაფრთხილებას ყურადღება უნდა მიაქციოს:

„და რა გემართებათ თქვენ, რომ არ გაიღებთ ალლაჰის გზაზე? ალლაჰისაა მემკვიდრეობა ცათა და ქვეყნის". (ჰადიდი, 57/10)

8. დაუოკებელი ჟინის მოთოკვა

ყურანში აშკარად არის აღნიშნული, რომ ადამიანს ქონები-

სა და ფუნუნების მიმართ დაჟინებული და გადაჭარბებული სიყვარული გააჩნია. „(ღადიათი, 100/8) „და გიყვართ ქონება გადაჭარბებული სიყვარულით“. (ფეჯრი 89/20) კიდევ ერთ აიათში მიუთითებს რა ადამიანის ხასიათზე ბრძანებს: „უეჭველად, ადამიანი ხარბ (გაუმაძღარ) არსებად არის გაჩენილი. თუ სიავე მიეწევა მას, იწყებს გოდებას, და თუ კარგი ეწევა, იწყებს ძუნწობას“. (მეღარიჯი, 70/19-21) ამასთან მომდევნო აიათებში ასევეა გასაზღვრულია ადამიანის კატეგორიები, რომლებიც აღავლენენ ლოცვას, ღარიბებს გასცემენ თავიანთი ქონებიდან ზექათს, სწამთ განკითხვის დღისა და შიში გააჩნიათ ღმერთის სასჯელის, იცავენ თავიანთ ნამუსს, იცავენ მათზე მიბარებულ ამანათს და დადებულ აღთქმას, ჭეშმარიტად ადგანან თავიანთ მოწმეობას. სწორედ ესენი დაცული იქნებიან ისეთი ნეგატიური მცნებისა და ქცევებისგან, როგორიცაა ქონებისადმი სიხარბე და დაუოკებელი ჟინი.

ალლაჰის შუამავალი ბრძანებს: „ადამიანს, თუნდაც ორი დაბლობი სავსე ქონება გააჩნდეს, ისე აუცილებლად მესამეს ინდომებს. მის თვალს მხოლოდ მიწა თუ გააძღობს“. (ბუხარი, რიყაყი, 10; მუსლიმი, ზექათი, 116, 119; თირმიზი, მენაქიბი, 32) ამ სიტყვებით იგი ნათლად ასახავს ადამიანის სიხარბით სავსე ხასიათს. გამომდინარე აქედან, საჭიროა ზემოთ აღნიშნული ხასიათი, ყაირათიანობის მსგავსი პოზიტიურ გრძნობით, ყოველგვარ ზღვარგადასულობა და აღვირხსნილობა დაამუხრუჭოს. გარდა ამისა ალლაჰის შუამავალი ქვემოთ მოცემულ ჰადისში მიანიშნებს იმ ზიანის შესახებ, რაც შეიძლება ადამიანს გაუმაძღრობამ და სიხარბემ მოუტანოს. „ქონებასა და თანამდებობას დახარბებული ადამიანი რელიგიას იმაზე უფრო მეტ ზიანის მიყანებს, ვიდრე ცხვრის ფარაში მიშვებული ორი მშიერი მგელი ცხვარს“. (თირმიზი, ზუჰდი, 41; დარიმი, რიყაყი, 21)

აშკარა რეალობაა, რომ სიხარბე და ჟინი, რომელიც არ იქნება სულიერ კონტროლზე აყვანილი, დღევანდელ დღეს უამრავი ადამიანი უზენაესი ალლაჰისგან ბოძებული სარჩოსა და წყალობებისადმი მადლიერებას არ გამოხატავენ. ამასთან ერთად ისინი თავიანთი ქონებიდან, არც სიდუხჭირეში მყოფ ღარიბებს, აძლევენ წილს. გარდა ამისი ისინი ნებისმიერ არასამართლიან გზას მიმართავენ დე შეეცდე-

ბიან მიიღონ, რაც ალალად არ ეკუთვნით, ძალის, გალენისა და ქართამის გამოყენებით, ხელში ჩაიგდონ ის, რის გამოც ამაგი არ გაუწევიათ.

უკონტროლო ჟინი და სიხარბე, არამარტო ზიანს აყენებს ადამიანის რელიგიას, ზნეობასა და ფსიქოლოგიას, არამედ ანგრევს სოციალური თანაცხოვრების წყობასა და ანადგურებს საზოგადოებრივ სიმშვიდის, ძმობის, სამართლიანობისა და თანასწორობის ფასეულობებს. ამასთან ერთად თავისეულ ნეგატიურ კვალს ტოვებს თანადგომისა და ურთიერთგაზიარების პრინციპებზე, რაც საბოლოო ჯამში გზას უკვალავს უსამართლობასა და სხვა უამრავი სახის საფრთხეს.

არსებობს ძალიან ბევრი მდიდარი, რომლებიც ამბიციისა და სიხარბის გამო ქონებას არ უყოფენ სიდუხჭირეში მყოფ ღარიბებს. უფრო მეტიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საჭიროების დროსაც კი არ ხარჯავენ. ამრიგად ისინი მიუხედავად შეძლებულობისა, სიღარიბეში ცხოვრობენ და არც საკუთარ თავს არგიან და არც სხვებისთვის მოაქვთ სარგებელი. ისინი ალალისა და ჰარამის მიუხედავდ, ცდილობენ გაზარდონ და უფრო მეტი ქონება დააგროვონ. ასეთი ფსიქოლოგიის მქონე ადამიანებს ყურანი შემდეგ ნაირად ახასიათებს: „არავის უმასპინძლებენ, არავის მოუწოდებენ ღარიბის დაპურებისკენ, მიუხედავად ალალისა და ჰარამის მემკვიდრეობას მიიღებენ და ქონება გადაჭარბებით უყვართ. (ფეჯრი, 89/17-20) მაგრამ იმ შემთხვევაში თუკი ადამიანები ყაირათიანობის საკითხში კარგად აღიზრდებიან, უკვე კოტროლს დაქვემდებარებული ჟინი მას ზიანს ვეღარ მოუტანს. ასევე მატერიალური და სულიერი მიმართულებით განვითარდება მასზე დადებითად აისახება. რამეთუ ყაირათიანობა ადამიანში არსებულ უადგილო შიშსა და შფოთვას აღმოფხვრის.

გამომდინარე აქედან, როგორც ყურანი და სუნნეთი, ასევე ისლამის ყველა წყარო დაუოკებელი ამბიციისა და მიდრეკილებების დასამუხრუჭებლად პოზიტიური მიმართულების მქონე ზნეობრივ პრინციპებს განიხილავს. მათ შორის მნიშვნელოვანი წვილი მიუძღვის ღვთისმსახურებებს. გან-

საკუთრებით ისლამის ერთ-ერთი ძირითადი პირობის –ზექათის ღვთისმსახურებას ქონებისადმი დაუოკებელ ჟინს გაკონტროლებისა და მოწესრიგების ფუნქცია ახასიათებს.

9. ყაირათიანობის გრძნობა

ყაირათიანობა ეს არის ადამიანის ხელთარსებული წყალობის გამო მადლიერების გამოხატვა და მისი დაჯერება. ყაირათიანობის ანტონიმი დაუკებელი ამბიციაა. იმისათვის, რომ ადამიანი იყოს ყაირათიანი, მან კონტროლში უნდა მოიყვანოს მიდრეკილებები, სურვილები და ამბიციები. ცროვნება, რომელიც ვერ ხდება გაძღომას, ვერ აკონტროლებს მოთხოვნებს, შეუძლებელია მისგან ელოდო ზექათი გადახდას, მოწყალების გაცემასა და ღარიბებზე დახმარების ხელის გაწოდებას. ყაირათიანი ადამიანი კი ზექათის გაცემის დროს არ ფიქრობს იმაზე, რომ ქონება შეუმცირდებას, მშიერი დარჩება და სხვა. იგი გამუდმებით უზენაეს ალლაჰზეა მიდნობილი და სწამს, რომ სარჩოს მბოძებელი მხოლოდ იგია. ამასთან ერთად იგი არც არასოდეს დაიჭერს თვალს სხვის ქონებაზე. ალლაჰის შუამავალი ბრძანებს: „მდიდარი ის არ არის ვისაც ბევრი ქონება აქვს, არამედ ისაა, ვისაც გული აქვს მდიდარი. (ბუხარი, რიყაყი 15; მუსლიმი, ზექათი, 120)

ყაირათიანი მორწმუნე ამქვეყნიური ქონება თუნდაც მცირე ჰქონდეს მაინც ბედნიერია. ვინაიდან გათვითცნობიერებული აქვს, რომ ქონება და სიმდიდრე ადამიანს ჭეშმარიტ ბედნიერებას ვერ უზრუნველჰყოფს. მას ხელიდან გაშვებული შანსები არ დაამწუხრებს და არც მოგებულის სიმრავლე გაათამემებს. (ჰადიდი, 57/23) მას სწამს, რომ ნამდვილ ბედნიერებასა და სიმშვიდეს არათუ ამ ქვეყნად, არამედ საიქიოში იგემებს. ყაირათიან ვინმეს ზედმეტად ვერც ამქვეყნიური წყალობების სილამაზე მოხიბლავს და სარჩოს ალალი და კანონიერი გზებით მოიხვეჭს. იგი არასოდეს იფირქრებს, რომ არაკანონიერი გზით ვინმეს ქონება მიითვისოს და ასეთნაირად დააგროვოს ქონება. არასოდეს დაივიწყებს, რომ ყაირათიანობა ყველა დიდი ხაზინაა. ადამიანი, რომელიც ქონების მოხვეჭის მიზნით ნებისმიერ არასამართლიან გზას მიმართავს, ზიანს მიაყენებს არამარტო

საკუთარ თავს, არამედ სხვებსაც მნიშვნელოვან წილად დაა-ზარალებს. უზენაესი ალლაჰის კმაყოფილების დამსახურე-ბა ყაირათიანობით არის შესაძლებელი. ერთხელ როდესაც თანამიმდევარმა ალლაჰის შუამავალს ჰკითხა, თუ როგორი ქმედებით შეიძლებოდა დაემსახურებინა როგორც ალლა-ჰის, ასევე ადამიანების კეთილგანწყობა და სიყვარული ერთად, მიუგო: „ამქვეყანას გადაჭარბებით ნუ შეიყვარებ, რათა ალლჰმა შეგიყვაროს შენ. ნურც ადამიანების კუთვ-ნილ ქონებაზე დაიკავებ თვალს, რათა შეგიყვარონ მათ. (იბნი მაჯე, ზუჰდი I.)

ის რომ ადამიანი მდიდარია, არ ნიშნავს იმას, რომ ყაირათი-ანი. ალალი გზებით მოგებულ მატერიალურ სიმდიდრეს-თან ერთად, გულიც მდიდარი უნდა ჰქონდეს და ეს იქნება იდეალური. (იბნი მაჯე, ზუჰდი, 9) მაშ ასე, როგორც ზექათის სახით, ასევე მდიდარი ადამიანების მიერ მხოლოდ უზენა-ესი ალლაჰის კმაყოფილების დამსახურების მიზნით, ასევე ღარიბებზე სავალდებულო თუ სურვილისმიერი დახმარება ამოუწურავი ყაირათიანობის გრძნობის განვითარება ადა-მიანში პოზიტიურ კვალს ტოვებს.

10. გულის დაცვა ქონების გადაჭარბებული სიყვარულისგან

ისლამი, როგორც დიადი და სამართლიანი რელიგია, არ მო-ითხვოს, რომ ადამიანმა ყველაფერ ამქვეყნიურსგან პირი იბრუნოს, თუმცა არც არ იმას მიესალმება, რომ პიროვნე-ბამ მთელი სრულყოფილება ამქვეყნიურისკენ მიდრეკილე-ბასა და მიჯაჭვულობას დაუკავშიროს. ამ თვალსაზრისით ისლამი მოითხოვს გაწონასწორებულ დამოკიდებულებას, როგორც ამქვუყნიურის, ასევე საიქიოს მიმართულებით. აღნიშნულთან დაკავშირებით უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„იმით, რაც ალლაჰმა გიბოძა, ისწრაფე საიქიო სამყოფე-ლისკენ, და არ დაივიწყო შენი წილი დედამიწაზე. სიკეთე აკეთე ისეთივე, როგორიც ალლაჰმა მოგმადლა და არ გა-ავრცელო უკეთურობა ქვეყნად, რამეთუ ალლაჰს არ უყ-ვარს უკეთურნი“! (ყასასი, 28/77)

ალლაჰის შუამავალი ბრძანებს: შეუძლებელია თქვენს შორის საუკეთესო იყოს ის, ვინც წუთისოფელზე საიქიოს

გამო, ხოლო საიქიოზე, წუთისოფლის გამო უარს იტყვის. თქვენს შორის საუკეთესო მხოლოდ ის არის, ვინც ორივესგან თავის წილს აიღებს. რამეთუ საიქიოში მისაღწევი გზა წუთისოფელზე გადის. მაშ, ყურადღებით იყავით და ნუ დაანებებით სხვებს ტვირთად. (ქენზულ უმმალი, III, 238, ჰადისი, 6334). ამ სიტყვებით იგი (ს.ა.ს.) მორწმუნეებისგან ამიერ და იმიერი ცხოვრებისთვის გაწონასწორებულ დამოკიდებულებას მოითხოვდა.

ერთ-ერთ აიათში უზენაესი ალლაჰი გვამცნობს: „აღუხატე მათ მაგალითი მიწიერ ცხოვრებაზე. ის წყალსა ჰგავს, რომელიც ჩვენ გარდმოვავლინეთ ზეციდან. ამგვარად მასთან გაზავდა დედამიწის მცენარეები და მერე გარდაიქცა მშრალ ღეროებად, რომელსაც ქარი მიმოფანტავს. ჭეშმარიტად, ალლაჰი ყოვლისშემძლეა“! (ქეჰფი, 18/45) მოცემულ აიათში დიადი გამჩენი გვამცნობს, რომ ეს ქვეყანა მარადიული არ არის, წარმავალი, თვალწარმტაცი ბრწინვალების შემდეგ, იგი უზენაესი ალლაჰის ნებით დაკარგავს ჩვეულ სილამაზე.

გამომდინარე აქედან, წარმავალი ქვეყნის ქონებაზე დახარბება, ადამიანს ამიერ და იმიერ სამყაროში უბედურს გახდის. როგორც აიათშია ყურადღება გამახვილებული –თუკი ადამიანი დაივიწყებს გამჩენს და მისი ბრძანებისამებრ არ გაიღებს, როდესაც ხელთარსებული წყალობა გამოეცლება გახრჯული ფულისა და ამაგის გამო დამწუხრდება, სინანულს გამოხატავს, თუმცა არ მწუხარება და არც სინანული არაფერ მოუტანს. მაგრამ მას, რომ დიადი გამჩენის წინაშე მორჩილება გამოეჩინი და კეთილი საქმე ექმნა, ასეთი შედეგი არ დაუდგებოდა. ვინაიდან, გონივრულად მოქმედ ადამიანს წუთისოფლის შესაძლებლობები ვერ აცდუნებს, მისით არ იამაყებს, ქონებისა და სიმდიდრის სიმრავლით არ გამედიდურდება. იგი უწყის, რომ ამქვეყნიური ცხოვრება საიქიო ცხოვრებასთან მიმართებაში ერთგვარი თამაში და გართობაა. (ჰადიდი, 57/20) არც ის დაავიწყდება, რომ ქონება და შვილები ამქვეყნიური ცხოვრების თვალწარმტაცი საუნჯეებია. (ალი ღიმრანი, 3/14) მაშინ იგი, ყველაფერ იმას, რაც გააჩნია ამიერი და იმიერი ცხოვრებაში გამოიყენოს საშუალო გზის დასაცავად.

ზექათის გაცემა ადამიანს ქონებისადმი გაუმაძღრობისგან იცავს, ამასთან იგი ამიერი და იმიერი ცხოვრების გზაზე ზემოთ ხსენებულ საშუალო დონის დაცვაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. გამომდინარე აქედან, იმ მუსლიმითვის, ვინც ზექათით განწმედს საკუთარ ქონებას, სიმდიდრე მისთვის უდიდესი წყალობაა. ყურანში საუბარია შუამავალზე, (ს.ა.ს.) როდესაც ის ღარიბი იყო და შემდეგში გამდიდრდა. ასევე მას ახსენებს ამქვეყნიურ ქონებას, რომელიც მას წყალობად მიეცა. ქონებისა და სიმდიდრის ფლობა სამარცხვინო რომ ყოფილიყო, დიადი გამჩენი სიმდიდრეს წყალობად არ დაახასიათებდა. მაგრამ თუკი ადამიანი კეთილი საქმის კეთებისთვის, მნიშვნელოვან საშუალებად ბოძებულ ამქვეყნიურ წყალობას მიზანმიმართულად და სწორად არ გამოიყენებს, ისე როგორც მეუღლე და შვილები აიათში გამოცდის საშუალებად არის გაცხადებული, და დადგება დრო, როცა ადამიანს მტრად წარმოუდგებიან, ასევეა ქონებაც, შესაძლოა ისიც ადამიანს მტრად ექცეს. (თეღაბუნი, 64/14-15)

სიმდიდრე ერთ-ერთი საშუალებაა იმისათვის, რომ ადამიანმა საიქიო ცხოვრება დაიმსახუროს. როგორც ვიცით, თანამიმდევრათაგან რამდენიმე მდიდარ მათგანს სიცოცხლეშივე სამოთხეში დამკვიდრების შესახებ ემცნოთ. მათ შორის შეიძლება მოვიხსენიოთ „ხალიფა ოსმანი, (რ.ა.) აბდურრაჰმან ბინ ავფი და ტალჰა ბინ ზუბეირი. ცნობილი სწავლული, მევლანა ჯელალედდინ რუმი, ამქვეყნიურ ქონებასა და ადამიანის მდგომარეობას გემს ადარებს. იგი ამბობს: „წყლის გემის შიგნით არსებობა, გემის განადგურების ტოლფასია. მაგრამ გემის ქვეშ არსებული წყალი გემს გადაადგილებაში ეხმარება. ქონების სიყვარული, რომელსაც ჯელალედდინ რუმი ფართოდ გაშლილ ოკეანეს ადარებს, თუკი ადამიანის გულში დაიკავებს ადგილს, პიროვნებას განადგურებისკენ წაიყვანს. თუმცა როდესაც გემი წყალს, გზის გასაკვალ საშუალებად იყენებს, დასახულ მიზანს მშვიდობით მიაღწევს.

მაშ ასე, ამქვეყნიური ქონების ფლობაში რელიგიურად ცუდი და მიუღებელი არაფერია. თუმცა ქონების ფლობა იკიცხება მაშინ, თუკი არ მოხდება მისი მიზანმიმართულად და ზომი-

ერად გამოყენება. ქონების პატრონი ზექათის გადახდით არამარტო საკუთარ სულს სიხარბის, ქონებისადმი ზედმეტი დოზით დამოკიდებულებისგან განწმენდს, არამედ მატერიის ზეგავლენისგან გადარჩება და ამიერი და იმიერი სამყაროსადმი მიდგომას დააბალანსებს. ვინაიდან პიროვნება, რომელიც ასეთი თვითშეგნებით იქნება განმსჭვალული, შეიმეცნებს, რომ ქონება არ ეკუთვნის მხოლოდ მას და მასში სხვებსაც გააჩნიათ თავიანთი უფლება. ასევე გააზრებული ექნება ისიც, რომ გარდაცვალების შემდეგ ყველაფერს რაც გააჩნდა დატოვებს და დიადი გამჩენის წინაშე მოუწევს პასუხის გაცემა. (ენაღამი, 6/94) საფლავში ისე ხელცარიელი ქონებისა და სიმდიდრის გარეშე ჩავა, როგორც დედისშობილა. მას არასოდეს დაავიწყდება, რომ იმქვეყნად მოეკითხება თუ სად გაატარა ახალგაზრდობა, ქონება რა გზით მოიგო და სად დახარჯა, მოქმედებდა თუარა იმის შესაბამისად, რაც იცოდა. (ბეიჰაყი, შუაბულ იმანი, II, 284; ჰადისი, 1784) ხოლო რაც შეეხება მათ ვინც ქონების მიმართ დაკისრებული პასუხისმგებლობა არ გაითავისეს, განკითხვის დღეს სასჯელს იწვნევენ. (ბეიჰაყი, შუაბულ იმანი, IV, 395; ჰადისი, 5524)

11. ვედრების დამსახურება

მორწმუნეები ისე როგორც დალოცავენ საკუთარ თავს, შვილებს, დედ-მამას, ასევე ერთმანეთისთვისაც ვედრებას აღავლენენ. ქვემოთ მოცემულ აიათში უზენაესი ალლაჰი გვასწავლის თუ როგორი ვედრება უნდა აღვავლინოთ ამ დროს:

„ღმერთო ჩვენო! მომიტევე მე, ჩემს მშობლებს და მორწმუნეებს იმ დღეს, როცა შედგება ანგარიშგება! (იბრაჰიმი, 14/41)

მუსლიმის მუსლიმისთვის ვედრების აღვლენა, მისთვის მოწყალებაა. საკითხთან დაკავშირებით ალლაჰის შუამავალი ბრძანებს: „მუსლიმს, რომელსაც არ გააჩნია მოწყალების გაცემის საშუალება, აღავლინოს შემდეგი ვედრება და ეს მისთვის მოწყალებად ჩაითვლება: „ღმერთო ჩემო! მოიღე წყალობა შენს მონა-მსახურსა და შუამავალზედ (ს.ა.ს.), მორწმუნე ქალებსა და მორწმუნე კაცებზედ, მუსლიმ ქალებსა და მუსლიმ კაცებზედ“. (იბნი ჰიბბანი, საჰიჰი, III, 185, ჰადისი, 903)

მაშინ, როცა მორწმუნეების ერთმანეთისადმი ვედრება ამდენად მნიშვნელოვანია, გასაჭირში მყოფთა მიმართ დახმარება და გულისხმიერებით ხელის გაწოდება, შეძლებული მორწმუნე ძმების მიმართ მათ მიერ აღვლენილი ვედრებას რაოდენ რაოდენ დიდი მნიშვნელობის ძალა ექნება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უზენაესი ალლაჰი მიმართავს საყვარელ შუამავალს (ს.ა.ს.) და ბრძანებს:

„აიღე მათი ქონებიდან მოწყალება, რომ მისით გაასუფთაო და განწმინდო ისინი. და შეევედრე მათთვის, უეჭველად, შენი ვედრება სიმშვიდეა მათთვის. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმსმენია, ბრძენია“!

ალლაჰის შუამავალმა აიათში გაცხადებული აღნიშნული ღვთიური ბრძანება მთელი სისათუთით სისრულეში მოიყვანა, რის შემდეგაც ზექათის გადამხდელი მორწმუნეები თავიანთი სახელებით მოიხსენია და მათთვის ვედრება აღავლინა. (ბუხარი, ზექათი, 64; მუსლიმი, ზექათი, 176; ნესაი, ზექათი, 13)

ალლაჰის შუამავლის ჰადისებში ვედრების აღვლენის მითითება არა მარტო ზექათის ამღებთა მიმართ, არამედ ზექათის გადამხდელთაც შეეხება. ჰადისში ვკითხულობთ: „როდესაც ზექათს გაცემთ, ზექათისგან მადლის თხოვნა არ დაივიწყოთ და ასე შეავედრეთ: „ღმერთო ჩემო! ეს ზექათი დიდი მადლის საშუალებად აქციე და ნუ აქცევ მას სესხად. (მადლის მოლოდნის გარეშე ვინმესთვის ვალის დაბრუნების მსგავსს)“. (იბნი მაჯე, ზექათი, 8)

შეძლებული პიროვნებების მიერ ნამდვილად ღარიბებისთვის გაცემული ზექათისა და მოწყალების ფასეულობა იმდენად დიდია, რომ ასეთი ვინმესთვის არამარტო ალლაჰის შუამავალი, არამედ ანგელოზებიც კი ლოცვას აღავლენენ. ალლაჰის შუამავალი აღნიშნულთან დაკავშირებით გვამცნობს:

„ყოველ დილით ორი ანგელოზი ჩამობრძანდება, რომელთაგან ერთი იტყვის: „ღემრთო ჩემო! მოწყალების გამცემის ქონება სიუხვე უბოძე“ მეორე კი შემდეგს შეავედრებს: „ღმერთო ჩემო! გაუნადგურე ქონება მას, ვინც მოწყალებას არ გასცემს“. (ბუხარი, ზექათი, 27; მუსლიმი, ზექათი, 57)

ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაშიც კიცხავენ მას, ვინც სიკეთის სანაცვლოდ მადლობას არ გადაიხდის. ნურასდროს დაივიწყებ სიკეთეს და იგი გულით ატარე ყოველთვის, თუნდაც ვინმემ მცირე გარჯით გამოხატოს შენს მიმართ. მის მიმართ შენც თავაზიანი იყავი, მადლობა გადაუხადე და მისთვის ვედრება აღავლენე ხოლმე.

ამ თვალსაზრისით ისინი, ვინც დიადი გამჩენის კმაყოფილების დამსახურების მიზნით ზექათსა და მოწყალებას გაიღებენ, ღირსი გახდებიან, როგორ ანგელოზებისა და შუამავლის ვედრებისა, ასევე, გულწრფელად დალოცვენ ღარიბები იმის გამო, რომ სიდუხჭირეში მყოფებს დახმარება აღმოუჩინეს და გაახარეს. ვინაიდან რამდენადაც, ყოველგვარი სანაცვლოს მოლოდინის გარეშე, მხოლოდ დიადი გამჩენის კმაყოფილების დამსახურებითვის გაიღებენ ზექათს, ეს არ ქმნის დაბრკოლებას, რომ ღარიბებმა მისთვის ვედრება აღავლინონ. რამეთუ ადამიანის ბუნება, მისთვის სიკეთისა და დახმარების ხელის გამომწოდებლის მიმართ, „მადლობის გადახდასა და დალოცვას არ დაამადლის.

12. ცოდვებისაგნ განწმენდა და წყალობის დამსახურება

როგორც სხვა, ასევე ზექათის ღვთისმსახურებაც ადამიანისთვის მიტევების, პატიების, ცოდვების გამოსყიდვისა და წყალობის დამსახურების საშუალებაა. აღნიშნული საკითხი ყურანში, სხვადასხვა სურაში შემდეგნაირადაა გაცხადებული:

„აიღე მათი ქონებიდან მოწყალება, რომ მისით გაასუფთაო და განწმინდო ისინი...“ (თევბე, 9/103) „და უეჭველად, აღთქმა აიღო ალლაჰმა ისრაილის შვილთაგან. ჩვენ მოვუვლინეთ მათი წიაღიდან თორმეტი ტომის მეთაური და უთხრა ალლაჰმა: „უეჭველად, მე თქვენთან ვარ, თუ ლოცვას აღავლენთ, ზექათს გაიღებთ, ირწმუნებთ ჩემს შუამავლებს და შეეწევით მათ, ალლაჰს ასესხებთ კარგ სესხს, მე უთუოდ, დავფარავ თქვენს ცოდვებს და უთუოდ, შეგიყვანთ სამოთხეებში, სადაც ძირს მდინარეები მოედინება. და ვინც ამის მერე თქვენგან უარყოფს, უთუოდ, სწორ გზას ამცდარია იგი.“ გარდა ამისა სხვა აიათებში ვკითხულობთ: „წყალობა

ჩემი გარემოიცავს ყველაფერს. მე დავუწერ მას (წყალობას საიქიოში), რომელნიც მოკრძალებულნი იქნებიან, გასცემენ ზექათს და ირწმუნებენ ჩვენს აიათებს. აიათებში ლოცვასთან ერთად ზექთია მოხსენიებული იმ ღვთისმსახურებათა შორის, როცა უზენაესი ალლაჰი თავის ყოვლისმომცველ მოწყალებაზე მიანიშნებს და ადამიანის ცოდვებისგან განწმენდის შესახებ გვამცნობს.

საყვარელი შუამავალი (ს.ა.ს.) მიანიშნებს, რომ ადამიანი, რომელიც ოჯახის, შვილებისა და მეზობლების გამო გამოიცდება, იგი ამ გამოცდას ლოცვით, მარხვით, მოწყალების გაცემითა და სიკეთის კეთებით გადალახავს. შუამავლის სიტყვები იმაზე მიუთითებს, რომ მოწყალების გაცემას ცოდვებისგან განწმენდის, შარისა და უბედურებისგან გადარჩენის თვისება გააჩნია. (ბუხარი, ზექათი, 23) „საკუთარი თავი დაიცავით ცეცხლისგან, თუდაც ეს ნახევარი ხურმით შეიძლებოდეს“. (ბუხარი, ზექათი, 10) ჰადისიში მკაფიოდ არის განმარტებული, რომ მიუხედავად მოწყალების სიდიდისა და სიმცირისა, გაცემული მოწყალება და ალლაჰის გზაზე გაღებული ყოველგვარი სიკეთე, ცოდვების გამოსყიდვისა და პიროვნების ჯოჯოხეთიდან გადარჩენას მიანიშნებს.

ბ. ზექათი მისი ამღების გადასახედიდან

ზექათის ისე როგორც გადამხდელის, ასევე ამღების თვალსაზრისით უამრავი მატერიალურ-სულიერი სიბრძნე და სარგებელი გააჩნია. შევეცდებით აღნიშნული საკითხი ქვემოთ მოცემულ ქვესათაურებში ცალკეულად განვიხილოთ.

1. ზექათის გადამხდელსა და ამღებს შორის ერთგულების ხიდი

ღვთისმსახურებასთან დაკავშირებით შეიძლება ილაპარაკო როგორც ხილულ ასევე უხილავ სიბრძნეებზე. მათ შორის ერთ-ერთი ადამიანებთან ურთიერთობის, სიყვარულისა და პატივისცემის კავშირების ჩამოყალიბებაა. სწორედაც ახლა მოწყალებისა და ზექათის სახით მატერიალური ღვთისმსახურებას განვიხილავთ, რომელიც გადამხდელსა და ამღებს

შორის სიყვარულსა და პატივისცემაზე დამყარებულ ურთიერთობის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. რამეთუ მდიდარი, დახმარების სულიერი ტკბობით სიხარულს, ხოლო ღარიბი მდიდრის მიმართ სიყვარულსა და პატივიცემას განიცდის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქონებით შესურლებული ღვთისმსახურების წყალობით მდიდარსა და ღარიბს შორის პატივიცემის კავშირი ყალიბდება და ერთგულების ხიდი შენდება. ალლაჰის შუამავალი ბრძანებს: „ზექათი ისლამის ხიდია“. (ქენზულ-უმმალი, VI, 293; ჰადისი 15758) მოცემული ჰადისიც ერთის მხრივ აღნიშნულ საკითხს შეეხება.

ზექათის გადამხდელი სიდიდრეს ღვთიურ გამოცდად თვლის და ფიქრობს, რომ დღეს თუ სათანადოდ არ შეაფასებს წყალობას, შესაძლოა ხვალ ხელიდან გამოეცალოს. არასოდეს გვავიწყდება, რომ უამრავი ხალხი იმის გამო რომ მადლიერებას არ გამოხატავდნენ, ხელთარსებული წყალობა ხელიდან გამოეცალათ. მაშ ასე, მდიდარი ისეთი სიკეთით შემოიფარგლება ღარიბის მიმართ, როგორი სიკეთეც დიადმა გამჩენამ მოიღო მისადმი. ზექათის ამღებმა უწყის, რომ აღნიშნული სარჩოს ჭეშმარიტი მწყალობელი უზენაესი ალლაჰია, ხოლო მდიდარი და შეძლებული ადამიანები შუამდგომლები არიან იმ წყალობის მის ხელამდე მიღწევაში, რომელიც მათ მიიღეს. ისინი გარდა იმისა, რომ დიადი გამჩენის მიმართ მადლიერები არიან, პატივისცემასა და სიყვარულით განიმსჭვალებიან მათ მიმართ, ვინც აღნიშნული სარჩო მათთვის გაიღო. ალლაჰის შუამავალი ამ საკითხთან დაკავშირებით ბრძანებს: „გული სიკეთის მქმნელთა მიმართ სიყვარულით აივსება, ხოლო ბორტების მიმართ სიძულვილს განიცდის“. (ბეიჰაყი, შუაბულ ყმანი, VI, 481, ჰაიდის, 8983)მ კიდევ სხვა ჰადისში ვკითხულობთ: „ღვთის მადლიერად არ ჩაითვლება ის, ვინც მადლობას არ გადაუხდის ადამიანებს“. (თირმიზი, ბირრი და სილა, 35)

გამომდინარე აქედან, როგორც ზექათის ამღები, ასევე გადამხდელი, ორივე მათგანს ერთმანეთის მიმართ მადლიერების ვალი მართებთ. რამეთუ შეძლებული ადამიანი, თუკი ვერ იპოვის ისეთ ვინმეს, ვისაც შეიძლება მიეცეს ქონების მოწყალება, იგი ვერ მოიყვანს სისრულეში იმ სავალდებულო ბრძანებას, რაც უზენაესმა დააკისრა. ამიტომაც ღარი-

ბი ადამიანების არსებობა, ამ შემთხვევაში მდიდრისთვის ერთობ წყალობად ითვლება. ღარიბთა არსებობა მათთვის ქონებისადმი დაკისრებული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ერთგვარი შესაძლებლობაა. მრიგად სიდუხჭირეში მყოფნი კი მდიდრების წყალობით, უზენაეს ალლაჰის მიერ მათთვის მინიჭებულ ხვედრით წილს მიიღებენ.

2. ზექათის ამღების საჭიროების უზრუნველყოფა

ადამიანს სურს ამქვეყნად მშვიდად, უდარდელად და ბედნიერად იცხოვროს. ამისათვის შრომობს, ირჯება და ცდილობს დაიკმაყოფილოს ცხოვრებისთვის საჭირო პირობები. მაგრამ ხდება ისეც, რომ ზოგჯერ გარკვეული მიზეზების გამო ადამიანს არ გააჩნია მუშაობის შესაძლებლობა. ზოგი კიდე მიუხედავად იმისა, რომ შრომის შესაძლებლობა გააჩნია, სარჩოს ალალი გზით უზრუნველსაყოფად შესაბამის სამსახურს ვერ შოულობს. ან კიდევ მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული სახის სამუშაო გააჩნია, ოჯახის საყოფის სარჩოსა და შემოსავალს ვერ უზრუნველჰყოფს, რის გამოც ადამიანი უამრავი სირთულის პირისპირ დგება. სწორედ ამ დროს უზენაესი ალლაჰი მდიდარ ადამიანს გულში დახმარების გრძნობას შთააგონებს, მის გულს გულისხმიერებითა და მოწყალეობის გრძნობით აღავსებს. ამისათვის დიადი გამჩენი მონა-მსახურებრივი ვალდებულების სისრულეში მოყვანის მიზნით, მდიდრებს სიდუხჭირეში მყოფთათვის ზექათის გადახდას დააკისრებს, რომელსაც ისინი წრეფლი გულით სისრულეში მოიყვანენ. ამრიგად პიროვნება, ვისაც მიეცემა ზექათი, იგრძნობს, რომ საზოგადოებისგან არ არის გარიყული და ხალხი მას სრულ თანადგომას უცხადებს. იგი ზექათისგან მხოლოდ იმ ნაწილს აიღებს, რამდენის მას სჭირდება, დანარჩენს კი მაღალზენობრივობის გამო არ აიღებს. გულით მდიდარს სწამს, რომ უზენაესი ალლაჰი მას გაამდიდრებს. (ქენზულ უმმალი, VI, 503; ჰადისი, 16726/16727) აღნიშნული მდგომარეობა ვნების აღზრდაზეც კი სერიოზულ სარგებლებს მოუტანს. როგორც ამღების, ასევე ზექათის გადამხდელის გულში სიმშვიდესა და სიხალვათეს წარმოშობს. ისე, როგორც ზექათის გადამხდელი ხორციელ ვნებებს აღზრდის, მას სულიერი უსუფთაობისგან განწმენდს. ამასთან ერთად ზექათის ამღებს,

უსამართლო შემოსავლისა და მათხოვრობის მსგავს ღირსების შემლახავ ქმედებებისგან დაიცვას. რადგან ზექათის ერთ-ერთი სიბრძნე და მიზანი ის არის, რომ საუკეთესო ფორმაში გაჩენილ ადამიანს ღირსების შემლახავი ქმედება-მათხოვრობის პრობლემა, თავიდან აიცილოს.

ზექათის გადამხდელნი აღნიშნული ვალდებულების სისრულეში მოყვანის დროს უზენაესი ალლაჰის ბრძანების შესაბამისად იმოქმედებენ და შეეცდებიან ისეთი პიროვნებები იპოვონ, ვინც ნამდვილად საჭიროებს დახმარებას: აიათში ვკითხულობთ: „

ღარიბთათვისაა (მოწყალება), რომელთაც თავი მიუძღვნეს ალლაჰის გზას და არ შეუძლიათ შემოიარონ დედამიწა (ივაჭრონ და მოიგონ). უვიცთ მდიდარნი ჰგონიათ ისინი მათი თავმდაბლობიდან გამომდინარე, შენ გამოიცნობ მათ მათივე სახეებიდან, მოწყალებას არ სთხოვენ ხალხს დაჟინებით. და რა სიკეთესაც გაიღებთ, უეჭველად, იცის ის ალლაჰმა. (ბაყარა, 2/273) ვინაიდან ზრდილობიანი და მორცხვი ადამიანები უქონლობას ვერ გამოხატავენ და სხვებისგან ადვილად რაიმეს ვერ ითხოვენ.

ამრიგად ალლაჰის შუამავალი ბრძანებს: მე ვისაც საკუთარი სურვილით გულწრფელად რაიმეს მივცემ, მის ბარაქიანობას იხილავს. ხოლო თუკი იმის გამო მივცემ, რომ მათხოვრობს ან სიხარბეს იჩენს, ის გაუმაძღარი ვინმეს მსგავსი იქნება. (მუსლიმი, ზექათი, 98) კიდევ ერთ ჰადისში ვკითხულობთ, რომ დაჟინებით მთხოვნელი მიღებული ქონების ბარაქიანობას ვერ იხილავს, და ამ საკითხთან დაკავშირებით ალლაჰის შუამავალი თავის თემს აფრხილებს. რამეთუ მათხოვარ ვინმეს საკუთარ თავში არსებული სინდისისა და სირცხვილის გრძნობა დაკარგული აქვს. ასეთი პიროვნებების მიერ მათხოვრობით მოპოვებული ქონება, საიქიოში სასჯელის მიზეზი გახდება. (ბუხარი, ზექათი, 51; მუსლიმი, ზექათი, 104-105)

მაშ ასე, ზექათის ამღები ადამიანი ხელმომჭირნე უნდა იყოს. ადამიანებისგან არაფერს უნდა მოელოდეს. მაშინ როცა საარსებო სარჩო გააჩნია არ უნდა იმათხოვროს. ვინაიდან ისლამში მიზანი არათუ ქონების შეძენა, არამედ

ქონება მხოლოდ საშუალებაა უზენაესი ალლაჰის კმაყოფილების შესაბამისი ცხოვრების წარსამართავად.

3. შურისა და გაუტანლობის ჩახშობა

უზენაესი ალლაჰი წყალობას მონა-მსახურებს შორის გარკვეული რაოდენობით თავადვე ანაწილებს. (ზუჰრუფი, 43/32) ზოგს უხვად უწყალობს და ამქვეყნიური სარჩოთი უხვად ასარგებლებს. ზოგს კიდე მცირედს მიცემს. მაგრამ ეს ყველაფერი ღვთიური სიბრძნის შესაბამისად განისაზღვრება. (ნაჰლი, 16/71)

იმ შემთხვევაში თუ ადამიანებს თანაბრად ექნებოდათ ქონება და სიმდიდრე, ერთმანეთისადმი თანადგომას არ ჩათვლიდნენ საჭიროდ, არ იქნებოდა უამრავი სახის პროფესიები თუ საქმიანობები და მატერიალურ-სულიერ სფეროში არანაირი ზრდა-განვითარება არ მოხდებოდა. გარდა ამისა ადამიანები მარტოდ იცხოვრებდნენ და მათ შორის არ იქნებოდა სიყვარულსა და პატივისცემაზე დაყრდნობილი ურთიერთობები.

ადამიანი, რომელიც ამქვეყნიურ წყალობებს იმდენად ვერ ეუფლება, რამდენის სურვილიც გააჩნია, მან თვალი არ უნდა დაიკავს სხვის სიმდიდრეზე და ხელთარსებულით უნდა დაკმაყოფილდეს. ამასთან ერთად სხვისი ქონების სიუხვე არ უნდა შეშურდეს და მისადმი სიძულვილითა და გაუტანლობით არ უნდა განიმსჭვალოს. ქონების მფლობელი კი სიმდიდრემ არ უნდა გათამამოს, სხვის შესაშურად ღვთის მიერ ბოძებული წყალობა არ უნდა ხარჯოს. გარდა ამისა ღარიბები სიძულვილსა და გაუტანლობისკენ არ უნდა წააქეზოს. ამასთან ერთად უნდა იცოდეს, რომ მის ხელთ არსებული სიმდიდრე წარმავალია და ულევი წყალობა შესაძლოა ადამიანს მხოლოდ საიქიოში ერგოს წილად. ასეთი ცნობიერებით უზენაესი ალლაჰის ბრძანების თანახმად ხელთარსებული ქონებიდან ზექათისა და მოწყალების სახით უპოვართ გაუნაწილებს, მათი გულების მოგებას ცხოვრების პრინციპად დაიდგენს.

რაღა თქმა უნდა თუკი მდიდარი და შეძლებული ადამიანები არ გადაიხდიან ზექათს, არ დაეხმარებიან ისეთ ღარიბებს,

რომელთა საარსებო საშუალება არ გააჩნიათ, თანადგომას არ გამოიჩენენ მათი პრობლემის მოგვარების მიმართულებით, მდიდარი ადამიანებისადმი მათ სიძულვილსა და გაუტანლობას წინ ვერ აღუდგებიან. აღნიშნული თვითშეგნების მქონე საზოგადოებაში ღარიბებსა და მდიდრებს შორის, ისტორიულად ცნობილია დაპირიპირებები როცა შეძლებულები უპოვრებს საკუთარი შემოსავლებიდან სარგებლობის საშუალებას არ აძლევდნენ. სისხლიანი დაპირისპირებისა და მოვლენების დიდი ნაწილის მიზეზი ქონება იყო, რომელსაც მდიდრები ფლობდნენ, ხოლო ღარიბები არა.

დღესაც კი ღარიბ ქვეყნებში უთანასწორო შემოსავლების გამო ღარიბი ფენის მიერ მდიდრებისადმი განცდილი სიძულვილი და გაუტანლობა დროდა დრო ქონების ძარცვაში ან მოპარავა-განადგურებაში გადაიზრდებოდა ხოლმე.

სწორედაც ზექათი და მოწყალება პიროვნებებს შორის ძმობას, მოთმინებას, ხელთარსებულით კმაყოფილებას და სხვა მსგავს ლამაზ ზნეობას ასწავლის. ამრიგად ადამიანთა შორის აქრობს მტრობისა და გაუტანლობის გრძნობას, რაც შემდეგში არ აძლევს მდიდარს სიამაყის საშუალებას, ხოლო ღარიბის მდიდრისადმი შურითა და სიძულვილით მოცულ დამოკიდებულებას.

4. მოგება შრომის შედეგად და წახალისება პროდუქტიულობის მიმართ

ისლამში ზექათის გადამხდელუნარიანობა, დიადი გამჩენის წინაშე მის აღებაზე უფრო უმჯობესია. ალლაჰის შუამავალი ბრძანებს: „გამცემი ხელი ამღებ ხელზე უფრო უკეთესია“. (ბუხარი, ზექათი, 18; მუსლიმი, ზექათი, 94; თირმიზი, ზექათი, 38) ამ თვალსაზრისით, მორწმუნე, რომელიც უფრო მაღალ საფეხურზე ამაღლებას ისრუვებს, შეეცდება ზექათის გადახდის ცნობიერებით ალალი შრომი მოგებას, პროდუტიულობას და ნებადართული გზებით ქონების შეძენას. ალლაჰის შუამავალი როდესაც ორ შესაშურ ადამიანზე საუბრობდა დასძენდა:

„შესაძლოა მხოლოდ ამ ორი ადამიანის შეგშურდეს: პირველი ის, ვისაც დიადი გამჩენი სიმდიდრესა და ქონებას უბო-

ძებს და იგი ამ ქონებას სათანადო ადგილებში გახარჯავს, ხოლო მეორე იმისა, ვისაც დიადი გამჩენი სიბრძნით გამოარჩევს და იგი ცოდნის შესაბამისად განაჩენს გამოიტანს და თავის ცოდნას სხვას გაუზიარებს“. (ბუხარი, ზექათი, 5; მუსლიმი, სალათულ მუსაფირინი, 268)

როგორც ჩანს ორი შესაშური პიროვნებისგან ერთ-ერთი ისაა, ვინც დიადმა გამჩენა ალალი გზებით მოგებული ქონებით გაამდიდრა. რამეთუ აღნიშნული სტატუსის მქონე ადამიანი, ხელთ არსებულ შემოსავალს უზენაესი ალლაჰის კმაყოფილების მიზნით, როგორც ზექათის ასევე, მოწყალები სახით რელიგიის მიერ რეკომენდირებულ ადილებში დახარჯავს. მას კარგად ექნება გათავისებული ის პასუხისმგებლობა, რაც ქონების გამო ეკისრება. კარგად გათვლის იმასაც, რომ მისთვის ამანათის სახით ბოძებული სიმდიდრე, სად და როგორ უნდა გახარჯოს. მეორეს მხრივ რაც შეეხება ზექათის ამღები, როდესაც მისთვის ზექათის გამახდელს დაინახავს მის მიმართ თეთრი შურით განეწყობა და თავადაც ყველაფერს იღონებს იმისათვის, რომ ზექათის გადამხდელთა რიგებში აღმოჩნდეს და ალალი გზებით სიმდიდრის მფლობელი გახდეს. უდავოა, რომ ასეთი მსოფლმხედველობა ზექათი ამღებ ადამიანებს შრომისა და პროდუქტიულობისკენ წაახალისებს.

სხვაგვარად, რომ ვთქვათ ზექათი, რომელიც ისლამის ხუთ ძირითად ღვთისმსახურებათაგან ერთ-ერთია, მსოფლიო მუსლიმებს შემდეგი ხასიათის გზავნილს სთავაზობს: „ალალი გზებით განისარჯე, მოიგე, იყავი პროდუქტიული და ერთ დღეს შენ შეიქმენი გამცემი ხელი, სიკეთისა და ქველმოქმედების მარჯვენა. ნუ აღმოჩნდება ზექათის ღვთისმსახურებისგან უგულებელყოფილი, შეერიე დალოცვილ მორწმუნეთა ქარავანს და იყავი დღეში ხუთი დროის ლოცვის აღმსრულე, სულ მცირე წელიწადში ერთხელ მაინც ზექათის გადამხდელი, სოციალურ-ეკონომიური პასუხისმგებლობით განმსჭვალული, ღარიბ-ღატაკთა დამხმარე, ობლების გამხარებელი და მათ სახეზე ღიმილის მიზეზი“.

საადი შირაზი თავის ნაშრომში ერთ საინტერესო ისტორიას გადმოსცემს, რომელიც ნათლად ასახავს ისლამში შრომისა

თუ პროდუქტიულობის მნიშვნელობას და ზარმაცი სხეულით სხვებისგან დახმარების მოლოდნის უმართებულობას.

„ერთი საბრალო ადამიანი იძულებული შეიქმნება ბნელ ღამეში მიუვალ ტყეში გაათენოს. მაგრამ ტყის ბინადარი მტაცებელი ცხოველებისგან თავის დასაცავად დიდ ხეზე ავიდა. დაინახავს, რომ ხის ძირში დავრდომილი მელა წევს. იმ ფიქრებში იყო ჩაძირული თუ „ეს მელია ნეტავ რას ჭამს, რას სვამსო“, რომ ამ დროს ხედავს შორიდან მოდის ლომი, რომელსაც პირში შველი ჰყავს. ლომი ხის ძირში მოვიდა, შველი დაანაწევრა, რასაც გასწვდა შეჭემა, დანარჩენი კი დაყარა და წავიდა. ამის შემდეგ დავრდომილი მელია ხოხვა-ხოხვით მიცოცდა, შვლის დარჩენილი ნაწილი შეჭამა და მუცელიც ამოიძღო. ეს ამბავი ხეზე აცოცებული კაცისთვის უამრავი სიბრძნისა და დიადი გამჩენის ყოვლისშემძლეობაზე დაფიქრების მიზეზი გახდა.

მოდით, მოსუსმინოთ მეჰმეთ აქიფს და გავიგოთ, რას ფიქრობს ეს კაცი:

“რაოდენ მოწყალეა ჩვენი გამჩენი, უნდა გესმოდეს;
მშიერი მელა, დავრდომილი, თითქმის კვდებოდეს,
ფერხთით მოჰმადლა სარჩო კეთილი და გემრიელი,
და ადამიანს რად ურჩევნის უშრომლად ხელი.
წუთი-სოფელი ჩვენ თუ გვიღირს ამდენ წვალებად?!
ზოგმა იღვაწა, ზოგს კი უშრომლად მიეცა შვება.
მაძღარი მელა დაწოლილა, უშრომლად, მუქთად
რა არის აზრი ამაგდარის ლოდინში, თუნდაც?!
ფუჭია ჩვენი ამაგი და ნაშრომი ყველა!...
და რომ გათენდა კაცი ავიდა მთის ძირას კლდეში,
იფიქრა ლოდინს მივმართავო უქმად, იმედით.
დღეა პირველი, არც რა მოვიდა და არც მიდის რა,
მეორე დღეს კი მოშივდა და ძრწოლით იტირა.
მესამე დღეა, მოიბუზა, ვეღარ ძრავს სხეულს,
სიკვდილია თუ ძილი ნეტავ, აფიქრებს ეულს.
ხმა შემოესმა, გაიღვიძა, შემკრთალმა უმალ:

“რად არ გინდოდა ყოფილიყავ ლომი ძლიერი,
რატომ ისურვე იყო მელა, წუწკი, ცბიერი?!
ხელი და მკლავი გომოძრავებს, სარჩო მონახე,
და რაც მოგრჩება უძლურთათვის გადაინახე!”

(მეჰმეთ აქიფ ერსოი, “საფაჰათ” 235-236)

მაშ ასე, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ისალმში არსებული ზექათის გადასახადი, როგორც ზოგიერთები ფიქრობენ, ღარიბებსა და უქონელებს ღატაკად და ეულად არ აქცევს. არც მზა-მზარეულ საკვებსა და სიზარმაცისკენ უბიძგებს. პირიქით, ალალად შრომასა და მოგებას, პროდუქტიულობასა და სასარგებლო მორწმუნედ ჩამოყალიბებისკენ მოუწოდებს. ამ თვალსაზრისით ზექათი ერთის მხრივ დაბალი ეკონომიური შემოსავლის მქონე სოსციალურად დაუცველ ფენას დამატებით შემოსავალსა და ყიდვის უნარიანობას უზრუნველჰყოფს, რითაც ისინი ყოველდღიურ საჭიროებებს დაიკმაყოფილებენ, მეორეს მხრივ კი ისინი საზოგადოებას ცალკეულ პროდუქტიულ ძალად შეერევიან.

გ. ქონებისა და სიმდიდრის თვალსაზრისით

ზექათი, იურიდიული და რელიგიური ღირებულების მქონე ანუ (მუთეყავვიმი) ქონებიდან უნდა გაიცეს, რომელიც ამავდროს ალალი გზებიდან უნდა იყოს მოგებული. ამ შემთხვევაში გადახდილი ზექათი; ისე როგორც ქონებასა და სიმდიდრეს ადამიანთა ვალისგან განწმენდს, ასევე მას ბარაქიანს გახდის, გაამრავლებს, დაიცავს და სამარადისო ინვესტიციად გადააქცევს.

1. ქონებისა და სიმდიდრის ზექათის საშუალებით განწმენდა

ზექათი, მატების, გამრავლების, განწმენდის, ბარაქიანობის, კეთილდღეობისა და ქების მნიშვნელობებს ატარებს. იქიდან გამომდინარე, რომ იგი განწმენდის მნიშვნელობასაც შეიცავს, მოითხოვს როგორც ადამიანის სულიერ სამ-

ყაროს სისუფთავეს, ასევე ქონების სამართლიან და ალალი გზებით შემოსავლიანობას. ამრიგად, ადამიანი, რომელიც გააცნობიერებს, რომ ზექათი უზენაესი გამჩენის მიერ მონა-მსახურებისთვის სავალდებულოდ დადგენილი ღვთისმსახურებაა, მისი უმთავრესი პრინციპი იქნება: იმისათვის, რომ აღნიშნული ღვთისმსახურება ღვთის წინაშე მისაღები იყოს მისი სისუფთავე, რელიგიურად ალალი გზებით შემოსავლიანობა და ასევე რელიგიურად მიზანშეწონილ ადგილებში ხარჯავა აუცილებელი პირობაა.

ქონება და სიმდიდრე განიწმინდება, როცა ალალი გზებით მოგებული ქონებიდან ღარიბ-ღატაკის კუთვნილ წილი გამოიყოფა მათ ზექათის სახით მიეცემებათ. ეს ერთის მხრივ დაგროვებული და შენახული ქონების ზექათის წყალობით განწმენდაა. ყურანში ალლაჰის შუამავალს ებრძანა, რომ მორწმუნეების ქონებიდან მომხდარიყო ზექათის აკრეფა, რითაც განიწმინდებოდნენ როგორ თვით მორწმუნეები ასევე თავიანთი ქონება.

ყურანში ვკითხულობთ: „აიღე მათი ქონებიდან მოწყალება, რომ მისით გაასუფთაო და განწმინდო ისინი. და შეევედრე მათთვის, უეჭველად, შენი ვედრება სიმშვიდეა მათთვის. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმსმენია, ბრძენია! (თევბე, 9/103)

ზემოთ მოცემულ აიათში ხსენებული სისუფთავე, –ინდივდუალურის, საზოგადოებრივისა და ქონებრივის სახით შესაძლებელია სამ ქონტექსტში მოხდეს მისი შეფასება. ზექათის გადახდით ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პირობა სისრულეში იქნება მოყვანილი. სიტყვა ზექათის თავდაპირველი და ძირითადი არსიც ქონებისთვის სულიერი სისუთავის საშუალებაა. რამეთუ ზექათში ღარიბ-ღატაკის კუთვნილი წილია. აღნიშნული საკითხი აიათში ასეა განმარტებული: „და მათ ქონებაში წილია, მთხოვნელთათვის და ღატაკთათვის“. (ზარიათი, 51/19) აქედან გამომდინარე, შეძლებული პიროვნება თავს მანამ ვერ დააღწევს პასუხისმგებლობას, სანამ საზოგადოებაში უპოვარსა და ღარიბს არ გადაუხდის ვალად დაკისრებულ ქონებიდან მათ კუთვნილ წილს. სხვაგვარად აღნიშნული ქონება, თუნდაც ალალი გზებით იყოს მოგებული, სუფთად არ ჩაითვლება.

ალლაჰის შუამავლის (ს.ა.ს.) ერთ-ერთ ჰადისში ვკითხულობთ: „უზენაესმა ალლაჰმა ზექათი მხოლოდ იმისათვის დაგიდგინათ სავალდებულოდ, რომ უკან დარჩენილი ქონება და სიმდიდრე განწმენდილიყოს“. (ებუ დავუდი, ზექათი, 32) ამ სიტყვებით შუამავალი (ს.ა.ს.) გვამცნობს, რომ არ იქნება განწმენდილი ქონება, რომლის ზექათის გადახდა არ მოხდება. რამეთუ თქვენს ქონებაში არსებობს უპოვართა კუთვნილი უფლებები.

2. ქონებისა და სიმდიდრის ბარაქიანობა ზაქათის გადახდით

თავდაპირველად შესაძლოა მოსჩანდეს ისე, რომ ვინმესვის ქონებრივი დახმარება მდიდრის ქონებას ამცირებს, სინამდვილეში ასე არ არის, და მოწყალების გაცემითა და ზექათის გადახდით ქონება არ მცირდება. (თირმიზი, ზუჰდი, 17) პირიქით ზექათი ქონებასა და სიმდიდრეს ბარაქიანობას მატებს. ალლაჰის შუამავალი აღნიშნულთან დაკავშირებით ბრძანებს:

„ვინც სუფთა (ალალი) ქონებიდან მოწყალებას გაიღებს, და რა თქმა უნდა ალლაჰის წიაღში მხოლოდ სუფთაა (ალალი) მისაღები, თუნდაც ერთი ფინიკის ხურმა იყოს, მოწყალე (დიადი გამჩენი) მას მიიღებს და აღნიშნულ მოწყალებას, ისე როგორც თქვენ განსაკუთრებული ყურადღებით მოუვლით და გაზრდით ხბოს ან ცხენის კვიცს, მანამდე გაზრდის, სანამ მთისოდენა არ გახდება“. (მუსლიმი, ზექათი, 63; იბნი მაჯე, ზექათი, 28)

როგორც ზემოთ მოცემულ ჰადისშია აღნიშნული, ადამიანი ზექათის გადახდით დახმარების ხელს უწვდის ღარიბებს, რითაც კიდევ უფრო მატებს ქონების ბარაქიანობას. რადგან, ქონება, რომლისგანაც გაიცემა ზექათი, ხის მსგავსია. თუკი ადამიანი ხილის ხეს მორწყავს, თავისდროზე გასხლავს და კარგად მოუარს, მიუხედავად იმისა, რომ მას გასხლვის დროს ტოტებს დააჭრით, უფრო ბარაქიან ხილს მოისხამს და მეპატრონეს გაახარებს. სწორედ ასე, ზექათი და მოწყალება ქონების ბარაქიანობას გაზრდის. რაც შეეხება ზექათის გადაუხდელობას, სიძუნწესა და ზედმეტად მომჭირნეობას, იგი ქონების ბარაქიანობას საგრძნობლად შეამცირებს. ყურანში ჩვენთვის გაცხადებული ყველა-

ზე მნიშვნელოვანი გზავნილი ასეთია: „და აკი, გაუწყათ ღმერთმა თქვენ: „თუ ნამდვილად მადლიერნი იქნებით , უთუოდ, წყალობას გიმრავლებთ და თუ უმადურნი იქნებით, უეჭველად, სასჯელი ჩემი საშინელია!“ (იბრაჰიმი, 14/7)

გარდა ამისა კიდევ ერთ აიათში ვკითხულობთ: „ალლაჰი კრძალავს მევახშეობას და ამრავლებს მოწყალების გაღებას“... აღნიშნული ღვთიური ბრძანება კი სწორედ ასეთ გარანტიას გვაძლევს. აიათში ხსენებულ მოწყალებაში იგულისხმება, როგორც სავალდებულო ზექათი, ასევე ნებაყოფლობით ღვთის გზაზე გაღებული ნებისმიერი მოწყალება. ამრიგად უზენაესი ალლაჰი აიათში გვამცნობს, რომ ქონება, რომლისგანაც გაიცემა მოწყალება იგი უფრო ბარაქიანი გახდება. ყურანში ვკითხულობთ: „ხალხის ქონებიდან მონაგარისთვის, ყოველგვარ პროცენტად მიცემული, სარგებელს არ მოიტანს ალლაჰის წინაშე. ხოლო ყოველი გაცემული სავალდებულო მოწყალება, წადილით ალლაჰის კმაყოფილების მოსაპოვებლად, გაგიორმაგდებათ! (რუმი, 30/39) მაშინ, როცა მევახშეობა ალალი მოგების გზა არ არის და იგი ნადვილი მოგებისგან ძალიან შორს არის.

„უთხარი: უეჭველად, ჩემი ღმერთი უზრდის ან უზღუდავს სარჩოს თავის მსახურთაგან იმას, ინებებს ვისაც. და რასაც დახარჯავთ, იგი მის ადგილს შეავსობს. და იგია საუკეთესო სარჩოს მომმადლებელი!“ მოცემული შინაარსის აიათი, ერთობ გარანტიის ხასიათისა, რაც მკაფიოდ გვამცნობს, რომ წრფელი გულით და სიკეთის მიზნით ზექათისა და მოწყალების სახით გაწეული დანახარჯი დიადი გამჩენის წიაღში ჯილდოს გარეშე არ ჩაივლის. ისინი არც მატერიალურ დანაკლისს განცდიან.

ერთ-ერთ ჰადისი ყუდსში მსგავს სიტყვებს ალლაჰის შუამავლის სიტყვებიდან ვიგებთ: „ო, ადამის შვილო! შენ გაეცი მოწყალება, რათა მეც შენ გიბოძო წყალობა“. უდავოა, რომ ზექათის სახით გაცემული მოწყალების ადგილი დიადი გამჩენის წყალობით ისევ შეივსება. ეს იქნება მსგავსი მატერიალური საშუალებით, ულევი ყაირათიანობის გრძნობითა თუ ადამიანის გულში უფრო მეტი სიმშვიდის გაჯერებით.

ხალხი, რომელიც არ გაიღებენ ზექათის გადასახადს, უზენაესი ალლაჰის მიერ მათთვის მოწყალებასა და ბარაქიანობის შემცირების შესახებ შუამავალი (ს.ა.ს.) ქვემოთ მოცემულ ჰადისში შემდეგნაირად გვამცნობს:

რომელიმე ერის მიერ ქონების ზექათს არ გადაუხდელობა, მიზეზი ხდება ალლაჰის წყალობის, სიუხვისა და სიკეთის მოშთობისა. რაც შეეხება ზექათის სისრულეში მოყვანას, ეს ღვთიური მოწყალებისა და ბარაქიანობის მოგების ერთ-ერთი საშუალებაა.

3. ქონებისა და სიმდიდრის ზექათით დაზღვევა

საზოგადოებაში, სადაც შემოსავლების უთანასწორობისა და განსვავებული შემოსავლები განსაკუთრებით ღარიბებზე მძიმედ აისახება, რა დროსაც თავს იჩენს მდიდრებსა და ღარიბებს შორის მტრული დამოკიდებულება. აღნიშნული მტრობა კი დროთა განმავლობაში სოციალურ დაპირისპირებაში გადაიზრდება, რასაც შესაძლოა მოჰყვეს სიცოცხლისა და ქონების უსაფრთოების მოშლა. ამას მოჰყვება ძრაცვა-ყაჩაღობა, რაც საზოგადოებაში სიმშვიდესა და უსაფრთხოებას მიწასთან გაასწორებს.

აღნიშნული სიტუაციიდან გამომდინარე, თუკი შეძლებული პიროვნება, მორწმუნეობრივი ვალდებულების თანახმად ღირსეულად გადაიხდის ზექათს და ღვთის წინაშე დაკისრებულ ვალდებულებას სისრულეში მოიყვანს, მას გადახდილად ჩათვლება ღარიბებ-ღატაკის წინაშე არსებული ვალი. ასეთი დამოკიდებულება კი მას საშუალებას მისცემს თავიდან აიცილოს და დააზღვიოს თავისი ქონება ღარიბ-ღატაკთა მხირდან ყოველგვარი მოსალოდნელი ზიანისგან, როგორიცაა ყაჩაღობა, ძარცვა, ქურდობა, გაუტანლობა და სხვა. ვინაიდან ქონება, რომლის ზექათი არ იქნება გადახდილი, იგი ღარიბ-ღატაკთა უფლებების უხეში დარღვევითა და ძალადობით მითვისებულ ქონებას ემსგავსება. ამიტომა სანამ მათ კუთვნილ ქონებას არ დაუბრუნებთ, ვერც ქონების მეპატრონე იქნება მშვიდად და ვერ ღარიბ-ღატაკნი.

ალლაჰის შუამავალი ხომ ბრძანებს: „ქონება, ზექათის გადახდის საშუალებით დაიცავით“. (ქენზულ-უმმალი, VI, 293, ჰადი-

სი: 15759) ამ სიტყვებით შუამავალი (ს.ა.ს.) ზექათს, ქონების სულიერ გარანტიად მიიჩნევს. ჰადისის არაბულ ორიგინალ ტექსტში ნახსენებია სიტყვა „ჰასსინ“, რაც მიუღწეველს, გამაგრებულს, დამატებას, ჯანსაღ და გამძლედ გაკეთების მსგავს მნიშვნელობებს ატარებს. ამავე ფუძისგან წარმოებული სიტყვა „ჰისნი“ კი ციხესიმაგრის მნიშვნელობით, ერთმანეთთან ახლო კავშირი გააჩნია. ამის მიხედვით ზექათის გადამხდელი, როგორც ასეთი ქონებას ყოველგვარი თავდასხმისა და უბედური შემთხვევის წინაშე იცავს. მას მიღწეველს ხდის და მტკიცედ გამაგრებულ ადგილას იცავს. კიდევ ერთი ჰადისში ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს.), ადამიანს, რომელიც ქონებისა და სიმდიდრის ზექათს გადაიხდის, მისი ქონების ყოველგვარი ინტირგისა და ზიანისგან დაცულობას უმახარობლებს.

მაშ ასე, ზექათის გადამხდელებს არ ექნებათ ხელთარსებული წყალობების დაკარგვის შფოთვა. რამეთუ წესისამებრ გადახდილი ზექათისა და მოწყალების წყალობით საზოგადოებაში ქურდობა, მოტყუება, ყაჩაღობა, გატაცება და სხვა მსგავსი თავდასხმებისგან ქონებაც და სიცოცხლეც მინიმუმამდე შემცირდება. ეს ყველაფერი კი საზოგადოებაში სიმშვიდისა და თანასწორობის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.

4. წარმავლობიდან მარადიულობამდე

გარდა იმისა, რომ ზექათის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში სიბრძნითა და მაღალი სარგებლიანობით გამორჩევა, ყველაზე უფრო მთავარი და მნიშვნელოვანი ის არის, რომ იგი წარმავალ ქონებას იმიერ სამყაროსთვის მარადიულ ინვესტიციად გადააქცევს. (იასინი 36/12) ყურანში ვკითხულობთ: „ირწმუნეთ ალლაჰი და შუამავალი მისი და გაიღეთ იქიდან, რაზედაც დაგადგინათ მემკვიდრეებად. ამრიგად, რომელთაც ირწმუნეს თქვენგან და გაიღეს, მათთვისაა დიადი საზღაური! (ჰადიდი, 57/7) მოცემული აიათი კარგად ასახავს იმ გარემოებას, რაც უზენაესი ალლაჰის კმაყოფილების მიზნით გაღებული მოწყალებისა და დანახარჯის სანაცვლოს მარადიულ სამყაროში „უდიდესი მადლითა და ჯილდოთი“ გამოიხატება.

სწორედ ეს არის ჭეშმარიტი მოგება! ერთ მშვენიერ დღეს ალლაჰის შუამავლის ოჯახობამ ცხვარი დაკლა და ხორცი დაარიგა. ამასობაში შუამავალმა (ს.ა.ს.) იკითხა: „ცხვრისგან ჩვენ რა დაგვრჩა? –საყვარელმა მეუღლე –მართლმორმწმუნეთა დედამ მიუგო: „მხოლოდ ერთი ბეჭის ძვალიღა დაგვრჩა“. მაშინ შუამავალმა თქვა: „მე კი გეტყვი, რომ გარდა ბეჭის ძვალისა, დანარჩენი დაგვრჩა ჩვენ. (თირმიზი, სიფათულ-ყიამე, 33) ამ სიტყვებით იგი (ს.ა.ს) მიანიშნებდა იმაზე, რომ მფლობელს სინამდვილეში ის კაირ რჩება, რასაც რასაც თავად მიირთმევს ან დალევს, არამედ რასაც ღარიბ-ღატაკს, ობოლსა და დავდრომის გასცემს. კიდევ ერთ სხვა ჰადისში აღნიშნულ მდგომარეობას ალლაჰის შუამავალი უფრო მკაფიოდ განმარტავს: „ადამიანი ხშირად გაიძახის, „ჩემი ქონება, ჩემი ქონება“. სინამდვილეში შენი ქონებაა ისაა, რასაც ჭამ, რასაც სვამ, რასაც იცმევ ან რასაც მოწყალებად გასცემ და მარადიულს ხდი“. (მუსლიმი, ზუჰდი, რიყაყი, 3)

დ. სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზირით

ზექათი, როგორც სავალდებულო ღვთისმსახურება, მონამსახურის ალლაჰთან სულიერი კავშირის განმტკიცებასთან ერთად სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციას აკისრია. მათ შორის ზოგიერთები ასე გამოიყურება:

1. ზექათი სიყვარულისა და მშვიდობის კლიმატს ქმნის

არ შეიძლება უარვყოთ, რომ დღევანდელ საზოგადოებაში ჩადენილ დანაშაულთა დიდი ნაწილის მიზეზი სულიერ სიცარიელესთან ერთად ეკომომიკური სირთულეებისა და სიდუხჭირიდან მომდინარეობს. უეჭველად სიღარიბე და უქონლობა საზოგადოების წევრებს, კლასებსა და ერებს შორის დაპირისპირებისა და მტრობის მიზეზი ხდება, რასაც თან მოაქვს ზნეობრივი დაცემა. გარდა იმისა, რომ ამ დროს ქვეყნები საფრთხის წინაშე დგებიან, უსაფრთხოდ არც ადამიანის სიცოცხლე და ქონებაა. ამიტომაც ალლაჰის შუამავალი მძიმე შედეგებიდან გამომდინარე, სიღარიბის შარისგან ალლაჰს მიეკედლებოდა და შემდეგი სიტყვებით

ევედრებოდა: „ღმერთო ჩემო! ურწმუნოებაში ჩავარდნისა და სიღარიბისგან შენ მოგეკედლები“, (ებუ დავუდი, ედები, 110) ვედრებით არამარტო სიღარიბის შედეგად დამდგარი ცუდი შედეგების თავიდან აცილებას ევედრებოდა, ამავდროს იმ სიმდიდრის შარისგანაც მიეკედლებოდა დიად გამჩენს, რომელიც სოციალურ ზნეობასა და ეკონომიკურ პასუხისმგებლობას სათანადოდ ვერ ასრულებენ.

ზექათი, ეს არის სოციალური წესრიგის დაცვის მამოძრავებელი ძალა, ამცირებს ღარიბსა და მდიდარს შორის არსებულ ზღვარს, თავიდან იცილებს სოციალურად დაუცველთა შორის დაპირისპირებებს, აბრკოლებს ღარიბის მდიდარის მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებებს, რაც ამავდროს უამრავი დანაშაულის მაპროვოცირებელია. ამასთან ერთად ზექათი ღვთისმსახურებაა, რომელიც გააჩნია სოციალურ-ეკონომკურ ფუნქციები.

მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში არსებობს ადამიანთა კლასი, რომლებიც რაც შეიძლება მდიდრულად, ფუფუნებაში და შოვინიზმით განმსჭვალული ცხოვრებით ტკბებიან. ისინი მოსახლეობის ნაწილის, პრობლემებს და კრიტიკის ზღვარზე მყოფ სიდუხჭირეს მათი შიმშილით დაღუპოვის მიზეზი ხდება, აინუნშიც კი არ აგდებენ. მდიდრების ასეთი დამოკიდებულება ღარიბებში ზიზღსა და სიძულვილს აღვივებს. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, ერთ მხარეს არიან ადამიანები, რომლებიც მშვიდად, ბედნიერად და კომფორტულად ცხოვრობენ, მეორე მხარს კი ცხოვრობს მოსახლეობა, რომლებიც აუცილებელ საარსებო მინიმუმსაც კი ვერ პოულობენ. ეს ყველაფერი კი სოციალური დაპირისპირების მიზეზი უდავო ხდება. აღნიშნული საფრთხე განსაკუთრებით იმ საზოგადოებაში უფრო უფრო მეტია, რომელსაც არ გააჩნია ზნეობრივი ფასეულობები და არ მიუღია სულიერი პასუხისმგებლობის ცოდნა.

გამომდინარე აქედან, იმისათვის, რომ საზოგადოებამ ჯანსაღად განაგრძოს არსებობა და უზრუნველყოფილიყოს სოციალური სამართალი აუცილებელი პირობაა იმ უთანხმოებების თავიდან აცილება, რომელიც საზოგადოების წევრებს შორის დაპირისპირების მიზეზი ხდება. სწორედ

ამ მიმართულებით ზექათი მნიშვნელოვან როლს თამაშობს და საოგადოებაში სიმშვიდეს, ნდობას პატივისცემასა და სიყვარულს აყალიბებს.

2. მდიდრიდან ღარიბის მიმართულებით შემოსავლის დინება

ზექათი არის მატერიალური ღვთისმსახურება, რომლის ვალდებულება მდიდარ მუსლიმებს ეკისრებათ. ყურანში ვკითხულობთ: „და მათ ქონებაში წილია, მთხოვნელთათვის და ღატაკთათვის". (ზარიათი, 51/19) მოცემულ აიათში ხაზგასმით არის აღნიშნული ზექთის არსი, რომელიც მდიდრის ხელთ არსებული ღარიბის ბუნებრივი უფლებაა. აქედან გამომდინარე ალლაჰის შუამავალმა (ს.ა.ს.) როდესაც მუაზ ბინ ჯებელს იემენში გუბერნატორად აცილებდა შემდეგი დარიგება გასცა:

„ო მუაზ! იემენელებს პირველ რიგში უზენაესი ალლაჰის ერთად-ერთობის რწმენისა და ჩემი შუამავლობის შესახებ მოუწოდე. თუკი ამ საკითხთან დაკავშირებით თანხმობას გამოთქვამენ, მათ დღე-ღამის განმავლობაში ხუთი დროის ლოცვა ასწავლე. თუკი ლოცვაზეც თანხმობას მიიღებ, მათ ამცნე, რომ უზენაესი ალლაჰი თავიანთი ქონებიდან ზექათის გადახდის ვალდებულებას აკისრებს. ზექათი მდიდრებისგან აიკრიფება და ღარიბებს მიეცემათ. (ბუხარი, ზექათი, 1)

როგორც ზემოთ მოცემული აიათიდან და ჰადისიდან ირკვევა, მატერიალური ღვთისმსახურების –ზექათის წყალობით, მუსლიმი საზოგადოების შეძლებული ფენიდან სიდუხჭირეში მყოფი ფენის მიმართულებით ერთგვარი შემოსავლის გადინებას აქვს ადგილი, რასაც ურთიერთ სიყვარული და პატივისცემა თან ახლავს. ამ დროს სიდუხჭირეში მყოფებს, ღარიბებს, ღატაკებს, გზად დარჩენილებს და ვალში მყოფებს უდიდესი ყურადღება ექცევა. ამრიგად საზოგადოების ღარბი ფენა მდიდრების წინააღმდეგ ქონებისადმი მოსალოდნელი მტორბაც საძირკვეშივე თავიდან იქნება აცილებული.

ისლამი, როგორც ჭეშმარიტი რელიგია, არ სურს საზოგადოებაში შეიქმნას ეკონომიკური წყობის პირამიდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისლამი არ ეთანხმება იმ ფორმას, სა-

დაც მოსახლეობის მცირე ნაწილი ბედნიერია, რომელთა რაოდენობა თანდათან მცირდება და საბოლოოდ მილიარდობით ადამიანი სიღარიბის ზღვარს მიღმა სიდუხჭირეში ღაფავს სულს. გამომდინარე აქედან ისლამისეული გამოსავალი ზექათის, მოწყალების თუ სხვა გადასახადები სახით საზოგადოების მდიდარი ფენის მხრიდან ღარიბების მიმართულებით ქონებრივ და მატერიალურ დახმარების გადინებაში მდგომარეობს.

3. ღარიბთა პრობლემების მოგვარების გზა

ყურანში ნათლად იკვეთება, რომ ლოცვა, რომელიც ფიზიკური სხეულით შესრულებადი ღვთისმსახურებაა და შესაბამისად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ანალოგიური ადგილი ეთმობა მატერიალურ ღვთისმსახურებას –ზექათს. (თევბე, 9/5) ამრიგად სურა ბაყარას 177-ე აიათში აღნიშნული მდგომარეობა ნათლად არის განხილული:

„სიკეთე მარტოოდენ აღმოსავლეთის და დასავლეთის მხარეს სახის მოპყრობით არ შემოიფარგლება. არამედ სიკეთე ისაა, ვინც ირწმუნა ალლაჰი და დღე უკანასკნელი, ანგელოზები, წიგნი და შუამავლები; უყვარს ქონება, მაგრამ მაინც ურიგებს ახლობლებს, ობლებს, უპოვრებს, მოგზაურებს, მთხოვნელებსა და მონებს ; ლოცვად დგება, ზექათს არიგებს, და ასრულებს პირობას, თუკი დებს მას; მოთმინებით იტანს უბედურებას, გასაჭირსა და განსაცდელს. სწორედ ეგენი არიან ერთგულნი და (ალლაჰის სასჯელისგან) დაცულნიც სწორედ ეგენი არიან“. (ბაყარა, 2/177)

სწორედ ზექათისა და სხვა სოციალური თანადგომის მნიშვნელობიდან მომდინარეობს, რომ ყველა შუამავალი ღირბების, ობლებისა თუ მზრუნველობა მოკლებულების ზედამხედველობას თავდაუზოგავად ცდილობდა. მთელი შემართებით ინტერესდებოდნენ მათ სოციალურ და პრობლემების მოგსაგვარებლად. თავიანთ მიმდევრებს კი ლოცვასთან ერთად ზექათის გადახდის ვალდებულებასაც ამცნობდნენ. (ბაყარა, 2/83; მაიდე, 5/12; ეღრაფი, 7/156; მერიემი, 19/31; ენბია, 21/73; ბეიინე, 98/5)

გარდა ამისა კაცობრიობის ისტორიიდან მოყოლებული დღესაც კი სიდუხჭირის მიზეზით ჯერ კიდევ მუცლად მყოფ

ნაყოფს დედის მუცელშივე უსპობენ სიცოცხლეს, რაც აუცილებელ პირობად სიდუხჭირეში მყოფთა პრობლემების დაუყოვნებლივ მოგვარების საჭიროებას აყენებს დღის წესრიგში. ყურანში საუბარია იმაზე, რომ სიღარიბეს იმდენად ნეგატიურ შედეგამდე მიყავს ადამიანი, რომ იგი მათ ბავშვების მოკვლისკენაც კი უბიძგებს. ისინი ვინც ამ შემთხვევაში არ ენდობიან სარჩოს მბოძებელს და ამ დონის შეუბრალებელ ქცევას ავლენენ, ყურანში მკაცრად არიან გაკიცხული:

„და არ მოჰკლათ შვილნი თქვენი სიღარიბის შიშით! მათაც ჩვენ ვაძლევთ სარჩოს და თქვენაც. უეჭველად, მათი მოკვლა მძიმე ცოდვაა“! (ისრა, 17/31 ასევე იხ. ენღამი, 6/151)

ამასთან ერთად ალლაჰის შუამავალი ბრძანებს: „სიღარიბე მათ სადაცაა ურწმუნოებასთან აახლოებდა“. (ბეიჰაყი, შუაბულ-იმანი, V, 267; ჰადისი, 6612) შუამავლის სიტყვები სიღარიბის ყველაზე ცუდ შედეგზე მიანიშნებდა.

როგორც ჩანს, სანამ არ იქნება სიღარიბისა და დასაქმების პრობლემა გადაჭრილი, რომელიც შესაძლოა გახდეს მიზეზი იმისა, რომ ადამიანი ურწმუნოებაში ჩააგდოს და საკუთარი შვილიც კი მოაკლევინოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელია აღნიშნული გარემოება უარყოფითად არ აისახოს იმ ადამიანების ცხოვრებაში, ვინც ზნეობრივად საკმარისად არ არიან აღზრდილი და მათ გულებამდე არ მიუღწევია უზენაესი ალლაჰისადმი დაკისრებულ ვალდებულების ცნობიერებას.

უნდა აღინიშნოს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მომზადებული სხვადასხვა კვლევების თანახმად, ყოველი მეხუთე ადამიანი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცდილობს სიცოცხლის შენარჩუნებას. უდავოა, რომ აღნიშნული პრობლემის პირველი უმთავრესი მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ მათ არ აქვთ გაცნობიერებული ადამიანისადმი პატივისცემის, თანადგომის, ურთიერთდახმარების, შემოსავლის სამართლიანი გადანაწილების, მფლანგველობისა და სიძუნწისგან განრიდების ღირებულები.

რა თქმა უნდა შეუძლებელია სიღარიბის პრობლემის ძირეული აღმოფხვრა, რამეთუ, კონკრეტული ქვეყნის მო-

სახლეობის დიდი ნაწილი რამდენადაც მდიდარი უნდა იყოს, საზოგადოებაში ყოველთვის იქნებიან ავადმყოფები, მზრუნველობა მოკლებული, ობლები, ხანდაზმულები და უძლურები. გარდა ამისა, შიდა თუ გარე ომების, მიწისძვრების, სტიქიური მოვლენების, გვალვისა და სხვა უბედური შემთხვევების გამო ნებისმიერ დროს შესაძლებელია გაჩნდეს ახალი სიღარიბის კერა. გამომდინარე აქედან, შიმშილისა და სიღარიბის პრობლემის თუნდაც ნაწილობრივ გადასაჭრელად, ან კიდევ ადამიანებისთვის მინიმალური ცხოვრებისეული პირობების შექმნისთვის ძირითად მამოძრავებელი ძალა, მოსახლეობასა და ქვეყნებს შორის თანადგომისა და ურთიერთდახმარების ცნობიერების ამაღლებაა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სიღარიბის წინააღმდეგ საბრძოლველად თავდაპირველი და აუცილებელი რა თქმა უნდა ეკონომიკურ-სოციალური ინვესტიციებია. მაგრამ მტკნარი ჭეშმარიტება ის არის, რომ საზოგადოებაში სადაც ხალხს არ ექნება გაცნობიერებული თანადგომისა და ურთიერთდახმარების პრინციპები, მხოლოდ ეკონომიკურ-სოციალური ზომების მიღება სიღარიბის პრობლემის მოგვარებაში უძლური იქნება. სწორედ ასეთ დროს, ზემოთ ხსენებული პრობლემის თავიდან აცილების მიზნით ისლამის ერთ-ერთი პირობა, ზექათის ღვთისმსახურების აქტიური როლი დგება დღის წესრიგში. რამეთუ ისლამი ადამიანებს ერთმანეთის მიმართ პასუხისმგებლობას აკისრებს, ერთმანეთისადმი ყურადღებას ავალდებულებს, ეგოიზმისგან განწმენდილ ერთიანობას მოითხოვს. ამისათვის კი შეძლებულ მორწმუნეებს ზექათის გადახდის ვალდებულება დაეკისრათ. უფრო მეტიც, ზექათი არათუ ადამიანის სურველზე დამყარებული დახმარების სახეობა, არამედ ეს არის უშუალოდ ღარიბებისთვის გადასახდელი სავალდებულო პასუხისმგებლობა და რელიგიური ღვთისმსახურება.

4. სოციალური უსაფრთხოება და თანადგომა

გარდა იმისა, რომ ზექათი განწმენდის ერთ-ერთი საშუალებაა, მას საზოგადოებაში სოციალური თანადგომასა და

სოც-უზრუნველყოფასთან ერთად, ადამიანების სოციალურად აღზრდის საქმეშიც დიდ წვილი შეაქვს. რამეთუ სიდუხჭირეში მყოფნი, მარჩენალდაკარგულნი, ღარიბნი, ვალში ჩავარდნილნი და გზად დარჩენილნი ზექათის საშუალებით დაცულნი იქნებიან. ამრიგად ასეთი კატეგორიის ადამიანები სოციალური თვალსაზრისით უზრუნველყოფილი იქნებიან.

საზოგადოების წევრები შესაძლოა აღმოჩნდნენ სხვადასხვა სახის რთულ და კატასტროფულ სიტუაციაში, ამ დროს კი ზექათი მათი უსაფრთხოების დაცვის გარანტორობა ითავებს ხოლმე. უდავოა, რომ მსგავს ვითარებაში ადამიანთა დახმარების მიმართულებით დღეს არსებული სადაზღვეო სისტემა დაკისრებულ მოვალეობას ნაწილობრივ ასრულებს. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ზექათი და დღეს არსებული სადაზღვაო ორგანიზაციები ზექათთან შედარების დროს მიზნისა და მისიის მიმართულებით მკვეთრად განსხვავდება. როგორც ვიცით, სადაზღვეო ორგანიზაციები ზიანს პიროვნების მიერ დარიცხული თანხის შესაბამისად ანაზღაურებენ. გარდა ამისა ზიანს იმ ოდენობით ანაზღაურებენ, რაც წინასწარ შედეგნილ ხელშეკრულებაშია გაწერილი. იმ შემთხვევაში თუკი არ ხარ სადაზღვეო ორგანიზაციაში დარეგისტრირებული, არავითარ შემთხვევაში არ მოხდება შენი ზიანის რაიმე დოზით ანაზღაურება. თუმცა რაც შეეხება ზექათს, აქ არ არის საჭირო პიროვნებას პრემიის სახით წინასწარ უფიქსირდებოდეს რაიმე გარკვეული რაოდენობის შენატანი. ღარიბების, დაზარალებულებისა და სიდუხჭირეში მყოფთა სასარგებლოდ გაწეული დახმარება და თანადგომა სრულიად უსასყიდლოა და მიზნად მხოლოდ ალლაჰის კმაყოფილების დამსახურებას ისახავს.

მოკლედ რომ ითქვას, ისლამი ერთის მხრივ სამართლიანი გზით შემოსავლისთვის გარჯას მოითხოვს, სადაც წარმოება უმთავრესია, ხოლო მეორეს მხრივ წინაპლანზე აყენებს ზექათისა თუ სხვადასხვა მოწყალებების სახით შეჭირვებულ ოჯახებზე მატერიალური დახმარების აღმოჩენას. ამ თვალსაზრისით ისლამში არსებული ზექათი, მიზნობრივად სადაზღვევო სისტემის ფუნქციას ითვისებს.

აღნიშნული საკითხი ყურანში სურა თევბეს 60-ე აიათში შემდეგნაირად არის გაცხადებული: „უეჭველად, მოწყალებანი სავალდებულოა ალლაჰისგან და განკუთვნილია: უპოვართათვის, ღატაკთათვის, ასევე იმათთვის, ვინც ამ საქმითაა დაკავებული, ვისი გულების მოგებაც შესაძლებელია, მონათათვის, ასევე ვინც ვალშია, ვინც ალლაჰის გზას ადგას და მგზავრთათვის. და ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ბრძენია! ამრიგად, საზოგადოების ის კლასი, რომელთა სასიკეთოდ ზექათის გადახდაა ნაბრძანები, იქ, სადაც ისლამის შესაბამისი ცხოვრებაა დანერგილი, ღარიბთათვის ერთობ სოციალური უსაფრხოების გარანტიაა.

5. ქონებისა და სიმდიდრის კონკრეტული პიროვნებების ხელში მოხვედრის თავიდან აცილება

უნდა ითქვას, რომ ზექათი სიმდიდრის კონკრეტულ პიროვნებებს შორის ტრიალისა და მათ ერთ ძლიერ ძალად ჩამოყალიბების თავიდან აცილებისთვის მნიშვნელოვანია ფაქტორია. რამეთუ ზექათი წინ აღუდგება სიმდიდრეს, მხოლოდ ძლიერთა ხელში იტრიალოს და მისი გარკვეული ნაწილის ღარიბების სარგებლობისთვის გაღებას აწესებს. ამრიგად ადამიანებში გაიზრდება შესყიდვისუნარიანობა და მოიმატებს ცხოვრების ეკონომიკური დონე. ზექათი ახარებს, როგორც ღარიბთა გულებს, ასევე ზოგადად სავაჭრო სექტორს. ეს ყველაფერი კი აისახება წარმოებაზე, სხვადასხვა ფაბრიკა-ქარხნების ზრდა-განვითარებაზე და დასაქმებულთა რაოდენობის გაზრდაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით ყურანში ვკითხულობთ:

„რა ალაფიც ალლაჰმა მიჰმადლა თავის შუამავალს სოფელთა მკვიდრთაგან, ალლაჰს ეკუთვნის , ასევე შუამავალს, ნათესავებს, ობლებს, უპოვრებს და მოგზაურებს. რომ არ ერგუნოს იგი ქონება მდიდარს თქვენ შორის. და რაც მოგცათ თქვენ შუამავალმა, აიღეთ იგი; ხოლო რაც აგიკრძალათ, თავი შეიკავეთ მისგან. გეშინოდეთ ალლაჰის. უეჭველად, ალლაჰი მკაცრსაზღაურიანია“!

ზემოთ მოცემულ აიათში ხსნებული ბრძანება „რომ არ ერგუნოს იგი ქონება მხოლოდ მდიდარს თქვენ შორის“ გან-

მარტავს იმ ჭეშმარიტებას, რომ წარმოებული საქონელი, ქონება და სიმდიდრე არ იყოს მხოლოდ მდიდართათვის ხელმისაწვდომი და მისგან თავიანთი კუთვნილი წილი ღარიბებმაც მიიღონ. ამრიგად შესაძლებელი იქნება სიმდიდრე საზოგადოების ფენათა შორის განაწილდეს. ზექათი სწორედ ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი, რომ ქონება საზოგადოების სხვადასხვა ფენათა შორის გადანაწილდეს.

6..ეკონომიკის შენაძენი, ქონება და სიმდიდრე

ისლამის თანახმად კაპიტალის მიზანია, არ ინახებოდეს არასამეწარმეო სფეროს მიღმა, გამოუყენებად მდგომარეობაში და უწყვეტ რეჟიმში კანონიერ ფარგლებში უნდა იყოს ბრუნვაში, ხორციელდებოდეს ინვესტიციები ან გამოიყენებოდეს საზოგადოების სასარგებლოდ. ამ საკითხთან დაკავშირებით ყურანში ვკითხულობთ: „...და რომელნიც აგროვებენ ოქროსა და ვერცხლს, ხოლო არ გაიღებენ მას ალლაჰის გზაზე , მაშინ ამცნე მათ მწარე სასჯელი! იმ დღეს გაშანთებული იქნება ჯოჯოხეთის ცეცხლზე მათი ზედაპირი, გაახურებენ და დაიდაღება შუბლნი მათი, და ფერდნი მათნი, და ზურგნი მათნი: აი, ესაა, რაც მოაგროვეთ თქვენი სულისთვის. მაშ, იგემეთ ის, რასაც აგროვებდით“! (სურა თევბე, 9/34-35) ზემოთ მოცემული აიათიდან გამომდინარ, აღნიშნული გაფრთხილება ეხებათ მათ, ვინც ქონებასა და სიმდიდრეს აგროვებს, არ იხდის მის ზექათს და არც მას საზოგადოების სასარგებლოდ იყენებენ.

უდავოა, რომ თუნდაც პიროვნებამ ზექათი გადაიხადოს და სისრულეში მოიყვანოს რელიგიური ვალდებულება, უკან დარჩენილი ქონება, რომელიც დაგროვებული აქვს და არაფერში სარგებლობს, როგორც ყოველწლიურად სავალდებულო გადასახდელი ზექათით, ასევე სხვადასხვა ინფლაციური მიზეზებით თანდათან შემცირდება. ეს კი საბოლოო ჯამში ქონების მეპატრონეს ეკონომიკურ ზიანის პირისპირ აღმოაჩენს. სწორედ ამ დროს იჩენს თავს ზექათის ეკონომიკური სიბრძნე, რაც კაპიტალის ბრუნვაში არ არსებობის გამო მის დღითი დღე შემცირებას წინ აღუდგება.

ჰადისის ლიტერატურაში აღნიშნული საკითხი შემდეგნაირად არის განმარტებული:

„ობლის ქონება სავაჭრო საქმიანობაში გამოიყენეთ, რამეთუ ზექათმა მათი ქონება არ შეჭამოს“... (ქენზულ-უმმალი, XV, 177. ჰადისის ნომერი: 40484-5)

სწორედ ასეთი მიდგომა, ერთის მხრივ მიზნად ისახავს ხელთარსებული ქონებიდან ზექათის გადახდის ბრძანებას, რომელიც საზოგადოების ღარიბი კლასისთვის ცხოვრებიესული პირობების უზრუნველყოფას ემსახურება, მეორეს მხრივ კი მიზნად ისახავს ქონების ინვესტირებას, ფინანსების წარმოებაში ჩართვასა და შესაბამისად ახალი სამუშაო ადგილების გაჩენას.

გამომდინარე აქედან, შეძლებული მორწმუნე, რომელიც ერთი წლის შემოსავლის 2.5 პროცენტს ზექათის სახით გადაიხდის, იმისათვის, რომ ქონების ნელ-ნელა შემცირებას ხელი შეუშალოს, მას უქმედ და ფუჭას ბალიშის ქვეშ არ შეინახავს და მას აუცილებლად ბიზნეზის მიმართულებითა და ეკონომიური ზრდისთვის გამოიყენებს, რაც ამავდროულად საზოგადოების მატერიალურ და სულიერ განვითარებას შეუწყობს ხელს. ამასთან ერთად უნდა ითქვას, რომ ქონების ექონომიკაში გამოყენება საზოგადოების ცხოვრების პირობებზე პოზიტიურად აისახება.

ზექათის სამართლის არსი

“მათ არ ბრძანებიათ სხვა რამ, გარდა მრავალღმერთიანობისგან შორს, გულწრფელად თაყვანისცემა ალლაჰისა; და აღავლინეთ ლოცვა და გაეღოთ ზექათი, და სწორედ ეს არის ჭეშმარიტი სარწმუნოება”. (ბეიინე 98/5)

იმისათვის, რომ ზექათის ღვთისმსახურება ამქვეყნიური და საიქიო ცხოვრებისთვის სარგებლის მომტანი იყოს, ისლამის სწავლულები გარკვეულ პირობებს ადგენენ. აღნიშნულ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს, როგორც ზექათის გადამხდელი და ამღები პიროვნები, ასევე ზექათის სახით გადასახდელ ქონება. გარდა ამისა, ზექათის გადახდის კულტურასთან დაკავშირებით ყურანსა და ჰადისებში გვხვდება საჭირო ცნობები, სადაც განსაკუთრებით და ხაზგასმითაა აღნიშნული უარყოფითი შედეგებიც, რომელიც ზექათის გადაუხდელობას შეეხება. ქვემოთ მოცემულ თავში მოკლედ განვიხილავთ ზექათის სამართლებრივ (ფიქიჰისეულ) მხარეს.

ა. ზექათის პასუხისმგებლობის პირობები

იმისათვის, რომ ვინმეს ზექათის გადახდის პასუხისმგებელობა დაეკისროს, გარდა იმისა, რომ უნდა იყოს მუსლიმი, თავისუფალი და მოწიფებულობას მიღწეული, უნდა გააჩნდეს ვალებისა და ძირითადი საჭიროებების გარდა, როგორც ნაღდი ასევე უნაღდო მატებითი ხასიათის ნისაბის ოდენობის ქონება ან სიმდიდრე. ამ თვალსაზრისით, როდესაც ისლამის სწავლულები ზექათთან დაკავშირებულ პი-

„უეჭველად, მოწყალებანი სავალდებულოა ალლაჰისგან და განკუთვნილია: უპოვართათვის, ღატაკთათვის, ასევე იმათთვის, ვინც ამ საქმითაა დაკავებული, ვისი გულების მოგებაც შესაძლებელია, მონათათვის, ასევე ვინც ვალშია, ვინც ალლაჰის გზას ადგას და მგზავრთათვის. და ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ბრძენია! (თევბე, 9/60)

რობებს განმარტავდნენ, აღნიშნავდნენ, რომ საჭირო იყო მისი ერთი ნაწილი პასუხისმგებელ პიროვნებებს, ხოლო მეორე ნაწილი ქონებას ახასიათებდეს.

1. პირობები, რომელსაც პასუხისმგებელი პირი უნდა აკმაყოფილებდეს

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმისათვის, რომ პიროვნებას ზექათის გადახდის ვალდებულება დაეკისროს, საჭიროა იყოს მუსლიმი, გონიერი, მოწიფებულობას მიღწეული, მდიდარი და თავისუფალი.

ა. მუსლიმი

განურჩევლად ადამიანის სქესობრივი განსხვავებისა, ყოველი მუსლიმი მამაკაცი თუ ქალი უზენაესი ალლაჰის ბრძანების თანახმად ვალდებულნი არიან გადაიხადონ ზექათი. (ბაყარა, 2/43-110; თევბე, 9/71; ჰაჯი, 22/78; მუყმინუნი, 23/4; ნური, 24/56; მუჯადელე, 58/13 და მუზზემილი, 73/20) გარდა ამისა შუამავლის (ს.ა.ს.) ჰადისებში გაცხადებულია, რომ ზექათი მუსლიმების მიერ გადასახდელი მატერიალური პასუხისმგებლობაა. ამასთან ერთად, ზექათი, ისლამის ერთ-ერთ ძირითად პირობად ითვლება და იგი თავისთავად სრულფასოვან ღვთისმსახურებას წარმოადგენს. (ბუხარი, იმანი, 2)

თუკი დავფიქრდებით იმაზე, რომ ზექათის ვალდებულება რატომ მხოლოდ და მხოლოდ მუსლიმებს ეკისრებათ შესაძლოა შემდეგი პასუხი გაეცეს. ისლამმა თავის მოსაუბრედ,

მხოლოდ მორწმუნე ადამიანები მიიჩნია და აღნიშნული რწმენის შესაბამისად მათ გარკვეული პასუხისმგებლობები დააკისრა. გამომდინარე აქედან, სხვა ღვთისმსახურებების მსგავსად, ზექათის შემთხვევაშიც უმთავრეს პირობად პასუხისმგებელი პირის მიერ ისლამის აღიარების საჭიროება დგას. ამის შემდეგ მუსლიმი პიროვნება ვალდებულია გადაიხადოს და სისრულეში მოიყვანოს ზექათის ვალდებულება. რამეთუ არამუსლები არ არიან პასუხისმგბელენი გადაიხადონ ზექათი, შეასრულონ ლოცვა, დაიცვან მარხვა და სხვა. თავდაპირველად, ის რაც მათ ევალებათ, არის რწმენა, შემდეგ აღიარონ ერთად ერთი ღვთაება, უარი განაცხადონ არ დაუდგინონ მოზიარე დიად გამჩენს და ამის შემდეგ ნება მიეცამათ შეასრულონ ისლამის სხვა ბრძანებები.

ბ. გონიერი და მოწიფებულობას მიღწეული

პირობები, რომელსაც ლოცვა და მარხვა მოითხოვს, პრინციპულად იგივეს საჭიროებს ზექათის გადამხდელიც. მაგრამ გამომდინარე იქედან, რომ ზექათი, რომელიც სოციალურ დახმარებასა და თანადგომას მოიცავს, მასში სიდუხჭირეში მყოფთა უფლებებია გათვალისწინებული და ამ თვალსაზრისით ისლამის სწავლულთა შეხედულებები სხვა ღვთისმსახურებიგან შედარებით განსხვავებულია. სწავლულები კამათობენ იმის შესახებ, რომ თუკი ლოცვისა და მარხვის ვალდებულების შემთხვევაში გონიერება და მოწიფებულობა მთავარი პირობაა, შეეხება თუარა ანალოგიური პირობები ზექათს. აღსანიშნავია, რომ სწავლულთა შეხედულებები თანხვედრაშია ოშურთან (სამეურნეო პროდუკტების გადასახადი) დაკავშირებით და ამ შემთხვევაში ბავშვები და ფსიქოლოგიური პრობლემების მქონეების ვალდებულებები ყოველმხრივ ჯანმრთელების პასუხისმგებლობის ანალოგიურია. თუმცა სწავლულთა შეხედულებები ზექათის გადასახადთან დაკავშირებით ერთმანეთისგან განსხვავებულია. შესაბამისად ისლამის სწავლულთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ფსიქიკურად დავადებულნი არ არიან ვალდებული გადაიხადონ ზექათი, ხოლო სწავლულთა მეორე

ნაწილი ფიქრობს, რომ ზექათის გადახდის ვალდებულება მათაც ეკისრებათ.

მაშ ასე, პიროვნება, რომელიც გონებრივად არ არის გაწნონასწორებული და არც მოწიფებულობის ასაკს არის მიღწეული, რელიგიური თვალსაზრისით პასუხისმგელიანად არ ითვლებიან, ამიტომაც ვალდებული არ არიან გადაიხადონ ზექათი. მაგრამ გამომდინარე იქედან, რომ მდიდრების ქონებაში ღარიბებს თავიანთი უფლება გააჩნიათ და სიმდიდრის ვალად წოდებული ზექათის გადახდა საზოგადოების წინაშე არსებული პასუხისმგებლობის არსს ატარებს, მდიდარ ბავშვებს და გონებირვად გაუწონასწორებელ პიროვნებებს, შესაძლოა, როგორც პიროვნებას არ ეკისრებოდეს ზექათის გადახდის ვალდებულება, თუმცა მშობლებს ან სამართალმემკვიდრეებს ნება ეძლევათ მოხდეს მათი კუთვნილი ზექათის გადახდა.

გ. სიმდიდრე

როდესაც ისლამი ადამიანებს ღვთისმსახურების პასუხისმგებლობას აკისრებს, ითვალისწინებს იმას, რომ შეესაბამება თუ არ მათი ქონება, სხეული და გონებრივი მდგომარეობა აღნიშნული ღვთისმსახურების სისრულეში მოყვანის უნარებს. სხვაგვარად ისეთი მძიმე პასუხისმგებლობის დაკისრება, რისი უნარიც პიროვნებას არ გააჩნია, ისლამის ძირითად პრინციპებს ეწინააღმდგება. მატერიალური ღვთისმსახურების სისრულეში მოყვანა, მხოლოდ მატერიალური შესაძლებლობით უნდა იქნას უზრუველყოფილი. ამ თვალსაზრისით დადგენილია დოგმად, რომ ზაქათისა და ფითრას მსგავსი მატერიალური ღვთისმსახურების ვალდებულება, მხოლოდ მდიდრებს შეეხებათ. ამასთად ერთად უნდა ითქვას, რომ სიმდიდრის მცნებასთან დაკავშირებით სხვადასხვა გვარი შეხედულებები არსებობს. ალლაჰის შუამავალის (ს.ა.ს.) ცხოვრებაში რელიგიური სიმდიდრე, იმ ქონების რაოდენობის მიხედვით იქნა განსაზღვრული, რომელიც ზექათს ექვემდებარებოდა. ამას კი რელიგიური ლიტერატურაში „ნისაბს“ უწოდებენ.

თუ რამდენის გადახდა უნდა მოხდეს იმ ქონებიდან, რომელიც ზექათს ექვემდებარება მომდევნო თავებში იქნე-

ბა განმარტებული, ამიტომაც აქ ნისაბის რაოდენობებზე აღარ შევჩერდებით. ასევე უნდა ითქვას, ისლამის სწავლულებს ალლაჰის შუამავლის (ს.ა.ს.) პერიოდში დადგენილი სიმდიდრის ზომებთან დაკავშირებით, განსხვავებული შეხედულება გააჩნიათ. მაგალითა თანაბარი შეიძლება თუარა იყოს იმ პერიოდის სიმდიდრის საზომი, დღევანდელი პერიოდში პატარა ოჯახის ერთი წლის განმავლობაში საჭირო რესურსებისა. რადგან ალლაჰის შუამავლის პერიოდში ზექათს დაქვემდებარებული ქონება, რაიმესთან შედარებით იყო განსაზღვრული. არიან სწავლულთა ნაწილი, რომელის აღნიშნულის საპირისპირო მოსაზრებას იზიარებენ და ამბობენ, რომ სიმდიდრის საზომი თავიდან, დღევანდელი დღის შესაბამისად, სიღარიბისა და უპოვრობის ზღვარის მიხედვით უნდა განისაზღვოს.

დ. თავისუფლება

როგორც ზემოთ აღინიშნა, ზექათი ქონებრივი შესაძლებლობის მქონე პიროვნებებისთვის დადგენილი მატერიალური ღვთისმსახურების სახეობაა. იმისათვის, რომ ვინმემ მიაღწიოს იყოს მატერიალურად შეძლებული, მნიშვნელოვანი პირობაა გააჩნდეს ქონების უფლება და შეეძლოს მისი გამოყენება. გამომდინარე აქედან, ზექათის გადახდის ვალდებულება არ ეკისრება ისეთ პიროვნებას, ვისაც თავისუფლება შეზღუდული, აღკვეთილი ან წართმეული აქვს.

2. პირობები, რომელსაც ქონება უნდა აკმაყოფილებდეს

როგორც ალლაჰის შუამავლის ჰადისებიდან და მისი პრაქტიკიდან ირკვევა, იმისათვის, რომ ვინმეს ზექათის გადახდის ვალდებულება დაეკისროს, გარდა იმ პირობებისა, რასაც პასუხისმგებელი პირი უნდა ატარებდეს, საჭიროებს ზექათს დაქვემდებარებული ქონება სრულ მფლობელობაში იყოს, მატებით ხასიათი გააჩნდეს და ნისაბის რაოდენობას აღწევდეს. ამასთან ერთად, ერთი წელი უნდა იყოს გასული და პიროვნებას ვალებისა და ძირითადი მოთხოვნილებისთვის საჭირო რაოდენობას აღემატებოდეს. ეს საკითხი კი შევეცადოთ ქვემოთ ცალკეულად განვამრტოთ:

ა. სრულ კუთვნილებას უნდა გამოხატავდეს

იმისათვის, რომ ქონება სრულ კუთვნილებას გამოხატავდეს, მესაკუთრეს როგორც თვით ქონების, ასევე მისგან მიღებული სარგებლისა და შემოსავლის, სურვილისამებრ მოხმარების უფლება გააჩნდეს. რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნულ ქონებასთან სხვა ვინმეს რაიმე სახის უფლება არ უნდა გააჩნდეს. მიუხედავად მიზეზისა, პიროვნების კუთვნილებიდან გასული ქონება, სანამ მეპატრონის მხრიდან მასზე ხელახლა არ იქნება უფლება მოპოვებული, ზექათის გადახდაზე საუბარი ზედმეტია.

ბ. ქონება მატებითი ხასიათის უნდა იყოს

იმისათვის, რომ ქონება ზექათს დაექვემდებაროს, საჭიროა მას გააჩნდეს მატებითი და გამრავლებითი ხასიათი. ეს კი პირუტყვში შობით, ხოლო სავაჭრო ქონებაში ვაჭრობის გზით მიღწეული მატებით გამოიხატება. ამავე ქონტექსტში განიხილება ოქრო, ვერცხლი და ფული, რამეთუ მათ ახასიათებთ მატების თვისება.

გ. ნისაბის რაოდენობა

„ნისაბი“ ეს არის ზღვარი, რაც ზექათის, ფითრისა და ყურბანის მსგავს ღვთისმსახურებისთვის დადგენილი სიმდიდრის საზომია. „ნისაბს“, შეიძლება სიმდიდრის მინიმალური ზღვარიც ეწოდოს“. მდიდრად ითვლება პიროვნება, ვინც ვალებისა ძირითადი მოთხოვნილებისთვის საჭირო ქონების გარდა, ნისაბის რაოდენობის ქონებას ფლობს. ასეთ დროს ყურადღება არ ექცევა არც ქონების სახეობას და არც მის კუთვნილებაში არსებობიდან ერთ წლის გასვლა-არგასვლას. ამ შემთხვევაში მფლობელი ვალდებულია გადაიხადოს ფითრა და დაკლას ყურბანი. ხოლო მას შემდეგ რაც მატებითი ხასიათის ქონება ნისაბის რაოდენობას მიაღწევს და მისი მფლობელობაში არსებობიდან ერთი წელი გავა, მესაკუთრე ვალდებულია გადაიხადოს ზექათი.

ისლამის სწავლულების შეხედულებით, გარდა იმამი ებუ ჰანიფესი, იმისათვის, რომ ნებისმიერი ქონება ზექათს დაექვემდებაროს, აუცილებელია იგი ნისაბის რაოდენობას აღწევდეს. რაც შეეხება სამეურნეო პროდუქციას, ის ებუ ჰანიფეს მოსაზრებით, ნისაბის რაოდენობას არ მოითხოვს.

ნისაბის რაოდენობა, რომელიც სიმდიდრის მინიმალურ ზღვარს წარმოადგენს, ალლაჰის შუამავლის მიხრიდან თითოეული ქონებისთვის ცალკეულად იქნა განსაზღვრული. აღნიშნული მინიმალური ზღვარი, ერთის მხირვ იმ პერიოდის მუსლიმი საზოგადოების ცხოვრების საშუალო სტანდარტსა და სიმდიდრის საზომს წარმოადგენდა.

დ. ძირითად მოთხოვნილებას უნდა აღემატებოდეს

ისლამი, ისე როგორც ფიზიკური, ასევე მატერიალური ღვთისმსახურების –ზექათის შემთხვევაში პასუხისმგებელი პირის მდგომარეობას აუცილებლად ითვალისწინებს. შესაბამისად პიროვნებას კონკრეტულად აკისრებს იმას, რისი ძალაც მას შესწევს. იმისათვის, რომ პიროვნებას ზექათისა და ფითრის გადახდის პასუხისმგებლობა დაეკისროს, იგი ძირითადი მოთხოვნილებისთვის საჭირო ქონების გარდა, უნდა ფლობდეს ნისაბის რაოდენობის ქონებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით ყურანში ვკითხულობთ: „და გეკითხებიან, რა გასცენ. უპასუხე: საჭიროზე ზედმეტი. ასე განგიმარტავთ ალლაჰი თავის აიათებს, ეგებ დაფიქრდეთ“ (ბაყარა, 2/219) ისლამის სწავლულები ზემოთ მოცემული აიათის საფუძველზე შემდეგნაირ განმარტებას აკეთებენ: პიროვნება, რომელიც სამრათლიანი გზით მოიგებს ალალ ქონებას, მას შემდეგ რაც საკუთარი და ოჯახის წევრების ძირითად მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებს, ვალდებულია დარჩენილი ქონებიდან ქველმოქმედების სახით გაიღოს. ძირითად მოთხვნილებებში ნაგულისხმევია თვით პიროვნებისა და მისი მზრუნველობის ქვეშ მყოფი წევრების სიცოცხლისთვის საჭირო რესურსები. ძირითადი მოთხოვნილებები ზოგადად მოიცავს საცხოვრებლის, სარჩოს, (საჭმელი, სასმელი, სამოსი და ჯანმრთელობისთვის საჭირო

ელემენტები) ტრასპორტის ხარჯს, განათლებას, საოჯახო ავეჯს, ხელოვნებისა თუ პროფესიისთვის განკუთვნილ ხელსაწყოებსა და მანქანა-დანადგარებს, ასევე წიგნებს, უსაფრთხოების საშუალებებს, ელექტრო ენერგიის, წყლისა და გათბობის მსგავს ყოველთვიური გასავალს. ზემოთ ჩამოთვლილზე უფრო მეტი ქონების მფლობელი პიროვნება, ვალდებულია გადაიხადოს ზექათი. გარდა ამისა, შესაძლებელია ითქვას, რომ ძირითადი მოთხოვნილებები სოციალ-ეკონომიური განვითარების, დროისა და გარემოებების მიხედვით ნაწილობრივ ცვლილებას დაექვემდებაროს.

ე. კუთვნილებიდან ერთ წელი უნდა იყოს გასული

„ქონება ზექათს არ ექვემდებარება, თუ არ გასულა მისი მფლობელობაში არსებობიდან ერთი წელი“, (იბნი მაჯე, ზექათი, 5) ისლამის სწავლულები, რომლებიც ალლაჰის შუამავლის ზემოთ მოცემული ჰადისიდან და მართლმორწმუნე ხალიფათა ცხოვრების პრაქტიკას იდგენენ საფუძვლად, ოქროს, ვერცხლის, ფულისა და პირუტყვისგან ზექათის გადახდის პირობად, მისი მფლობელობიდან ერთი მთვარისეული წლის გასვალს ასახელებენ.

ერთი წლის გასვლაში, ქონების მფლობელობაში არსებობიდან წლის დასაწყისსა და დასასრულს ექცევა ყურადღება. გამომდინარე აქედან, არ იქნება გათვალისწინებული წლის რომელიმე შუალედურ პერიოდში ქონების მატება ან შემცირება. მას შემდეგ რაც ქონების მფლობელობიდან ერთი წელი გავა, იდენტური ქონების მფლობელობის შემთხვევაში არ არის აუცილებელი პირობა კონკრეტულად მისი მფლობელობიდან იყოს ერთი წელი გასული. ამ შემთვევაში ზექათის გადახდა საჭიროა წინა ქონებასთან ერთად მოხდეს.

უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების ზექათის გადახდა მოსავლის მიღების დროს უნდა მოხდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი მფლობელობაში არსებობიდან ერთი წლის გასვლა არ არის აუცილებელი. რაც შეეხება ბუნებრივი რესურსებისა მიწისქვეშა საბადოების ზექათს,

მისი გადახდა მაშინ იქნება საჭირო, როცა მისი მოპოვება მოხდება. არც ამ შემთხვევაშია აუცილებელი მისი მფლობელობაში არსებობიდან ერთი წლის გასვლა.

ბ. ზექათის ნებადართულობის პირობები

ზექათის პასუხისმგებლობებსა და პირობებზე საუბრის შემდეგ, მნიშვნელოვანია შევეხოთ პასუხისმგებელ პიროვნებას, რომელსაც ზექათის გადახდა ეკისრება და რა პირობებს მოითხოვს იყოს მისაღები მის მიერ შესრულებული ღვთისმსახურება.

1. განზრახვა/გულწრფელობა

ისლამში განზრახვა და გულწრფელობა უმთავრესი პირობაა იმისათვის, რომ ესათუ ის ღვთისმსახურება უზენაესი ალლაჰის წინაშე მიღებულიყოს. რამეთუ რელიგიის საფუძველი გულწრფელობაზეა დამყარებული. (მუსლიმი, იმანი, 95) გამომდინარე აქედან, მუსლიმი ნებისმიერ საქმესა და ღვთისმსახურებაში გულწრფელი უნდა იყოს.

ყურანში, იმისათვის, რომ ლოცვის, მარხვის, ჰაჯობის, ზექათისა და ყურბანის მსგავსი ყველა ღვთისმსახურება ღვთის წინაშე მისაღები იყოს, უმთავრეს პირობებს გულწრფელობა, სუფთა განზრახვა და ღვთისმოსაობა წარმოადგენს.

„მათ არ ბრძანებიათ სხვა რამ, გარდა მრავალღმერთიანობისგან შორს, გულწრფელად თაყვანისცემა ალლაჰისა; და აღევლინათ ლოცვა და გაეღოთ ზექათი, და სწორედ ეს არის ჭეშმარიტი სარწმუნოება“! (ბეიინე, 98/5) ... უსათუოდ ვერ მიაღწევს ალლაჰთან ხორცნი შესაწირისა და ვერც სისხლნი მისი. მაგრამ მიუვა მას მხოლოდ თქვენი ღვთისმოშიშობა“. (ჰაჯი, 22/37)

ალლაჰის შუამავალი ბრძანებს: „ყოველი საქმე განზრახვის შესაბამისად შეფასდება. თითოეული ადამიანი თავის ქმედების სანაცვლოს, განზრახვის შესაბამისად მიიღებს“.

(ბუხარი, ბედ'ულ ვაჰიი, I; იმანი, 41; იმარეთი, 155) ამ სიტყვებით ალლაჰის შუამავალი რელიგიის არსად გულწრფელობასა და კეთილგანზრახულობას ასახელებდა.

სხვა მხრივ, როდესაც პიროვნების განზრახვა უზენაესი ალლაჰის კმაყოფილების დამსახურებაზეა აგებული, არამხოლოდ შესრულებული ქმედებების, არამედ განზრახული თუმცა შეუსრულებელი ქმედებების გამოც იქნება დაჯილდოებული. ეს კი ისლამში კეთილი განზრახვის უდიდეს მნიშვნელობაზე აშკარად მიუთითებს. ალლაჰის შუამავალ ამ შეუდარებელ წყალობას შემდეგი სიტყვებით გადმოსცემს:

„მას შემდეგ რაც უზენაესმა ალლაჰმა სიკეთე და ბოროტება დაადგენა, მისი სიკეთედ და ბოროტებად სისრულეში აღსრულება ასე განმარტა: „ვინც სიკეთის ქმნას განიზრახავს და მას სისრულეში ვერ მოიყვანს, დიადი გამჩენი მას სისრულეში მოყვანილ საოცარ სიკეთედ ჩაუთვლის, მაგრამ თუკი ვინმე სიკეთის ქმნას განიზრახავს და მას შეასრულებს კიდეც, აღნიშნული სიკეთე ათიდან შვიდასამდე გაზრდილ მადლად დაეწერება. თუკი ვინმე სიავეს განიზრახავს და შემდეგ მასზე უარს იტყვის, საოცარ სიკეთედ დაეწერება. და თუკი ვინმე სიავეს განიზრახავს და მას სისრულეში მოიყვანს, უზენაესი ალლაჰი აღნიშნულ სიავეს მხოლოდ ერთ ცოდვად დაუწერს". (ბუხარი, რიყაყი, 31; მუსლიმი, იმანი, 207)

გულწრფელობის ანტონიმი ცდუნების, სიცრუის, ორპირობისა და თვალთმაქცობის მსგავსი ქმედებებია, რომელიც ისლამის ზნეობას არ შეეფერება და ღვთისმსახურების მიმღებლობასთან დაკავშირებით დაბრკოლებას წარმოადგენს.

მაშ ასე, როგორც სხვა ყველა ღვთისმსახურების, ასევე ზექათის ღვთის წინაშე მიმღებლობის შემთხვევაშიც ალლაჰის კმაყოფილებაზე დამყარებულ კეთილ განზრახვასა და გულწრფელობას მოითხოვს. გამომდინარე აქედან, შეძლებული მუსლიმები როდესაც უპოვარს ზექათს გასცემენ ან ზექათისთვის რაიმე სახის ქონებას შეარჩევენ, საჭიროა

მიზნად ღვთისმსახურება დაისახონ. თუმცა არ არის აუცილებელი განზრახვის სიტყვები ენით ხმამაღლა წარმოთქვან.

ზექათის გაცემისას საკმარისია შინაგანად განზრახვა დაისახოთ. მაგალითად, ქონების მეპტრონე, როდესაც ღარიბს თავისი ქონების ნაწილს სესხად გასცემს და შემდეგში აღნიშნული ქონების ზექათის სახით გადაცემას გადაწყვეტს, ესეც რელიგიურად განზრახვად ითვლება და მიღებულია.

სრულუფლებიანი გადაცემა –თემლიქი

იმისათვის, რომ ზექათი ძალაში შევიდეს ერთ-ერთი პირობა თემლიქი ანუ სრულუფლებიანი გადაცემაა, რაც ნიშნავს იმას, რომ ქონება იქნება თუ ნაღდი ფული, რომელიც ზექათის სახით უნდა გაღებულიქნას, მასზე სრულუფლებიანი უნდა გახდეს პიროვნება, რომელსაც უფლება აქვს აიღოს ზექათი.

მტკიცებულება, რომელიც ზექათის სრულუფლებიანობას შეეხება, უზენაესი ალლაჰის ბრძანებაა, რომელიც ყურანში სურა ბაყარას 2/43-ე, ნურის, 24/56; და მუზემმილის 73/20 ე აიათებში გვხვდება: „ზექათი გაეცით“. აღნიშნულ აიათში გაცხადებული ბრძანება, „გაეცით“, ნიშნავს ქონების უპოვრებზე სრული უფლებით გადაცემას, რაც ზექათის ნამდვილობას ანუ კანონიერებას გამოხატავს.

ზექათი, როგორც სურა თევბეს 60-ე აიათში გაცხადებული, ნებადართულია უპოვარს გასცეს პირადად ზექათის გადამხდელმა, ასევე შესაძლებელია ღარიბებსა და უპოვრებზე გადაცემის პირობით, მისცეს ისეთ საქველმოქმედო ფონდებსა და ორგანიზაციებს, ვისაც ენდობა და ვინც ნამდვილად მიიტანს ნამდვილს ადრესატამდე. აღნიშნული ორივე შემთხვევა მოიცავს სრულუფლებიანობას და იგი რელიგიურად მიღებულად ითვლება.

სხვა მხირვ სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილი გადასახადები არ შეიძლება ჩაითვალოს ზექათად. გადასახადის გადამხდელი პიროვნება, თუკი ზექათის გადახდის პასუხისმგებლობა ეკისრება, ვალდებულია ცალკეულად

გადაიხადოს ზექათიც. უდავოა, რომ გადასახადების სახელმწიფოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი წყაროა. სამსახური, რომელსაც მოსახლეობა სახელმწიფოსგან მოელის, გადასახადებს საჭიროებს. მაგრამ სახელმწიფო გადასახადი და ზექათი, კანონიერი წყარო, ძირითადი მიზანი, მოცულობა, რაოდენობა და ადგილები თუ სად უნდა დაიხარჯოს ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება. ამასთან უნდა ითქვას, რომ სახელმწიფოსთვის გადასახადი მოქალაქეობრივი ვალია, ხოლო ზექათი რელიგიური პასუხისმგებლობაა.

გ. ქონება და მისი სახეობები, რომელიც ექვემდებარება ზექათს

როგორც ვიცით ყურანში იმ ქონების სახეობებისა და რაოდენობების შესახებ, რომლებიც ექვედებარება ზექათს, ზოგადად განმარტებითი ინფორმაცია არ მოიპოვება. აღნიშნულ საკითხს ძირითადად ალლაჰის შუამავლის ჰადისებში ეთმობა ადგილი. ისლამის სამართლებრივ ლიტერატურასა და რელიგიურ სხვადასხვა ნაწარმოებებში ზექათთან დაკავშირებული საკითხები დეტალურად შემდეგ ქვესათაურებად არის განხილული:

1. ოქრო და ვერცხლი

ალლაჰის შუამავალმა ოქროს ნისაბი 20 მისხალით, ხოლო ვერცხლის ნისაბის რაოდენობა 200 დირჰემით განსაზღვრა. რაც შეეხება აღნიშნული ძვირფასეულობიდან ზექათის რაოდენობას, იგი 1/40 (2.5 %) დაადგინა. მაგრამ ისლამის სწავლულებმა 20 მისხალი ოქორსა და 200 დირჰემის საფასური ვერცხლის გრამაჟობის შესახებ განსხვავებული შეფასებები წამოაყენეს. განსხვავებული მოსაზრებების მიხედვით 20 მისხალი ოქრო 80.18 გრამ ოქროდ, ხოლო 200 დირჰემის საფასური ვერცხლი, 561,2 გრამ ვერცხლად იქნა შეფასებული. გამომდინარე აქედან ოქრო და ვერცხლი არ ექვედებარება ზექათს, თუკი მისი მოცულობა ზემოთ მოცემული რაოდენობას არ აღეწევს.

სხვადასხვა წყაროების თანახმად, ისლამის პირველსავე პერიოდში 20 მისხალი ოქროსა და 200 დირჰემის საფასურის ვერცხლი, ღირებულების მიხედვით ერთმანეთის თანასწორია. მაგრამ, გამომდინარე იქედან, რომ დღეს-დღეობით ოქრო, ვერცხლისგან განსხვავებით უფრო ნაკლებად ფასობს, სავაჭრო ქონების, რომელიც ზექათს ექვემდებარება, ნისაბის დაანგარიშებისას, საჭიროა საზომად ოქროს ნისაბი იქნეს გათვალისწინებული. ამასთან ერთად მას ვისაც გააჩნია ვერცხლი, რომლსი რაოდენობაც ნისაბის რაოდენობას აღემატება, მან ზექათი ვერცხლის ნისაბის მიხედვით უნდა გადაიხადოს.

2. ლითონის მონეტები და ქაღალდის ფული

გამომდინარე იქედან, რომ ისლამის სამართლებრივი მიმდინარეობები ახლად ყალიბდებოდა და მიმოქცევაში არ იყო ფულის კუპიურები, ქაღალდის ფულის ზექათის შესახებ არავინ საუბრობდა. შემდეგ წლებში, როდესაც სავაჭრო საქმიანობის დარგში ოქროს ადგილი ქაღალდის ფულმა ჩაანაცვლა, როგორც ოქროსა და ვერცხლში, ასევე ქაღალდის ფულშიც ღარიბებისა და უპოვრების უფლებები გაჩნდა. შესაბამისად ქაღალდის ფულიც ზექათს დაექვემდებარა. ამიტომაც დღეს-დღეისობით ლითონის მონეტები და ქაღალდის ფული, იგივეა რაც ოქრო, ვერცხლი და სავაჭრო საქმიანობის ქონება.

ისლამის სწავლულები, რომლებიც ითვალისწინებენ აღნიშნულ მდგომარეობას, პიროვნება, რომელიც ვალდების გარდა 80,18 გრამ ოქროსა და 561,2 გრამი ვერცხლის ღირებულების ფულს ფლობს, წლის ბოლოს 1/40 (2.5 %) ღირებულების საფასური ზექათის სახით უნდა გადაიხადოს.

3. ოქროსა და ვერცლისგან დამზადებული ძვირფასეულობა

ალლაჰის შუამავლის მიერ გადმოცემული ზოგეირთი ჰადისის თანახმად, სწავლულთა ნაწილი ფიქრობს, რომ ვისაც გააჩნია ძვირფასეულობა, რომელიც ოქროსა და ვერცხლისგან არის დამზადებული და მისი რაოდენობა ნისაბს

აღწევს, უნდა გადაიხადოს ზექათი. მათ შორის ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად, ერთხელ ერთი ქალბატონი ქალიშვილთან ერთად ალლაჰის შუამავალთან (ს.ა.ს.) მივიდა, რომლის ქალიშვილსაც ხელზე ორი მსხვილი სამაჯური ეკეთა. ალლაჰის შუამავალმა მას ჰკითხა: „ამის შესაბამის ზექათს იხდი? ქალმა მიუგო: „არა“. მაშინ ალლაჰის შუამავალმა ბრძანა: „განკითხვის დღეს, უზენაესმა ალლაჰმა მათ ნაცვლად, რომ ცეცხლის ორი სამაჯური შეგაბას მოგეწონება?“. ამ სიტყვების გაგონებაზე, ქალმა მაშინვე მოხსნა სამაჯურები, ალლაჰის შუამავალს გაუწოდა და თქვა: „ესენი ორივე უზენაეს ალლაჰსა და მის შუამავალს ეკუთვნის“. (ებუ დავუდი, ზექათი, 4; ნესაი, ზექათი, 19)

კიდევ ერთი გადმოცემის თანახმად, აბდულლაჰ ბინ შედდად ბინ ელ ჰადიდი შემდეგს მოგვითხრობს: ალლაჰის შუამავლის ძვირფას მეუღლესთან –აიშესთან მივედით. მართლმორწმუნეთა დედამ –აიშემ ბრძანა: „ერთხელ, როდესაც ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს.) ჩემთან შემოვიდა და თითებზე ვერცხლის დიდი ბეჭდები დამინახა მკითხა: „რა არის ესენი აიშე“? მივუგე: „ალლაჰის შუამავალო, მინდოდა შენთვის მოვკაზმულიყავი და ესენი იმიტომ გავიკეთე“. მაშინ შუამავალმა (ს.ა.ს.) მკითხა: „ამათ ზექათს გასცემ“? მივუგე: „არა, არ გადამიხდია“. მან ბრძანა: „ეს, საკმარისია იმისათვის, რომ ცეცხლში აღმოჩნდე“. (ებუ დავუდი, ზექათი, 4)

მაშ ასე, ოქრო და ვერცხლის გარდა ძვირფასეულობა, -თუკი ისინი სავაჭრო საქმიანობაში არ შედის, ზექათის გადახდას არ ექვემდებარება. ხოლო ძვირფასეულობა, რომელიც ოქროსა და ვერცხლისგან არის დამზადებული და მისი რაოდენობა შეადგენს 80,18 გრამს ან აღემატება, მისი მფლობელობაში არსებობიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ ზექათის გადახდას საჭიროებს.

4. წვრილფეხა და მსხველფეხა პირუტყვი

უზენაესი ალლაჰი, რომელმაც ცხოველები ადამიანების სამსახურისთვის გააჩინა, მათი სხვადასხვა სარგებლიანობის შესახებ ყურანში შემდეგს გვამცნობს: გარდა იმისა, რომ ისინი გამოიყენებიან გათბობის, კვებისა და ტვირთის

ტრანსპორტირებისთვის, (ნაჰლი, 16/5-7) ამასთან ერთად მათი რძე სასიამოვნოა დასალევად. (ნაჰლი, 16/66) ასევე სარგებლის მომტანია ცხოველების ბეწვი, ტყავი, მატყლი, რომლისგანაც მზადება ტანისამოსი. (ნაჰლი, 16/80) ცხოველები ადამიანის ცხოვრების განუყოფელი ნაწილი არიან და მათ გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია. გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა ყურანში კიდევ უფრო მეტი სარგებლიანობის შესახებაა გაცხადებული, რის გამოც ადამიანებს მხოლოდ მადლიერება მართებთ. (იანის, 36/71-73)

უდავოა, რომ მადლიერება რომელიც ადამიანს ევალება, თავდაპირველად მისი იგი საკუთრებაში არსებული ცხოველებისგან გადახდილი ზექათით გამოიხატება. გამომდინარე აქედან, ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს) საიქიო სასჯელს ახსენებს მათ, ვინც შესაბამის საქონლეს ფლობს და მის სათანადო ზექათს არ იხდის. ჰადისებში დეტალურად არის გაწერილი, თუ რომელი ცხოველიდან რა რაოდენობის ზექათის გადახდა უნდა მოხდეს. თუკი საკითხთან დაკავშირებით ჰადისებსა და თანამიმდევართა პრაქტიკას დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ აქლემი, მსხვილეხა საქონელი და ცხვარი ზექათს ექვემდებარება. აქედან, აქლემის ნისაბი 5, ცხვრის 40, ხოლო მსხვილფეხა საქონლის ნისაბი 30-ით არის განსაზღვრული. (იბნი მაჯე, 11, 12, 13; ებუ დავუდი, ზექათი, 5) მაშ ასე, ზემოთ აღნიშნული ცხოველები, რომლებიც ზექათს ექვემდებარებიან, იმაზე უფრო მეტი რაოდენობით ყოლის შემთხვევაში რამდენსაც ძირითადი საჭიროება მოითხოვს, მათი მფლობელობაში არსებობიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ ზექათის გადახდის ვალდებულება დგება დღის წესრიგში.

მაგრამ, იმისათვის, რომ ზემოთ ხსენებული ცხოველები ზექათს დაექვემდებარონ, წლის დიდი ნაწილი საძოვარზე უნდა გამოიკვებებოდენ. ასევე არ უნდა იყოს ბაგაზე გამოკვებილი და სოფლის მეურნეობაში ტვითმზიდებად არ უნდა იყვნენ გამოყენებული.

5. სავაჭრო საქონელი

ყურანში ვკითხულობთ: „ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ!

გაეცით იმ საუკეთესოთაგან, რაც მოიხვეჭეთ და რაც მიწიდან აღმოვაცენეთ თქვენთვის. და არ განიზრახოთ მისგან ყველაზე ცუდი გასაცემად, რისი ამღებიც არ იქნებოდით თქვენ". (ბაყარა, 2/267) აიათში მოცემული სიტყვები: „გაეცით იმ საუკეთესოთაგან, რაც მოიხვეჭეთ" განმარტებულია, როგორც ვაჭრობის გზით მიღებული მოგება, რომელიც ექვემდებარება ზექათის გადახდას. გარდა ამისა ერთ-ერთ ჰადისში აშკარად არის გახცხადებული, რომ ალლაჰის შუამავალი ბრძანებს: „ვისაც ხელთ სავაჭრო საქონელი გააჩნია, ვალდებულია გადაიხადოს მისი ზექათი". (ებუ დავუდი, ზექათი, 3)

ისლამის სწავლულები ითვალისწინებენ რა ზემოთ მოცემულ აიათისა და ჰადისის შინაარს, განმარტავენ, რომ სავაჭრო საქონელი ზექათს ექვემდებარება და საჭიროა მისგან ზექათის გადახდა. გამომდინარე აქედან, ქონება, რომელიც სავაჭრო დანიშნულებისაა, ითვლება, რომ მისგან ზექათის გადახდა სავალდებულოა.

მაშ ასე, უნდა ითქვას, რომ სავაჭრო დანიშნულების საქონელი, რომლის ღირებულება 80,18 გრ ოქროს ღირებულებას შეადგენს ან აღემატება აღნიშნულ ღირებულებას, მისი მფლობელობაში არსებობიდან ერთი წლის შემდეგ დაექვემდებარება ზექათს. როდესაც სავაჭრო საქნლიდან ზექათის გადახდა ხდება, გამოკლებული უნდა იქნას ვალები, შემდეგ წლის ბოლოს უნდა დაანგარიშდეს საკუთრებაში არსებული საქონელი და ბოლოს საერთო ღირებულების ნაღდი ფული ან ანალოგიური საქონლის 1/40 (2.5 %) რაოდენობა ზექათის სახით უნდა იქნას გაცემული.

6. სამეურნეო პროდუქტები

ყურანში ვკითხულობთ: „ გაეცით იმ საუკეთესოთაგან, რაც მოიხვეჭეთ და რაც მიწიდან აღმოვაცენეთ თქვენთვის"... (ბაყარა, 2/267) ისლამის სწავლულები, რომლებიც ითვალისწინებენ მოცემული აიათის შინაარსს, სამეურნეო პროდუქცია ასევე წარმოადგენს ქონებრივ პასუხისმგებლობას და მას „ოშური" ეწოდება. უზენაესი ალლაჰი ბრძანებს: „და იგია, რომელმაც გააჩინა ბაღები ძირსგართხმული და

ამაღლებული, და ხურმა, და ნათესნი სხვადასხვა ნაყოფიანი, ზეთის ხილი და ბროწეული ერთმანეთის მსგავსი და განსხვავებული. მიირთვით მათი ნაყოფი, როცა დამწიფდება, და მომკის დღეს გაეცით წილი მისგან. და არ იყოთ მფლანგველნი. უეჭველად, მას არ უყვარს მფლანგველნი"! მოცემული აიათი, სწორედაც სამეურნეო პროდუქტებიდან ზაქათის გადახდის ვალდებულებას შეეხება.

ალლაჰის შუამავალი ბრძანებს: „ზექათს ექვემდებარება სამეურნეო პროდუქტი, რომელიც ირწყვება წვიმის ან მდინარის წყლით ან კიდევ თვით წყლით გაჯერებულ მიწაზე ხარობს და მისი ზექათის სახით გასაცემი რაოდენობა განსაზღვრულია 1/10-ი, ხოლო ნათესები, რომლებიც ცხოველების ან მიზიდული წყლით ირწყვება 1/20 -ი". აღნიშნული სიტყვები მიუთითებს, იმას რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტები ზექათს ექვემდებარება. ასევე განმარტავს იმასაც, რომ რა სახის პროდუქტიდან რამდენი უნდა გაიცეს.

ისლამის სწავლულებმა სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზექათის საკითხი დეტალურად განმარტეს და დაასკვნეს, რომ ასეთი პროდუქტის ზექათის გადახდისას მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მისი მოყვანის ტექნიკურ მხარესა და მეთოდს. გარდა ამისა, იმისათვის, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტები ზექათს დაექვემდებაროს, ნისაბის რაოდენობის პირობა ალლაჰის შუამავლის ჰადისს ეფუძვნება. „ხუთ „ვესყზე" ნაკლებ სოფლის მეურნეობის პროდუქტი ზექათს არ ექვემდებარება. (ბუხარი, ზექათი, 4) ჰადისში ხსენებული წონის ერთეული „ხუთი ვესყი" დღევანდელი შედარებით 653 კგ-ა. ებუ ჰანიფეს მოსაზრებით სოფლის მეორნეობის პროდუქციაში ნისაბის რაოდენობა არ იძებნება. მიტომაც განურჩევლად მისი სიმცირისა და სიუხვისა, ზექათის გადახდა სავალდებულოა.

ზოგადად უნდა ითქვას, რომ საწვავი, სასუქი და მუშახელი წარმოებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვან დანახარჯს წარმოადგენს. ამიტომ, როდესაც სოფლის მეურნეობის პროდუქტისგან ზექათის გადახდა ხდება, მას უნდა გამოაკლდეს მიღებული მოსავლისთვის გაწეული ხარჯები და ამის შემდეგ თუკი დარჩენილი მოსავალი ნისაბის როადენობის ტოლია

ან აღემატება მას, 1/10, იმ მიწებიდან, რომლებიც ბუნებრივი გზებით ირწყვება ზექათის სახით გაიცემა, ხოლო ვედროთი, წყლის მატორებითა და სხვა მსგავსი მეთოდებით მორწყული მიწებიდან მიღებული მოსავლის 1/20.

7. თაფლი

ყურანში საუბარია ფუტკარზე, რომელიც საცხოვრებელს იკეთებს მთებში, ხეებსა და ხალხის ნაშენებზე. ასევე ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ისინი სხვადასხვა სახის ყვავილებსა და ხეხილს მიირთმევენ და ერთმანეთისგან განსხვავებული ფერის თაფლს ამზადებენ, რომლის მიერაც მომზადებული თაფლი ადამიანებისთვის განკურნებაა. (ნაჰლი, 16/68-69) სწორედ მოცემული აიათების შინაარსიდან გამომდინარე აღნიშნულ სურას „ნაჰლი“ ანუ ფუტკარი ეწოდა. ზოგიერთი სწავლული ზემოთ ხსენებულ სურას „ნიამ-საც“ უწოდებენ, რაც წყალობას ნიშნავს.

თაფლის თაობაზე, რომლის სიძვირფასის შესახებაც ყურანშია საუბარი, სწავლულთა აზრი ორად არის გაყოფილი. საკითხი შეეხება იმას, რომ ფუტკრის მიერ დამზადებული თაფლი ექვემდებარება თუარა ზექათს. სწავლულთა ნაწილი, რომლებიც ფიქრობენ, რომ თაფლი ექვემდებარება ზექათს, მტკიცებულებად ალლაჰის შუამავლის მიერ ერთ-ერთი თანამიმდევრისთვის, რომელსაც ფუტკარი ჰყავდა, ნათქვამ სიტყვები მოჰყავთ. „თაფლის ყოველ ათ საწყაოში, ერთ საწყაო ზექათია“. (თირმიზი, ზექათი, 9) გარდა ამისა ცნობილია, რომ მართლმოწმუნეთა ხალიფა ანალოგიურ პარაქტიკას მიმართავდა. (ებუ უბეიდე, ქითაბულ-ემვალი, გვ. 444, ჰადისის ნომერი, 1492)

იმას, რომ თაფლი ზექათს ექვემდებარება, სწავლულები შემდეგი გონივრული საჭიროებით ხსნიან: თაფლი ყვავილისგან მზადდება, რომელიც მიწაზე აღმოცენდება, შესაბამისად მიწაზე მოსული პროდუქცია ზექათს ექვემდებარება. რაც შეეხება იმათ, ვინც ფიქრობს, რომ თაფლი ზექათს არ ექვემდებარება, მას რძეს ადარებენ და დასძენენ, რომ ისე როგორც რძე არ ექვემდებარება ზექათს, შესაბამისად არც თაფლი დაექვემდებარება ზექათს.

მაშ ასე, თუკი აიათებსა და ჰადისებს ერთად შევაფასებთ, გავიგებთ, რომ სავალდებულო იქნება თაფლის 1/10-ის ზექათის სახით გადახდა, ხოლო თაფლისგან მიღებული შემოსავლი თუკი მიაღწევს ნისაბის რაოდენობას, საჭირო გახდება 1/40 გადახდა.

8. საბადოები

მიწისქვეშ დაფარული სხვადასხვა მნიშვნელოვანი განძი საბადოების სახელით მოიხსენიება. საბადოები ის ადგილებია, საიდანაც ოქროს, ვერცხლის, სპილენძისა და სხვა ღირებულებების მქონე განძის მოპოვება ხდება. ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს) გვამცნობს, რომ საჭიროა განძისგან ხუმუსის, ანუ 1/5 ზექათის გადახდა მოხდეს. (მუსლიმი, ჰუდუდი, 45) გარდა ამისა, მართლმოწმუნე ხალიფების ძვირფასი ომერისა და ალის პრაქტიკიდან ირკვევა, რომ ისინი განძისგან 1/5 ზაქათის სახით იღებდნენ ხოლმე. (ებუ უბეიდე, ქითაბულ-ემვალი, გვ. 310; ნო: 868, 873, 874)

მოკლედ ზექათს დაქვემდებარებული საბადოები სამ ნაწილად შეიძლება შეფასდეს: „ცეცხლში დნობადი: ასეთი საბადოს მოპოვების დროს მისი %20, (1/5) ზექათის სახით უნდა გაიცეს. ზექათს არ ექვემდებარება ის საბადოები, რომელიც თხევად ფორმაში მოიპოვება. მაგრამ ისინი, ვინც თხევად ფორმაში ნავთობს მოიპოვებს, თუკი მისგან მოგებული ფული ნისაბის რაოდენობას მიაღწევს, ვალდებული არიან გადაიხადოს ზექათი.

9. ზღვის პროდუქტები

ექვედებარება თუარა ზღვის პროდუქტები ზექათს, ორი განსხვავებული მოსაზრება არსებობს. ერთ-ერთი შეხედულების თანახმად ზღვიდან მოპოვებული ქარვა ზექათს არ ექვემდებარება, (ბეიჰაყი, ეს-სუნენულ-ქუბრა, IV, 248, ჰადისის ნომერი, 7686) მეორე მოსაზრების თანახმად კი ზღვიდან მოპოვებული ქარვა, ხუმუსს ანუ 1/5 ზექათის გადახდას ითვალისწინებს. (სერაჰსი, ელ-მებსუტი, II, 384)

გარდა ამისა ცნობილია, რომ ხალიფა ომერი (რ.ა.) ზღვიდან მოპოვებული ქარვისა თუ სხვა ძვირფასი ქვებისგან 1/5 ზე-

ქათის სახით გადახდას ბრძანებდა. (ებუ იუსუფი, ელ-ხარაჯი, 76) ამასთან ერთად ცნობილია ომერ ბინ აბდულ'აზიზის განკარგულება, რომლის თანახმადაც ზღვაში დაჭერილი თევზის ღირებულება თუკი ნისაბის რაოდენობას მიაღწევდა ან აღემატებოდა ზექათის გადახდას დაექვემდებარებოდა. (ებუ უბეიდე, ქითაბულ-ემვალი, 441. ნომერი, 891)

შესაძლოა ეს შეხედულება მომდინარეობდეს იქედან, რომ იმ პერიოდისთვის ზღვიდან მოპოვებული სხვადასხვა პროდუქცია არ საჭიროებდა მნიშვნელოვან ხარჯებს, რის გამოც სამართლის სწავლულთა უმრავლესობა მიიჩნევდა, რომ ისინი ზექათს არ ექვედებარებოდა. ებუ იუსუფი შეხედულების თანახმად ზღვიდან მოპოვებული მარგალიტისა და მარჯანის მსგავსი ძვირფასი ნაკეთობები, ასევე ქარვას მსგავსი სასიამოვნო სურნელის მქონე ქვები, 1/5 რაოდენობით ზექათის გადახდას საჭიროებს. გამომდინარე იქედან, რომ დღეს-დღეობით ზღვის პროდუქტები მნიშვნელოვან საკვებს და სავაჭრო საქონელს წარმოადგენს, თუკი მისი რაოდენობა ნისაბს გაუტოლდება ან აღემატება დაექვემდებარება ზექათს.

10. შემოსავლის მომტანი საწარმო, წარმოება, ბინა და ტვირთ გადამზიდი ტრანსპორტი

ქონება, რომელიც ზექათს ექვემდებარება, ორ ნაწილად იყოფა, მათ შორის ერთი ნაწილი ძირითად და შემოსავლის არსებობით, ხოლო მეორე მხოლოდ შემოსავლიანობით ფასდება. ცნობილია, რომ როდესაც ისინი ნისაბის რაოდენობას მიაღწევს ან აღემატება და მათი მფლობელობიდან ერთი წელი გავა, დაექვემდებარება ზექათს.

საწარმოსა და წარმოებაში გამოყენებადი საშუალებები, მანქანა-დანადგარები, მსგავსია ხელოსნისა და მჭედელის მიერ გამოყენებადი ხელსაწყოებისა, რაც აღნიშნულ საშუალებებს ზექათისგან ათავისუფლებს. იმ შემთხვევაში თუკი აღნიშნული ობიექტებისა და საშუალებებისგან მიღებული შემოსავალი ნისაბის რაოდენობას მიაღწევს და მისი მფლობელობიდან ერთი წელი გავა თავისთავად დაექვემდებარება ზექათს.

როდესაც ისლამის სწავლულები აღნიშნულ სფეროს განიხილავდნენ, ყურადღებას აქცევდნენ ძირითად საჭიროებებსა და იმას, რომ ქონებას გააჩნდა თუარა მატებითი ხასიათი. შესაბამისად განმარტებული იქნა, რომ ადგილი, სატრანსპორტო საშუალებები და ხელოსნის მიერ გამოყენებადი ხელსაწყოები წარმოადგენდა ძირითად საჭიროებებს და ისინი თავისუფლდებოდა ზექათის გადასახადისგან. მაგრამ რაც შეეხება ძირითად საჭიროებაზე უფრო მეტს, რომელიც მატებითი ხასიათისაა და შემოსავლის მომტანი თვისებით გამოირჩევა ჩვეულებისამებრ ექვემდებარება ზექათს. გარდა ამისა, სხვადასხვა საშუალებებისა და ბინის მსგავსი სავაჭრო დანიშნულების მქონე, ყიდვა-გაყიდვის ხასიათის ან კიდევ დამზადების შემდეგ ბაზარზე გასაყიდად გატანილი საქონელი, როგორც ძირითადი, ასევე მისგან მიღებული შემოსავალი ზექათს ექვემდებარება.

ამასთან ერთად, ქირის შედეგად მიღებული შემოსავალი, ზექათს დაქვემდებარებული სხვა ქონება და შემოსავალი, ძირითადი საჭიროებისა და ვალების გამოკლების შემდეგ თუკი მიაღწევს ნისაბის რაოდენობას (80,18 გრ ოქროს ან მის ღირებულებას) ან აღემატება მას, შემდეგ კი მისი მფლობელობიდან ერთი წელი გავა, მისი 1/40 (2,5%) დაექვემდებარება ზექათს.

11. ხელფასი, გასამრჯელო და თავისუფალი პროფესიის შემოსავალი

შრომისა და გაწეული სამსახურის სანაცვლოდ მიღებული ხელფასი ან გასამრჯელო, ან კიდევ მოხერხებულობითა და ხელოვნების გზით მიღებული შემოსავალი, ადამიანის შემოსავლის ერთ-ერთი წყაროა. მაშ ასე, თუკი საჯარო მოხელის ხელფასი, მუშის გასამრჯელო, ექიმის, ინჟინრის, თერზის, დალაქის და სხვა კერძო სექტორში დასაქმებულების ან კიდევ თავისუფალი პროფესიის გზით მიღებული შემოსავალი მიაღწევს ნისაბის რაოდენობას და მისი მფლობელობიდან ერთი წელი გავა, წარმოიშობა ზექათის გადახდის ვალდებულება.

12. აქციები -ფასიანი ქაღალდები

ფასიანი ქაღალდი, ეს არის რომელიმე გაერთიანებული

კომპანიის კაპიტალის თანაბარუფლებიანი მეწილეთა, ერთ რომელიმე ნაწილის წარმომადგენლისა და კანონიერი ფორმის შესაბამისად მომზადებული ფასიან საბუთია. ეს არ არის ისეთივე, როგორც ვალის ხელწერილი, ეს არის მფლობელობის დამადასტურებელი ხელწერილი. სანამ კომპანია იარსებებს და მოგება ექნება, მფლობელი მოგების წილს მიიღებს. მოგების წილი ეწოდება აქციებს, რომელიც მფლობელისთვის მოგებას უზრუნველჰყოფს.

გამომდინარე იქედან, რომ აქციებს ფულის დანიშნულება გააჩნია, როგორც მოგება ასევე ძირითადი კაპიტალდაბანდება ზექათს ექვემდებარება. ამ თვალსაზრისით თუკი იგი ნისაბის რაოდენობას აღწევს ან აღემატება მას ღირებულების შესაბამისად 2,5 % ზექათის სახით უნდა გადაიხადოს.

13. მოვალე

ასაღები, რომელიც ნისაბის რაოდენობას აღწევს, მტკიცე, საშუალო და სუსტის სახით სამ ნაწილად იყოფა. ასაღები, რომლის უკან დაბრუნების ალბათობაც საშუალო ან კრიტიკულია, გასული წლების ზექათის გადახდას არ საჭიროებს. თუმცა, მას შემდეგ რაც ვალის დაბრუნება მოხდება და მისი მფლობელობაში არსებობიდან ერთი წელი გავა, საჭირო ხდება ზექათის გადახდა. რაც შეეხება ისეთ გასესხებულს, რომლის დაბრუნების ალბათობა უეჭველია, ეს იქნება გასესხებული ფული თუ სავაჭრო საქონლის საფასური, რასაც აგრეთვე მოვალეები ადასტურებენ, მევალე ვალდებულია ყოველწლიურად აღნიშნული ქონების ზექათი გადაიხადოს. იმ შემთხვევაში თუკი გასული წლების ზექათი არ აქვს გადახდილი, მას შემდეგ რაც გასესხებულს დაიბრუნებს, ვალდებულია გასული წლების ზექათიც გადაიხადოს.

დ. ადგილები, სად უნდა მოხდეს ზექათის გადახდა

უზენაესი ალლაჰი ყურანში ბრძანებს: „უეჭველად, მოწყალებანი სავალდებულოა ალლაჰისგან და განკუთვნილია: უპოვართათვის, ღატაკთათვის, ასევე იმათთვის, ვინც ამ

საქმითაა დაკავებული, ვისი გულების მოგებაც შესაძლებელია, მონათათვის, ასევე ვინც ვალშია, ვინც ალლაჰის გზას ადგას და მგზავრთათვის...“! (თევბე, 9/60) მოცემული აიათი ნათლად განმარტავს იმას, თუ ვისზე უნდა გაიცეს ზექათი და ფითრა. ამასთან ერთად, ზექათის გადახდა შესაძლოა მოხდეს, როგორც აიათში ჩამოთვლილი ერთი რომელიმე კატეგორიისთვის, ასევე ნებისმიერ მათგანისთვის. რამეთუ აიათში ჩამოთვლილია ის კატეგრიები, რომლებზეც შესაძლებელია ზექათის გადახდა, თუმცა მათ შორის რომელიმეს უპირატესობაზე საუბარი არ არის.

ახლა კი შევეცდებით დეტალურად განვიხილოთ ის რვა კატეგორიის ადამიანები, რომლებისთვისაც ნაბრძანებია ზექათის გაცემა.

1. ღარიბები და უპოვრები

ღარიბის ცნება, რომლის შესახებაც სურა თევბეს 60-ე აიათშია საუბარი, შეეხება მათ, ვისაც არ გააჩნია საარსებო მინიმუმი და ვერ უზრუნველჰყოს როგორც საკუთარი ასევე ოჯახისთვის ელემენტარულ საკვებსა და ჩასაცმელს, რისთვისაც იძულებული ხდება მათხოვრობით ირჩინოს თავი. ასევე ღარიბებისა და უპოვრების კატეგორიას მიეკუთვენებიან გარშემო მყოფი მოხუცები, უძლურები და ის მოსწავლეები, რომლებმაც თავი განათლებას მიუძღვეს და არ გააჩნიათ საარსებო სახსრები.

უდავოა, რომ სიღარიბე, უზენაესი ალლაჰის მიერ მონამსახურებისთვის დადგენილი გამოცდაა, რომლის წარმატებაც მოთმინებაზეა დამყარებული. (ბაყარა, 2/155) გარდა ამისა ყურანში გაცხადებულია მდიდართა ქონებაში, საჭიროებიდან გამომდინარე მსურველთა და უპოვართა უფლების არსებობის შესახებ, (მეარიჯი, 24-25) მოხსენიებულია ღარიბები და უპოვრები, ვისზეც ზექათის გადახდის ვალდებულებაა დადგენილი. (თევბე, 9/60) ასევე საუბარია იმაზეც, რომ აღნიშნული სიღარიბის გამოცდა, მხოლოდ უპოვრებსა და ღარიბებს არ მოიცავს. აგრეთვე ნათლადაა განმარტებული, რომ სიღარიბე და უპოვრობა მდიდრებსაც შეეხება. ამრიგად ალლაჰის შუამავალი, რომელიც სიღარი-

ბისგან ალლაჰს მიკედლებოდა (ებუ დავუდი, ედები, 97) და გარშემომყოფთა მიკედლებასაც ბრძანებდა, (მუსნედი, II, 540) გარდა იმისა, რომ სიღარიბე ადამიანს რელიგიურ და ზნეობრივ პასუხისმგებლობას ავიწყებს და უსამართლობისკენ უბიძგებს. ამასთან ერთად ალლაჰის შუამავალი ქვემოთ მოცემულ ჰადისში ყურადღებას ამახვილებდა ისეთი სიმდიდრის საფრთხეზე, რომელიც მადლიერებისგან დაცლილი იყო და ასე ევედრებოდა: „ღმერთო ჩემო! შენ მოგეკედლები სიმდიდრით გამოცდისგან“. (ბუხარი, დეავათი, 44)

ყურანში, როდესაც საუბარია მოწყალების (ზექათის) გასაცემ ადგილების შესახებ, პირველ ადგილს ღარიბები და უპოვრები არიან მოხსენიებული, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ მოწყალება და ზექათი სიღარიბისა და უპოვრობის დაძლევის ერთ-ერთი გზაა. საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარეა, რომ ძვირფასი ალი (ს.ა.) მათ შესახებ ვინც ღარიბებს კუთვნილ უფლებას არ გასცემდა, ამბობდა: „უზენაესი ალლაჰი მდიდრებს, რომელთაც საკმარისი და საკმარისზე მეტი ქონება გააჩნიათ, ვალდებულნი არიან ღარიბებს გასცენ მათი კუთვნილი. თუკი ღარიბები მშიერი, შიშველი და სიდუხჭირეში იმყოფებიან, ეს მდიდრების ბრალია, რამეთუ ისინი მათ კუთვნილ უფლებას არ გასცემენ. ამიტომაც ისინი ალლაჰისგან გასამართლებასა და საკადრის სასჯელს იმსახურებენ. (ებუ უბეიდე, ქითაბულ-ემვალი, 368, ნომერი, 1266)

ზექათის გადახდის დროს, მნიშვნელოვანია თანმიმდევრობით ღარიბი და უპოვარი ახლო ნათესავების დაცვა და მზრუნველობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, „ახლოდან შორის“ პრინციპი კიდევ ერთი საკითხია, რასაც ყურანი ზემიწევნით ყურადღებას აქცევს. (ბაყარა, 2/215) ალლაჰის შუამავალი აღნიშნულ პრინციპზე მიანიშნევს და ბრძანებს:

„ყველაზე მადლიანია მოწყალება, როცა პიროვნებ სიმდიდრის დროს (როცა მაძღარი და წელში გამართულია) გასცემს. გამცემი ხელი ამღებ ხელზე ძვირფასია. მაშ, მოწყალების გაცემა შენს ახლობლებიდან დაიწყე“. (მუსლიმი, ზექათი, 95)

მაშ ასე, თუკი ყველა საკუთარი ნათესავების პრობლემების მოგვარებას ითავებს, საზოგადოებაში ღარიბ და უპოვარ-

თა რაოდენობა შემცირდება. ამრიგად კი სოციალური თანადგომა და დახმარება მთელს საზოგადოებას მოიცავს. უდავოა, რომ აღნიშნული მდგომარეობა არ ნიშნავს, იმას, რომ ზექათის არანათესავ და შორეულ ღარიბებისთვის გაცემა დაუშვებელია. აქ მნიშვნელოვანი მოვლენა ის არის, რომ როდესაც ღარიბთა და უპოვართა ეკონომიური მდგომარეობა სტანდატრულად შეჭირვებულია, ამ დროს უპირატესობა ახლობლებსა და ნათესავებს ენიჭება. შაყვარელი შუამავალი ბრძანებს: „მაშინ როდესაც უპოვარს მოწყალებას გასცემ, მხოლოდ მოწყალების მადლს მიიღებ, ხოლო როცა მოწყალებას გაცემ ნათესავს, ამ დროს დაიმსახურებ ორ მადლს -მოწყალებისას და ნათესაური კავშირების გამყარებისას. (თირმიზი, ზექათი, 26) ზექათისა და მოწყალების თავდაპირველი მიზანი, ნათესავების მზრუნველობა და მათი მეთვალყურეობაა.

2. ზექათის ამკრეფი მოხელეები

კიდევ ერთი კატეგორია, ვისთვისაც ზექათის გადახდა შესაძლებელია, ესენი არიან ზექათის ამკრეფი მოხელეები, ვისაც ამავდროულად ზექათი საჭიროების მქონე პიროვნებებამდე მიაქვთ. ზექათის გაცემა ასევე ნებადართულია ამავე მიზნით შექმნილ ორგანიზაციაში ნებისმიერ თანამდებობაზე მომუშავე მოხელეებზეც. რაოდენობა, რომელიც ზექათის სფეროში მომუშავე მოხელეებს უნდა მიეცეს, მათ მიერ შესრულებული საქმის სანაცვლოდ გადახდილი გასამრჯელოს ტოლია. ისინი თუნდაც მდიდრები იყვნენ, აღნიშნული ფონდიდად მათთვის გასამრჯელოს გადახდა ნებადართულია. რამეთუ უზენაესმა ალლაჰმა მათ ზექათიდან გარკვეული წილი მიაკუთვნა. როგორც ალლაჰის შუამავლი (ს.ა.ს.) ასევე ოთხივე მართლმორწმუნე ხალაფა თავიანთ პერიოდში ზექათის გადინების უზრუნველსაყოფად დასაქმებული მოხელეებსა და მათ ვისაც ზექათის აღების უფლება ჰქონდათ, ურჩევდნენ ერთმანეთს ლამაზად და კეთილად მოქცეოდნენ.

იმ შემთხვევაში თუკი ზექათის ამკრეფი მოხელე თავის მოვალეობას პირნათლად და სამართლიანად შეასრულებდა, ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს.) აცხადებდა, რომ ისინი ისეთივე

მადლს დაიმსახურებენ, როგორც ალლაჰის გზაზე ომგადახდილი მეომარი. (იბნი ებუ შეიბე, მუსანნეფი, ზექათი, 128) მაგრამ თუკი ზექათის ამკრეფი მოხელე საქმისადმი გამოავლენს ხრიკებსა და ღალატს, ალლაჰის შუამავალი მათ მნიშვნელოვანი სასჯელის შესახებ აფრთხილებდა და დასძენდა, რომ ისინი განკითხვის დღეს უზენაესი ალლაჰის წინაშე წარსდგებიან ისე, რომ მხრებზე ტვირთად ედებათ ზმუილა ხარი, ბღავანა აქლემი და ცხვარი. (ბეიჰაქი, ეს-სუნენულ ქუბრა, ზექათი, 100, ჰადისის ნომერი, 7452) გარდა ამისა, ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს.) ძალიან განრისხდა, როდესაც დაინახა, რომ ზექათის ამკრეფ მოხელეებმა მათთვის გადაცემული საჩუქარი აიღეს. მან (ს.ა.ს.) აღნიშნული ყველა ეს საჩუქარი სახელმწიფო ხაზინას გადასა. ზემოთ ხსენებული ამბის შემდეგ ალლაჰის შუამავალმა (ს.ა.ს.) ადიდა რა დიადი გამჩენი, თანამიმდევრებს ასეთი ქადაგებით მიმართა;

„რა ემართებათ ჩემს მიარ წარგზავნილ მოხელეებს და (როდესაც ზექათის აგროვებენ) მეუბნებიან: „ეს თქვენია, ეს კი მე მაჩუქეს“. ნეტავ, რომ მჯდარიყო დედ-მამის სახლში, აღნიშნულ საჩუქარს ვინმე მისცემდა მას? ვფიცავ უზენაეს ალლაჰს, რომ თუკი ის ვინმე ზექათის ქონებიდან რაიმეს აიღებს, განკითხვის დღეს უზენაესი ალლაჰის წინაშე წარსდგებიან ისე, რომ მხრებზე ტვირთად ედებათ მობუბუნე ხარი, ბღავანა აქლემი და ცხვარი. (ბუხარი, ეიმანი ვენ-ნუზური, 3)

გადმოცემებით დასტურდება, რომ ხალიფა ომერი (რ.ა.) თავისი მმართველობის პერიოდში, იმისათვის ზექათის ამკრეფ მოხელეებს ხალხის მიმართ ძალადობა ან მჩაგვრელობა არ გამოეჩინათ, მათ აფრთხილებდა და დროდადრო აკონტროლებდა კიდეც. ერთხელ, როდესაც ზექათის სახით მოყვანილ ცხვრებს შორის ერთ-ერთი მაღალ ტანადი ცხვარი დაინახა და გაიგო, რომ ისიც ზექათის სახით იყო აღებული, ისინი შემდეგი სიტყვებით მკაცრად გააფრთხილა: „ეს მეპატრონეს საკუთარი ნებით არ ექნებათ მოცემული. ხალხს ქონებას ნუ წაართმევთ და ადამიანებისგან ნუ აიღებთ ისეთ ძვირფას ქონებას, რომლებიც მათ ძალიან უყვართ“.

იქნებ აღნიშნული მოვალებისადმი ფრთხილი დამოკიდებულების შედეგია, ებუ იუსუფის სახელმწიფო მოხელეები-

სადმი დარიგება, სადაც იგი ზექათის ამკრეფ მოხელეებად განსაკუთრებით სანდო, სამართლიან, ნამუსიან, სულიერად სუფთა გულის მქონე პიროვნების არჩევას თხოვდა, რომლებიც ზექათის აკრეფილ ქონებას სახელმწიფოს არ დაუმალავდნენ და ზექათის გადამხდელებს უსამართლოდ არ მოექცევიან. გარდა ამისა, მოხელეებს, რომლებიც ზექათის ასაკრეფად უნდა გაეგზავნეს, აფრთხილებდა, რომ ისეთი პიროვნებები აერჩიეს, ვინც ხალხისთვის მისაღები იქნებოდა. ასევე აკრეფილ ზექათს, ისეთ ადგილებს მოახმარდნენ და ისეთი ხალხისთვის დახარჯავდნენ, როგორც ეს ყურანშია ნაბრძანები. (ებუ იუსუფი, ქითაბულ-ხარაჯი, 80)

3. მუელლეფე-ი ყულუბი – გულების მოგება

მუელლეფე-ი ყულუბი ერთ-ერთი ის კატეგორიაა, ვისთვისაც ზექათის გადახდაა ნებადართულია და მიზნად ისახავს მათი გულების მოგებას ან სიავისგან უსაფრთხოების სურვილს. ამასთან ერთად იგი გამოხატავს იმ იმედს, რომ კონკრეტული პიროვნება ან საზოგადოება მუსლიმებისთვის სასარგებლო იქნება. მუელლეფე-ი ყულუბი, შეიძლება იყოს, როგორც ისეთები ვინც ახლად მიიღო ისლამი, ასევე არამუსლიმები.

არამუსლიმების გულების მოგება მიზნად ისახავს, როგორც მათი ან კიდევ მათი გავლენის ქვეშ მყოფი პიროვნებების მიერ ისლამის მიღებას, ასევე, მათი მხრიდან ან მათი საახლობლოსგან მოსალოდნელი ზიანისა და სიავის თავიდან აცილებას. რაც შეეხება ზექათის გარკვეული წილის მათთვის გადახდას, ვინც ისლამი ახლად მიიღო, აქ უმთავრესი მიზანია, იმ პიროვნებების რწმენაში განმტკიცება, ვისაც რწმენა გულში სუსტად აქვს გამჯდარი. ასევე მათი მუსლიმებთან დაახლოება და ისლამური საზოგადოების სათანადოდ მოქცევა. სწორედ აღნიშნული მიზნით ალლაჰის შუამავალმა მექას გათავისუფლების შემდეგ ზექათიდან წილი მისცა ზოგიერთ მათგანს, ვინც ახლად მიიღო ისლამი. უფრო მეტიც, ზექათიდან წილი ერგოთ ისეთებსაც, ვისაც ისლამი ჯერ არ ჰქონდათ მიღებული. მათ შორის ერთ-ერთი საფვან ბინ უმეიეი გახლდათ. ალლაჰის შუამავალმა (ს.ა.ს.) იმ მიზნით, რომ საფვან ბინ უმეიეს გული ისლამისადმი და-

დებითად გენწყო, რამდენიმე აქლემი აჩუქა. ამის შემდეგ კი საფვანმა თქვა: „შუამავალი ერთ-ერთი ის ადამიანი იყო, ვინც ყველაზე მეტად მძულდა, მაგრამ მე იმდენი საჩუქარი გადმომცა, რომ ის ახლა ჩემთვის ყველაზე საყვარული პიროვნება გახდა.“. (მუსლიმი, ფედაილი, 59)

ამრიგად, ალლაჰის შუამავლის პერიოდსა და ხალიფა ებუ ბექირის მმართველობის პიველ ხანებში მუელლეფე-ი ყულუბს ზექათიდან წილი გამოეყოფებოდა, თუმცა მას შემდეგ რაც მუსლიმებმა ძალები მოიკრიბეს, თანამიმდევართა ერთიანი შეხედულებით, მიჩნეული იქნა, რომ უკვე მუსლიმები მსგავს მიდგომას აღარ საჭიროებდენ და აღნიშნული პრაქტიკა შეჩერებული იქნა. (იხ. ქალლექ ჯენგიზი, მუელლეფე-ი ყულუბი, დ.ი.ა, XXXI, 475-476) ხალიფა ომერის შეხედულების თანახმად, პრაქტიკულად შეჩერებული მუელლეფე-ი ყულუბისთვის ზექათის გადახდა, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ისევ განახდლეს.

4. მონები- თავისუფლება შეზღუდულები

უძველესი ეპოქიდან მოყოლებული დედამიწაზე გაბატონებული იყო ადამიანთა მონობა, რისკენაც ისლამი არასოდეს არც მოუწოდებდა და არც მიესალმებოდა. პირიქით, მას შემდეგ რაც მსოფლიოში ისლამის გავრცელება დაიწყო, ეტაპობრივად მიზნად დაისახა მონური სისტემის გაუქმება, რისთვისაც ძირეული ზომები მიიღო. როგორც ალლაჰის შუამავალი გვამცნობს, უზენაესი ალლაჰის წინაშე ადამიანური ღირსების შესაბამისად ყველა თანასწორია და უპირატესობა მხოლოდ ღვთის წინაშე არსებული პასუხისმგებლობის სიღრმისეულად გათავისებაშია. (ბუხარი, თეფსირი, (იუსუფი) 2. ასევე იხ. ჰუჯურათი, 49/13)

ამ მიმართულებით, მუსლიმებს ახსენებს რა მონათა უფლებებს, ალლაჰის შუამავალი ზედმიწევით შთამბეჭდავი სიტყვებით იწყებს საუბარს და დასძენს: „მონები, თქვენი ძმები არიან“. (ბუხარი, იმანი, 22) ასევე ყურანი მორწმუნეებისგან მონებისადმი კეთილად მოპყრობას ბრძანებს, (ნისა, 4/36) ამასთან სურა „მუჰამემდის“ მე-4-ე აიათში დარიგება, ტყვეების უსასყიდლოდ ან კიდევ გამოსასყიდის სანაცვ-

ლოდ გათავისუფლებისკენ არის მიმართული. ასევე ყურანი გვახსნებს, რომ მონის გათავისუფლება და ადამიანისთვის თავისუფლების მინიჭება უზენაესი ალლაჰის წინაშე უდიდესი სათნოებაა. (ბელედი, 90/13) ამრიგად ისლამის მიზანი იყო მონების აღზრდითა და მათი საზოგადოებაში თავისუფალ პიროვნებებად ჩართულობის უზრუნველყოფა. უფრო მეტიც, აღნიშნული პროცესის კიდევ უფრო გამტკიცების მიზნით, უნებლიედ ჩადენილი სხვადასხვა დანაშაულის გამოსასყიდად მონის გათავისუფლება რელიგიურ პასუხისმგებლობად იქნა მიჩნეული. ამასთან ერთად არსებობს ძალიან ბევრი ჰადისი, სადაც ალლაჰის შუამავალი მონის გათავისუფლების სანაცვლოდ საიქისოსთან დაკავშირებულ მადლიანობის შესახებ საუბრობს. (ბუხარი, ითყი, I, 16; მუსლიმი, ითყი, 24)

მათ ვისაც თავისუფლების ფულის სანაცვლოდ ყიდვა და მონობისგან გათავისუფლების სურვილი ჰქონდა, გამოსყიდვის პარალელურად, ზექათის ღვთისმსახურებამ მნიშვნელოვანი მატერიალური მხარდაჭერა ითავა. სურა თევბეს 60-ე აიათში, სადაც რვა კატეგორიის ადამიანზეა ყურადღება გამახვილებული, ვისაც ზექათი უნდა მიეცეს, ერთ-ერთი მათგანი თავსუფლება აღკვეთილი მონებია. ეს კი მიანიშნებს იმაზე, რომ ისლამს უდიდესი წვლილი მიუძღვის მონობაში ჩავარდნილი ადამიანების გათავისუფლებისა და ზოგადად მონობის გაქმების საქმეში.

რამდენადაც უნდა ჩანდეს, რომ მონობის სისტემა ჩვენს ეპოქაში იქნა გაუქმებული, არასოდეს უნდა დავივიწყოთ, რომ მონობასთან დაკავშირებულ დოგმამ, ადამიანის ძირითადი უფლებების გაუმჯობესებისა და თავისუფლება შეზღუდული ადამიანების თავისუფლების მიმართულებით მნიშნველოვანი ფუნქცია ითავა, რისთვისაც მათი მატერიალური მხარდაჭერა უზრუნველჰყო.

5. მოვალეები

მოვალეები ერთ-ერთ იმ კატეგორიაა განეკუთვნებიან, ვისთვისაც შესაძლებელია ზექათის გადახდა. ვალი, ადამიანის სულიერ მდგომარეობასა და ზნეობრივ ქმედებებ-

ზე ნეგატიურად აისახება. მას შემდეგ, რაც ადამიანი ვალში ვარდება, ზნეობრივ პრინციპებზე უწევს უკან დახევა, რის გამოც შესაძლოა დაიწყოს ტყუილის თქმა, ვერ შეასრულოს მიცემული სიტყვა და უფრო მეტიც, უსამართლო შემოსავალზეც კი მიეცეს მიდრეკილება. ამიტომაც ალლაჰის შუამავალი ვალებისგან უზენაეს ალლაჰს მიეკედლებოდა ხოლმე. (ბუხარი, ისთიყაზი, 10)

ისლამის თანახმად მოვალესთვის საჭირო რაოდენობის ფარგლებში ზექათის გაცემით მისი ვალებისგან გათავისუფლება და დახმარება მნიშვნელოვანი ფაქტორია, რამეთუ რელიგია, მუსლიმებს შორის თანადგომასა და მხარდაჭერას წინაპლანზე აყენებს. ალლაჰის შუამავალი ბრძანებს: „ვინც მოვალეს მდგომარეობას გაუიოლებს, უზენაეს ალლაჰი მას ამქვეყნად და საიქიოში მის საქმეებს გაუადვილებს...“ (მუსლიმი, ზიქრი და დუა, 38; თირმიზი, ყირაათი, 10)

ისლამის სწავლულების მიხედვით მოვალედ ითვლება ის, ვინც ჩავარდა ვალებში და ფლობს ნისაბით გათვალისწინებულზე მცირე ქონებას. უდავოა, რომ პიროვნებები, ვისთვისაც ისლამი ზექათის გადახდას ბრძანებს, რა თქმა უნდა არ იგულისხმება გაუმაძღარი, ნება-სურვილებს აყოლილი და ჟინით აღსავსე იმედგაცრუებულნი, არაბედ ესენი არიან ადამიანები, ვინც მიზანმიმართული და გეგმაზომიერი ცხოვრების წესით ცხოვრობდნენ და წარუმატებელი საქმიანობისა და გაკოტრების შედეგად აღმოჩდნენ სიღარიბის მიღმა. გამომდინარე აქედან, საარსებოს, საკვების, განათლების, ჯანმრთელობისა და დაოჯახების ხარჯების გამო ვალში ჩავარდნილთათვის, აღნიშნული სირთულეებიდან გამოყვანის მიზნით შესაძლებელია მათთვის ზექათის გადახდა. გარდა ამისა, ზექათის გადახდა შეიძლება მათთვის, ვინც ხანძრის, ღვარცოფისა და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაკარგა ოჯახის საარსებო შემოსავალი და იძულებული გახდა აიღო ვალი. ამ თვალსაზრისით ზექათი იმ ადამიანების სოციალური თანადგომაა, ვისაც უბედურება დაატყდა თავს.

ადამანმა თავდაპირველად უნდა ეცადოს შეძლებისდაგვარად არ აიღოს ვალი და ყოველგვარი მფლანგველობის

გარეშე ყაირათიანი ცხოვრების წესით იცხოვროს. მაგრამ თუკი ცხოვრების სირთულეებმა აიძულა იგი აეღო ვალი, მაშინ უნდა შეეცადოს დროულად გადაიხადოს იგი. რამეთუ ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს.) გვამცნობს: მას, ვინც გადახდის განზრახვით აიღებს ვალს, უზენაესი ალლაჰი დაეხმარება. ამასთან, თუკი ვინმე გაფლანგვის მიზნით აიღებს ვალს, უზენაესი ალლაჰი მის ქონებას გაუნადგურებს". (ბუხარი, ისთიქრაზი, 2)

6. ალლაჰის გზაზე მყოფები

სურა თევბეს 60-ე აიათში კიდევ ერთი კატეგორია, ვისთვისაც ზექათის გადახდა შეიძლება, ალლაჰის გზაზე მყოფები არიან. აღნიშნული მცნება მოიცავს ნებისმიერ ქმედებას, რომელიც ადამიანს ალლაჰთან აახლოებს. ამ თვალსაზრისით ისლამის სამართლის სწავლულთა უმრავლესობის შეხედულებით, ალლაჰის გზაზე მებრძოლი მეომრების ყველანაირი ხარჯის ანაზღაურება შესაძლებელია მოხდეს ზექათის ქონებიდან. უფრო მეტიც, ზოგიერთი ისლამის სამართლის მცოდნის თანახმად ზექათის გადახდა შესაძლებელია იმ უპოვარი მოსწავლეებისთვის, ვინც ცდილობს დაიზეპიროს ყურანი და ირჯება განათლების მისაღებად. მოკლედ, ალლაჰის გზაზე ყოფნის მცნება, საკმაოდ ვრცელ არეალს მოიცავს და შესაძლებელია უზენაესი ალლაჰის კმაყოფილების შესაბამისი და საზოგადოებისთვის სასარგებლო ნებისმიერი სამსახურისა თუ აქტივობისთვის ზექათიდან გარკვეული წილის გამოყოფა.

7. მოგზაურები

ყურანში „იბნუს-სებილის" ტერმინით მოიხსენიება მოგზაურები და ისინი ერთ-ერთი აირანი იმ რვა კატეგორიის ადამიანთა ვისთვისაც ზექათის გადახდა შეიძლება. აღნიშნული მცნება შეეხება მათ, ვინც გზას ახლად დაადგა ან დიდი ხანია მოგზაურობაში იმყოფება და ერთი ქალაქიდან მეორეში საწვლისა და უკან დასაბრუნებელი საშუალება არ გააჩნია. იმ შემთხვევაში თუკი მოგზაურობაში მყოფნი რომელიმე კონკრეტულ ადგილას ისინი დაკარგავენ, მოპარავენ, ვინმე წაართმევს თუ რაიმე გამომწვევი მიზეზით

აღმოჩნდებიან უსახსროდ, არა აქვს არსებითი მნიშვნელობა მოგზაურობაში მყოფი პირები მდიდრები იქნებიან თუ ღარიბები, მათთვის შესაძლებელია ზექათიდან გარკვეული წილის გამოყოფა.

მაგრამ რა თქმა უნდა ყველა მგზავრს არ აქვს უფლება ისარგებლოს ზექათის მსგავსი ღვთისმსახურების დახმარებით. ამ თვალსაზრისით ისლამის სწავლულები განმარტავენ: იმისათვის, რომ მოგზაურობაში მყოფმა ზექათით სარგებლობა შეძლოს, მოგზაურობის მიზანი უნდა ემსახურებოდეს განათლების მიღებას და ჰაჯობის მსგავს ღვთისმსახურების სისრულეში მოყვანას. გარდა ამისა, მოგზაურობაში მყოფს არ უნდა ჰქონდეს ვინმესგან სესხის აღების შესაძლებლობა და კონკრეტული ადგილიდან სახლში დასაბრუნებელი სახსრები. ესენი ის ძირითად პირობები, რა დროსაც მოგზაურს მიეცემა ზექათის აღების სამართლიანი ნებართვა.

ე. ადგილები და პიროვნებები, სადაც არ შეიძლება ზექათის გაცემა

როგორც ცნობილია, ზექათი მიეცემა მათ ვისაც ამის სამართლიანი უფლება გააჩნია. იმ შემთხვევაში თუკი ვინმესთვის უსამართლოდ მოხდება ზექათის გაცემა, მასთან დაკავშირებული რელიგიური პასუხისმგებლობა შესრულებულად არ ჩაითვლება და არც ზექათისგან მოსალოდნელი სოციალურ-ეკონომიკური მიზნები იქნება მიღწეული. გამომდინარე აქედან, ისალამის სამართლის ლიტერატურაში განხილულია ის საკითხები, თუ ვისთვისაა დაუშვებელი ზექათის გადახდა. ქვემოთ მოცემულ ქვეთავებში განმარტებული იქნება ადამიანთა ის კატეგორიები, ვისთვისაც ზექათის გადახდა დაუშვებელია.

1. დედა, მამა, მეუღლე და შვილები

პიროვნებას არ აქვს უფლება ზექათი მისცეს დედას, მამას, ბებიას, ბაბუას, შვილებსა და შვილიშვილებს, რამეთუ მას აღნიშნულ პირების წინაშე ისედაც აკისრია მზრუნვე-

ლობის პასუხისმგებლობა. ასევე, დაუშვებელია ზექათი მისცეს ქმარმა ცოლს ან და პირიქით ცოლმა ღარიბ ქმარს. რამეთუ ზექათის გადამხდელს არ აქვს უფლება, გაცემული ზექათის სანაცვლოდ ელოდეს რაიმე სახის მატერიალურ სარგოს და ისარგებლოს მისით. იმ შემთხვევაში თუკი პიროვნება ზექათს მისცემს ზემოთ ხსენებულ პიროვნებებს, (ისლამის სამართალში მას უსული და ფრუი ეწოდება) ამან შეიძლება მის ცხოვრებაში გზა გაუხსნას ისეთი სახის სარგებელს, როგორიცაა მემკვიდრეობის მიღება და მათი კმაყოფის ვალდებულებისგან თავის დაღწევა. ამასთან ერთად, თუ მოხდება ისე, რომ ზექათი, ზემოთ ჩამოთვლილ პიროვებებს მიეცემა, იგი არ ჩაითვლება ღარიბისთვის გაცემულად და შესაბამისად არ აღმოჩნდება ღარიბის კუთვნილებაში.

რაც შეეხება „უსულისა და ფურუის“ ანუ ოჯახის წევრების გარდა სხვებს, მაგ: ძმას, ბიძას, დეიდას, ბიცოლას, მათ შვილებსა და მსგავს ნათესავებს, თუკი ისინი ღარიბები არიან, შესაძლებელია მიეცეთ ზექათი. უფრო მეტიც, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ზექათის გადახდასათან დაკავშირებით უპირატესობა ახლო ნათესავებს ენიჭებათ.

2. არამუსლიმები

გამომდინარე იქედან, რომ ღვთისმსახურება თვით პასუხისმგებლობაა, ზექათის მიცემა დაუშვებელია არამუსლიმებისთვის, ვინც მუსლიმობის შემდეგ რელიგია შეიცვალა და მათთვის, ვისაც რწმენის ძირითადი საფუძველების არ სწამთ. რამეთუ ზექათი ღარიბი და უპოვარი მუსლიმების უფლებაა, რომელიც მდიდარი მუსლიმებისგან გროვდებაიკრიბება და ღარიბებზე გადაიცემა. ამასთან, არამუსლიმებს ზექათის ვალდებულება არ ეკისრებათ. გამომდინარე აქედან, ბუნებრივია, რომ ისინი შეგროვებული ზექათისგან ვერ ისარგებლებენ.

მაგრამ, ზოგიერთი ისლამის სამართლამცოდნე ეყრდნობა რა ხალიფა ომერის (რ.ა.) მიერ ზექათთან დაკავშირებულ აიათში მოცემული „მისქინების“ მცნების, განმარტებას, სადაც ის ბრძანებს, რომ „ესენი ღვთიურწიგნთბოძებული ღარიბები არიან“, მიიჩნევენ, რომ საჭიროების შემთხვე-

ვაში მუსლიმურ მიწებზე მცხოვრებ არამუსლიმებისთვის, რომელთა უსაფრთხოებაზე სახელმწიფო ზრუნავს, შესაძლებელია ზექათის მიცემა.

3. მდიდრები

მდიდრები ვალდებული არიან გადაიხადონ ზექათი. ამასვე მიუთითებს ალლაჰის შუამავლის ჰადისები, სადაც ის ბრძანებს: „ალალი არ იქნება მდიდრების მიერ ზექათის აღება“. (ებუ დავუდი, ზექათი, 25) „ზექათი აკრეფა ხდება მიდიდრებისგან, ხოლო შემდეგ ის გაიცემა ღარიბებზე“. (ბუხარი, ზექათი, 1) ამიტომაც, ზექათის მიცემა დაუშვებელია იმ მუსლიმზე, რომელსაც გააჩნია მატებითი ხასაითის ქონება, რომელის რაოდენობა ნისაბის ტოლია ან აღემატება მას.

4. ალლაჰის შუამავლის ახლობლები

იმის გამო, რომ ალლაჰის შუამავალმა (ს.ა.ს.) თავის საგვარეულოსთვის ზექათის მიცემა აკრძალა, ჰაშიმისშვილებისთვის ზექათის გაცემა დაუშვებელია. ერთხელ როდესაც ალლაჰის შუამავლის შვილიშვილმა -ჰასანმა ზექათის ხურმიდან ერთი ცალი აიღო და შეჭმას აპირებდა შუამავალმა მას უთხრა: „შეეშვი, უკან დააბრუნე! განა არ იცი, რომ ჩვენ ზექათის ქონებას არ მივირთმევთ“? (ბუხარი, ზექათი, 57; მუსლიმი, ზექათი, 161) გარდა ამისა არსებობს სხვა ჰადისებიც, სადაც ალლაჰის შუამავლისა და მისი ოხლობლებისთვის ზექათის გაცემას კრძალავს. (მუსლიმი, ზექათი, 168; ნესაი, ზექათი, 95)

უდავოა, რომ ალლაჰის შუამავლისა და მისი ახლობლებისთვის ზექათის აღების აკრძალვაში რამდენიმე მიზეზისა თუ სიბრძნის მოძიება შესაძლებელია. მათ შორის შესაძლოა ერთ-ერთი მიზეზი ის იყოს, რომ უნდოდა საკუთარი და ახლობლები ყოველგვარი საეჭვო და საჩოთირო მდოგმარეობიდან განერიდებინა.

ვ. ზექათის გაცემის კულტურა

როდესაც ყურანში აქცენტი კეთდება, როგორც ზექათის, ასევე ალლაჰის კმაყოფილების დამსახურების მიზნით

შესრულებული ნებისმიერი სიკეთისა და ქველმოქმედების შესახებ, ვალდებულებების საფუძველში შესრულების სხვადასხვა წესებსა და კულტურაზეა საუბარი. სწორედ აღნიშნულ ქვეთავში შეიძლება განიხილოს ზექათის გაცემის კულტურაც.

1. ალალი შემოსავლისგან უნდა გაიცეს

ზექათისა და სხვა მატერიალური ღვთისმსახურება, მხოლოდ მაშინ იქნება ღვთის წინაშე მისაღები თუკი იგი ალალი მოგებისგან იქნება გაცემული. გამომდინარე იქედან, რომ აკრძალული გზით მიღებული შემოსავალი ქონებად არ ითვლება, დაუშვებელია მისით რაიმე სახის სიკეთე ან ქველმოქმედება. უზენაესი ალლაჰი მხოლოდ მიიღებს ისეთ ქველმოქმედებას, რომელიც მოსაწონი, სუფთა და ალალი გზით იქნება მოგებული. სწორედ აქედან გამომდინარეა, რომ ყურანში უზენაესი ალლაჰი შუამავალსა (ს.ა.ს.) და მორწმუნეებს შემოსავლის ალალი გზით მიღებასა და ალალი სარჩოს მირთმევას უბრძანებს. ასევე ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ უზენაესი ალლაჰისადმი მონა-მსახურებაც მხოლოდ სუფთა და ალალი სარჩოს მირთმევით იქნება შესაძლებელი.

უზენაესი ალლჰი ბრძანებს: „ჰეი, შუამავალნო! იგემეთ სუფთანი და აკეთეთ სიკეთე. უეჭველად, მე ვუწყი იმას, რასაც აკეთებთ“! (მუყმინუნი, 23/51) „ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ჭამეთ, რაც რამ კარგი საზრდო მოგმადლეთ და მადლობა შესწირეთ ალლაჰს, თუკი თქვენ მხოლოდ მას სცემთ თაყვანს“. (ბაყარა, 2/172)

ქვემოთ მოცემულ ჰადისში ალლაჰის შუამავალი აღნიშნავს, რომ ღვთისმსახურების მიმღებლობის საქმეში მნიშვნელოვან ფაქტორს ალალი სარჩი განაპირობებს:

ვიღაც, ალლაჰის გზაზე ხანგრძლივად იმოგზაურებს, თმაწვერ აჩეჩილი, მიწა-მტვერში ამოსვრილ მდგომარეობაში ხელებს ზეცისკენ აღაპყრობს და შეავედრებს: „ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! მაგრამ აკრძალული (ჰარამი) იყო რაც მან მიირთვა, აკრძალული იყო, რაც მან დალია, აკრძალუ-

ლი ჩაიცვა მან და ასევე აკრძალულით იკვებებოდა იგი. მაშ, როგორ შეიძლება შესმენილი იქნას მისი ვედრება! (მუსლიმი, ზექათი, 65)

მაშ ასე, უზენაესი ალლაჰის წინაშე მხოლოდ ალალი შემოსავლით გაცემული ზექათი და მოწყალება იქნება მისაღები. როგორც ალლაჰის შუამავალი აღნიშნავს, პიროვნების მიერ ალალად გაცემული მოწყალება, თუნდაც ერთი ცალი ფინიკის ხურმა იყოს, ღვთის წინაშე ის იმდენად გაიზრდება და დაჯილდოვდება, ვიდრე მთის ან მასზე უფრო დიდი გახდებოდეს". (მუსლიმი, ზექათი, 63-64) ასეთი პიროვნების მიერ ალალი სარჩოთი შესრულებული სიკეთე, განკითხვის დღეს სასწორზე დაიდება და წონით იმდენად მძიმე იქნება, თითქოს მთის ოდენა ქონება გაეღოს მოწყალებად". ისე როგორც მიწაში ჩათესილი ერთი მარცვალი ერთ თავთავს იღებს, ხოლო შემდეგ ასად და უფრო მეტჯერ, შვიდასზე მეტად მრავლდება, ასევეა ალალი სარჩოთი გაცემული მოწყალების მადლიც და იგი შვიდასამდე ან უფრო უხვად მრავლდება. (ბაყრა, 2/261)

რაც შეეხება აკრძალული გზით მოგებული ქონებიდან ან სიმდიდრიდან გაღებულ ქველმოქმედებას, მას ზემოთ მოცემული არცერთი მადლიანობა არ შეეხება. რამეთუ ისლამში ძირითადი და ბუნებრივი შემოსავლის გზა მხოლოდ გარჯაზე გადის. ამიტომაც მუსლიმი მკაცრად უნდა უფრთხილდებოდეს უზრნველ შემოსავალს, სხვის ხარჯზე თავის რჩენას ან არასამართლიანი გზით შემოსავლის მიღებას. ყურადღებას უნდა აქცევდეს საიდან და როგორ იღებს შემოსავალს და იგი აუცილებლად სუფთა უნდა იყოს. როგორც თავად უნდა იკვებებოდეს ალალი ლუკმით, ასევე ოჯახის წევრებსაც ალალი შემოსავლით უნდა უზრუნველჰყოდეს. ამასთან ერთად ფული, რომლის გაღებასაც ალლაჰის გზაზე განიზრახავს, ალალად და სუფთად უნდა ჰქონდეს მოგებული. ვინაიდან აკრძალული გზით მიღებული ქონებით არ შეიძლება როგორც სიკეთის ქმნა, ასევე მიუღებელი იქნება მისგან გაცემული ზექათიც და მოწყალებაც.

2. ქველმოქმედება ღირებული და საუკეთესო ქონებიდან

შეყვარებულს, სიყვარულის გზაზე ყველაზე უფრო საუკეთესოს გაღება სურს. მაშინ, როცა სარჩოს მბოძებელი უზენაესი ალლაჰია, მის გზაზე ყველაზე უფრო მშვენიერისა და ღირებულის გაღება, მორწმუნეობის ერთ-ერთი დასტურია. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ყურანში ვკითხულობთ:

"ვერასდროს მიაღწევთ ღვთისნიერებას, თუ არ გაიღებთ იმას, რაც გიყვართ. და რაც უნდა გაიღოთ, უეჭველად, ალლაჰმა უწყის იგი"! (ალი ღიმრანი, 3/92)

უდავოა, რომ სარჩოს ჭეშმარიტი მფლობელი უზენაესი ალლაჰია. რაც შეეხება ადამიანის, იგი ხელთარსებული მატერიალური ქონების, მხოლოდ დროებითი მფლობელია. უზენაესმა ალლაჰმა ადამიანს სუფთა სარჩო უბოძა და ამცნო, რომ ქველმოქმედება, გარდა სუფთა და ალალი სარჩოსი, არ მიიღება. ამასთან ერთად არც ისეთ რამეს მიიღებს გულის სიმშვიდითა და სიხარული ვინმე ზექათად, როგორიცაა დაძველებული, შემორჩენილი, არაფერში გამოსადეგი და იქნებ გადასაგდები რამ. შესაძლოა, მხოლოდ იმის გამო აიღოს, რომ ძალიან სჭირდება. ასე მოქცევის შემთხვევაში შესაძლოა ვიფიქროთ, რომ პიროვნებამ ზექათის ვალდებულება მოიხადა, მაგრამ თუკი ვიფიქრებთ ალლაჰის კმაყოფილების მოპოვებაზე, რომელიც ღვთისმსახურების არსშია ჩადებული, შეუძლებელია ითქვას, რომ ასეთი ქცევით იგი საწადელს მოიგებს. რადგან კიდევ ერთ აიათში უზენაესი ალლაჰი ქველმოქმედებად საუკეთესო მოგებულის გაღებას ბრძანებს.

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! გაეცით იმ საუკეთესოთაგან, რაც მოიხვეჭეთ და რაც მიწიდან აღმოვაცენეთ თქვენთვის. და არ განიზრახოთ მისგან ყველაზე ცუდი გასაცემად, რისი ამღებიც არ იქნებოდით თქვენ, გარდა თვალმოხუჭვისა. იცოდეთ, რომ ალლაჰი ყოვლადმდიდარია, ყოვლადქებულია! (ბაყარა, 2/267)

ზემოთ მოცემული აიათის გარდმოვლინების მიზეზად შემდეგი ისტორიული მოვლენა სახელდება: როდესაც ფინიკის

ხურმის დაკრეფის დრო დადგებოდა, მედინელი მუსლიმები ახლად მოსულ ფინიკის მტევნებს დაკრეფდნენ, ალლაჰის შუამავლის მეჩეთში არსებულ ბოძებს შორის თოკზე ჩამოკიდებდნენ, საიდანაც ღარიბი მუჰაჯირები იღებდნენ და მიირთმევდნენ. აღნიშნული მდგომარეობა გრძელდებოდა მანამ, სანამ მედინლე ენსართაგან ზოგიერთები, ხურმის სიმრავლის გამო, გაბუჭებული მტევნებსაც მოიტანდნენ, კარგებს შორის აურევდნენ და ასე დაიწყებდნენ დაკიდვას. ზემოთ მოცემული აიათის ზეგარდმოვლენაც, სწორედ შექმნილი ვითარების შესახებ გამაფრთხილებელი შინაარსისაა.

მაშინ, როდესაც ადამიანი ქველმოქმედებად გასცემს ისეთ რამეს, რაც მას არ მოსწონს, მან უნდა იცოდეს, რომ თუნდაც ადამიანები მოატყუოს, იგი უზენაესი ალლაჰის მოტყუებას ვერა და ვერ შეძლებს. რადგან, რამდენადაც ადამიანები მას ვერ ხედავენ, იგი მონა-მსახურებს ყოველწამს ხედავს და მათი ქმედებების შესახებ უწყის. იგი ასევე უწყის ყველაფერს, რაც ადამიანებს გულში უდევთ, და იცის ისიც, რასაც ისინი აშკარად თუ ფარულად სჩადიან. (ენღამი, 6/103; მულქი, 67/13)

არასოდეს უნდა დავივიწყოთ, რომ ყველაზე საუკეთესო ქმედება, რამაც ალლაჰის შუამავლის თანამიმდევრების ღირსება აღამაღლა, იყო ის, რომ ისინი საყვარელ ქონებას ალლაჰის გზაზე ქველმოქმედების სახით უყოყმანოდ ხარჯავდნენ. მათ შორის ერთ-ერთი მედინელ მუსლიმთაგან ყველაზე მდიდარი ებუ ტალჰა გახლდათ. მას მედინაში შუამავლის მეჩეთის (მესჯიდი ნებევის) წინ ფინკის ხურმის ბაღი ჰქონდა, რომელიც ძალიან უყვარდა. ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს.) ხშირად გაივლიდა აღნიშნულ ბაღში და იქ არსებულ წყარო წყალს დალევდა ხოლმე. მას შემდეგ რაც ზეგარდმოევლინა აიათი, სადაც უზენაესი ალლაჰი ბრძანებდა: „ვერასდროს მიაღწევთ ღვთისნიერებას, თუ არ გაიღებთ იმას, რაც გიყვართ. და რაც უნდა გაიღოთ, უეჭველად, ალლაჰმა უწყის იგი“! (ალი ღიმრანი, 3/92) ებუ ტალჰა ადგა, ალლაჰის შუამავალთან მივიდა და იმ იმედით, რომ უზენაესი ალლაჰის წინაშე საუკეთესო საგზალად წაადგებოდა, საყვარელი ქონების, (ფინიკის ბაღის) ჩუქების სურვილი გამოთქვა. მაშინ

ალლაჰის შუამავალმა შეაქო ებუ ტალჰა და უთხრა: „დიახ, შენი ბაღის სილამაზის, მომგებიანობსა და ნაყოფიერების შესახებ მსმენია. მაგრამ მე მინდა, რომ იგი შენ საკუთარ ნათესავებს დაურიგო“. გაითვალისწინა რა ებუ ტალჰამ ალლაჰის შუამავლის სიტყვები, აღნიშნული ბაღი ღარიბ ნათესავებს დაუნაწილა. (ბუხარი, ზექათი, 44; მუსლიმი, ზექათი, 14)

მას შემდეგ რაც აღნიშნული აიათი გარდმოევლინა, ასევე ზეიდ ბინ ჰარისემ გადაწყვიტა ყველაზე საუკეთეს რაც გააჩნდა, „არაბული ჯიშის ცხენის“ მოწყალების სახით გაცემა ისურვა. ალლაჰის შუამავალმა მისგან ეს საჩუქარი მიიღო, თუმცა ცხენი არათუ სხვას, არამედ ზეიდის ვაჟს –უსამეს მისცა. ზეიდს თავდაპირველად თითქოს ეწყინდა, მაგრამ ალლაჰის შუამავალმა იგი დაამშვიდა და უთხრა: „უდავოდ უზენაესმა ალლაჰმა შენი მოწყალება მიიღო“. (თაბერი, თეფსირი, VI, 592)

ანალოგიურად მოიქცა ძვირფასი ომერი (რ.ა.), როცა ალლაჰის შუამავალთან მივიდა და უთხრა, რომ მიწა, რომელიც ჰაიბერში ხვდა წილად, ძალიან ღირებული იყო და იმ დღემდე მსგავსი ღირებულების ქონება არასოდეს ჰქონია. ასევე თხოვა დარიგება აღნიშნული მიწის შესახებ თუ როგორ შეეძლო მისი გამოყენება. ალლაჰის შუამავალმა მას ურჩია, რომ ნაკვეთი კუთვნილებაში დაეტოვებინა, ხოლო მოსავალი ალლაჰის გზაზე ქველმოქმედებად გაეცა. ძვირფასი ომერი (რ.ა.) სწორედ ისე მოიქცა, როგორც შუამავალმა (ს.ა.ს.) დაარიგა. (ბუხარი, შურუტი, 19; მუსლიმი, ვასიიე, 15)

3. ქველმოქმედებაში აჩქარება

ამქვეყნიური ცხოვრება წარმავალია. მაგრამ ადამიანს უამრავი ულევი და ამოუწურავი სურვილები ახასიათებს. თუკი ადამიანი წუთისოფლის წარმავალ სურვილებს აყვება, თუნდაც საიქიო ცხოვრებისთვის სამზადისის საჭიროების ირწმუნოს, იფიქრებს, რომ მას წინ ჯერ ძალიან დიდი დრო აქვს და თავისი გაჩენის არსში ჩადებულ ვალდებულებებს სამომავლოდ გადადებს, რითაც დიდ ცდომილებაში აღმოჩნდება. მაშინ, როცა სიკვდილის პირისპირ აღმოჩნდება, დიად გამჩენს სიცოცხლისთვის დამატებით დროს შეავედ-

რებს. მაგრამ გამოცდის დრო უკვე ამოწურულია და ჯერი მის შეფასებაზეა მიმდგარი. სწორედ ასეთი საფრთხის შემცველი იქნება, ზექათის სამომავლოდ გადახდის ფიქრიც. გარდა ამისა თავის დროზე გადაუხდელმა ზექათმა და მოწყალებამ შესაძლოა ღარიბისთვისაც მნიშვნელობა დაკარგოს. გამომდინარე აქედან, უზენაესი ალლაჰი შეძლებულ მონა-მსახურებს აფრთხილებს და ვალდებულების დროულად სისრულეში მოყვანისკენ მოუწოდებს.

ყურანში ვკითხულობთ: „და გაიღეთ მოწყალება იქიდან, რაც ჩვენ მოგმადლეთ, ვიდრეღა სიკვდილი გეწეოდეთ თქვენგან რომელიმეს. მაშინ ასე იტყვის: ღმერთო ჩემო! განა არ შეიძლებოდა გადაგევადებინა ჩემთვის მცირე ხნით. ამგვარად, მოწყალებას გავიღებდი და ვიქნებოდი საუკეთესოთაგანი. და არ გადაუვადებს ალლაჰი არავის, როცა დადგება დანიშნული ჟამი. უეჭველად, უწყის ალლაჰმა, რასაცა იქმთ“! (მუნაფიყუნი, 63/10-11)

როგორც ყველა სხვა საკითხში, ალლაჰის შუამავალმა თანამიმდევრები ქველმოქმედების მიმართულებითაც საუკეთესოდ აღზარდა და ისინი მსოფლიოში ყველაზე ხელგაშლილ პირონებებად ჩამოაყალიბა. სწორედ ასეთი, კეთილშობილ ადამიანთაგან ერთ-ერთი მათგანი, ქველმოქმედების საუკეთესო ფორმის შესახებ კითხვის დასასმელად ალლაჰის შუამავალთან მივიდა: „ო, ალლაჰის შუამავალო! რომელი მოწყალების მადლი უფრო დიდია“? მაშინ შუამავალმა მიუგო: „დიდია იმ მოწყალების მადლი, რომელსაც გასცემ მაშინ, როცა ჯანმრთელი ხარ, ქონებას დახარბებული ხარ, სიღარიბეში ჩავარდნის შიში გაგაჩნია და სიმდიდრეზე ფიქრობით ხარ შეპყრობილი. ამ საქმეს ნუ დატოვებ იმ დრომდე, როცა სული ყელში მოგებჯინება და იტყვი: „ამას, ამდენი, იმას იმდენი დავიტოვო მემკვიდრეობად! ის ქონება ისედაც მემკვიდრეთაგან რომელიმეს ერგება. (მუსლიმი, ზექათი, 92) ამ სიტყვებით ალლაჰის შუამავალი აღნიშნავდა, რომ კრიზისულ ან კიდევ ქონებას დახარბებულ მომენტებში გაცემული მოწყალება, სიუხვის დროს, მომავლის შიშის არ არსებობის დროს გაცემულ მოწყალებაზე ძვირფასი და მადლიანია.

ალლაჰის შუამავალი კიდევ ერთ ჰადისში თანამიმდევრებს ხელგაშლილობას და ყოველგვარი გულის სიმშვიდით ქონების გაცემას ასწავლიდა. „ქველმოქმედება გაიღე, უხვად, უხვად გაეცი და მხოლოდ ნუ იქნები ქონების ანგარიშით დაკავებული! თუკი ასე მოიქცევი, უზენაესი ალლაჰიც შენდამი ქონებას განგისაზღვრავს და შეგიმცირებს. ფულს თიხის ქოთანში ნუ დამალავ, რამეთუ ალლაჰიც შენგან დამალავს მას“. (მუსლიმი, ზექათი, 88) მოცემული ჰადისი მეტყველებს იმაზე, ხომ ქისას მჭიდროდ მოხუფვა ანუ ზედემტად ხელმომჭირნეობა, უზენაესი ალლაჰის მიერ ადამიანისთვის ბოძებული სარჩოს შემცირების მიზეზი გახდება.

მაშ ასე, ის ვისაც სწადის სიკეთის ქმნა, მან ეს დროულად და აჩქარებულად უნდა შეასრულოს და ქველმოქმედების შანსი ხელიდან არ უნდა გაუშვას. რამეთუ დაგვიანებული დახმარება, შორსაა გასაჭირის აღმოფხვრისგან. ამიტომაც საჭიროა შეძლებულმა პიროვნებამ დროულად იმოქმედოს და ზექათი ღარიბებს რაც შეიძლება მოკლე ხანში მიაწვდინოს.

4. მარჯვენა ხელით გაცემული, მარცხენასთვის დაფარული უნდა იყოს

მუსლიმი ადამიანი ყოველთვის, როდესაც გასცემს ზექათს, მოწყალებას ან იქმს რაიმე სახის სიკეთეს, იგი ყოველ მსგავს ქმედებას, შეძლების ფარგლებში თვალთმაქცობას განარიდებს. რამეთუ თვალთმაქცობა და სხვის დასანახად სიკეთის ქმნა, ყველა კეთილი ქმედების მადლს წარხოცავს. რაც შეეხება ქველმოქმედებას, რომელიც სრულდება ფარულად, ასე ღარიბის ღირსებაც დაცული იქნება. რადგან ღირსების მქონე ღარიბები არ ისურვებენ ყველას დასანახად დახმარების თხოვნით ხელის გაწოდებას და საზოგადოების თვალში მათხოვრის სახით გამოჩენას. სიკეთის ფარულად გაკეთებასთან დაკავშირებით ალლაჰის შუამავალი ბრძანებს:

„ფარულად გაცემული მოწყალება, ღვთის რისხვას ჩააქრობს“. (თაბერანი, ელ-მუ’ჯემულ-ქებირ, XIX, 421; ქენზულ უმმული, XV, 916 ჰადისის ნომერი, 43581)

ყურანში ფარულად გაცემული მოწყალება, რომ ღიად გაცემულ მოწყალებაზე უმჯობესია, შემდეგი სიტყვებით არის გადმოცემული:

„თუ აშკარად გაიღებთ თქვენსა მოწყალებანსა, კარგია ეს. ხოლო თუ ფარულად გაიღებთ მას და მიაგებთ გლახაკებს, უკეთესია ეს თქვენთვის და (ალლაჰი) დაფარავს თქვენ ჩადენილ ცოდვათაგან ნაწილს. და ალლაჰმა უწყის ის, რასაც სჩადიხართ“. (ბაყარა, 2/271)

რამეთუ, როდესაც პიროვნება ფარულად გასცემს მოწყალებას, მხოლოდ ქონების მწყალობლის -უზენაესი ალლაჰის კმაყოფილებას ელოდება და სხვა არავისგან არაფერს ელის.

ალლაჰის შუამავალი ახარებს იმ მორწმუნეებს, ვინც ქონებას ფარულად გასცემს მოწყალებად და ამცნობს, რომ უზენაესი ალლაჰი მათ განკითხვის დღის მცხუნვარე მზის სიცხისგან დაიფარავს.

იმ დღეს, როცა ალლაჰის მოწყალების ჩრდილის გარდა არსად მოიძებნება სხვა თავშესაფარი, შვიდი კატეგორიის ადამიანი ალლაჰის ჩრდილს შეაფარებს თავს. ... მათ შორის ერთ-ერთი არიან ისინი ვინც მოწყალებას ისეთი ყურადღებით და ფარულად გაცემს, რომ მარჯვენა ხელით გაცემულის შესახებ მარცხენა ვერაფერს გაიგებს. (ბუხარი, ზექათი, 16; მუსლიმი, ზექათი, 91)

ალლაჰის შუამავალი ხომ გვამცნობს, რომ მათ, ვინც გაცემულ მოწყალებას აყვედრიან და ცდილობენ ღარიბებს თავი მათდამი დავალებულ მდგომარეობაში აგრძნობინონ, დიადი გამჩენი განკითხვის დღეს არ დაელაპარაკება, მათ სახეზე არ შეხედავს და ისინი არც განიწმინდებიან“. (მუსლიმი, Iმანი, 171)

უდავოა, რომ ისინი ვინც გაცემული მოწყალებისა და ზექათის შესახებ სხვებს უამბობს ან შეეცდება დაანახოს, აღმოჩნდება იმ რისკის წინაშე, რასაც თვალთმაქცობა, საკუ-

თარი თავის სხვებზე მაღლა დაყენება, თავმომწონეობა და სიამყე ჰქვია. სიკეთის ფარულად ქმნა, ადამიანს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სიავისგან დაიცავს. ამ თვალსაზრისით ადამიანები, რომლებსაც სულიერი სამყაროს გამდიდრება სურთ, ცდილობენ, მოწყალების გაცემის დროს ღარიბს თავიანთი ვინაობის შესახებ არაფერს აცოდინონ. ამისათვის ისინი მოწყალებას ტოვებდნენ იქ, სადაც ღარიბები გაივლიდნენ ან უტოვებდნენ კართან. ზოგჯერ სხვებს მიმართავენ შუამდგომელად და მოწყალების გამღებნი რჩებოდნენ ფარულად.

მართალია, რომ ადამიანი მოწყალების ფარულობით სხვების შექებასა და ქათინაურებს ვერ მიიღებს. ეს მდგომარეობა კი ადამიანის ბუნებისთვის რთულია, მაგრამ მადლის მატების ერთ-ერთი საშუალებაა. ყურანში ალლაჰის კმაყოფილების მოპოვების იმედითა და გულის დაჯერებით ღვთის გზაზე ქონების გამხარჯველთა მდგომარეობა ამაღლებულ ადგილზე გაშენებულ ბაღს ჰგავს. მაშინ, როცა უხვი წვიმის დროს ორმაგ მოსავალს იძლევა უხვმოსავლიანი ბაღი, წვიმის ნამებიც კი მოსავლის ბარაქიანობის მიზეზი გახდება. ხოლო ისინი, ვინც ქონებას, არათუ ალლაჰის კმაყოფილების მოპოვების მიზნით, არამედ სხვების დასანახად, თვალთმაქცურად გასცემენ, დაინახავენ, რომ განკითხვის დღეს მათი ქმედებები ფუჭი აღმოჩნდება. (ბაყარა, 2/265)

5. წახალისების მიზნით, აშკარად გაცემა

რამდენადაც უმჯობესია ქველმოქმედება ფარულად სრულდებოდეს, თუკი ზექათისა და მოწყალების აშკარად გაცემის შემთხვევაში ადამიანები წახალისდებიან და ამით ღარიბები უკეთესად ისარგებლებენ, პიროვნებას ნება ეძლევა საჩუქარი აშკარად გადასცეს. რამეთუ ზექათისა და მოწყალების აშკარად გაცემა თუკი ხალხის სოციალური პასუხისმგებლობის საქმეში წახალისებას გამოიწვევს და ისინი იტყვიან: „ის თუ ზექათს გასცემს, მე რატომ არ უნდა ვაძლევდე“? მაშინ შესაძლებელია მისი ღიად გაცემა. ამრიგად როგორც ალლაჰის ბრძანებას მოიყვანს სისრულეში, ასევე ღარიბებს დაჩაგრულ გულებს გაუხარებს. აღნიშ-

ნული ქმედება ყურანში ასეა შექებული: „თუ აშკარად გაიღებთ თქვენსა მოწყალებანსა, კარგია ეს“... (ბაყარა, 2/271) ის ვინც მათხოვრობას წესად არ დაიდგენს და ნამდვილად გაჭირვებულ შემთხვევაში ვინმე შეძლებული პიროვნებისგან ხახლის თვალწინ ზექათს ან მოწყალებას მოითხოვს, მან დახმარება უნდა გაუწიოს. არ იქნება სწორი დახმარებაზე უარის თქმა იმის შიშით, რომ აშკარად გაცემა „თვალთმაქცობად“ ჩამეთვლება. უზენაესი ალლაჰი ქვემოთ მოცემული აიათის თანახმად, სწორედ აღნიშნულ საკითხს ამტკიცებს და მათხოვრისადმი კეთილ მოპყრობას გვიბრძანებს: „და მათხოვარს არ გაუწყრე“. (დუჰანი, 93/10) უეჭველია, რომ ასეთ შემთხვევაშიც კი თვალთმაქცობისგან თავს შორს დაჭერა უმნიშვნელოვანესია. კიდევ ერთ აიათში ვკითხულობთ, რომ მათთვის, ვინც უზენაესი ალლაჰის მიერ ბოძებულს ფარულად და აშკარად ქველმოქმედების სახით გაიღებს, შიში არ ექნებათ და არც დამწუხრდებიან ისინი. (ბაყარა, 2/274) აგრეთვე არასოდეს განიცდიან ზიანს და მოგების იმედით იქნებიან განმსჭვალული ისინი, ვინც მათთვის ბოძებული სარჩოდან ალლაჰის გზაზე ფარულად თუ ღიად ხარჯავენ. (ფატირი, 35/29)

მაშ ასე, ქველმოქმედების საკითხთან დაკავშირებით გონიერმა ადამიანმა ორივე ვარიანტი კარგად უნდა გაანალიზოს და მათ შორის საუკეთესო მეთოდი უნდა აირჩიოს. რადგან ღიად და აფარულად გაწეული ქველმოქმედება ადამიანთა ხასიათისა და გარემოების შესაბამისად განსხვავდება. ყურანში გაცხადებულია: „აიღე მათი ქონებიდან მოწყალება“ აღნიშნული აიათი მიანიშნებს იმაზე, რომ სავალდებულო ზექათის გადახდა შესაძლებელია, როგორც ფარულად, ასევე ღიად. გამომდინარე აქედან შუამავლის (ს.ა.ს.) ერთ-ერთ ჰადისში აღნიშნულია, რომ საზოგადოებაში სანიმუშო სტატუსის მქონე ვინმეს მიერ მოწაყლების ღიად გაცემა, ფარულად გაცემულ მოწყალებაზე უფრო უკეთესია. (ბეიჰაყი, შუაბულ Iმანი, 5/376; ჰადისის ნომერი: 7012)

6. მოწყალების გაცემისას ადმიანების ღირსების დაცვა

ღარიბებისთვის დახმარების გაწევა, რელიგიური -სულიერი ძმობისა და უფრო მეტიც კაცობრიობის უმთავრესი

აუცილებლობაა. ველმოქმედების სიყვარული მორწმუნის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია. ალლაჰის შუამავალი ბრძანებს: „მუსლიმი, მუსლიმის ძმაა. მას არ დაჩაგრავს და არც მარტოდ დატოვებს. ვინც მუსლიმი ძმას გასაჭირში დაეხმარება, მას უზენაესი ალლაჰი დაეხმარება. ვინც მუსლიმ ძმას პრობლემას მოუგვარებს, უზენაესი ალლაჰი განკითხვის დღეს მას ერთი სირთულისგან იხსნის. და ვინც მუსლიმი ძმის ნაკლოვნებას დაფარავს, უზენაესი ალლაჰის განკითხვის დღეს მის ნაკლოვნებას დაფარავს“. (ბუხარი, მეზალიმი, 3; მუსლიმი, ბირრი, 58) მოცემული სიტყვებით ალლაჰის შუამავალი მუსლიმებს გარშემომყოფი მორწმუნე ძმებისადმი არსებულ ვალდებულებებს ახსენებს.

დიახ, შეძლებული მორწმუნე, რომელიც სწორედ ასეთი პასუხისმგებლობით მოქმედებს, ქველმოქმედების დროს ზედმიწევნით ყურადღებიანობას გამოიჩენს. პიროვნებების ღირსებას, ვისაც ზექათს გასცემს, არ დაამცირებს, არ შეარცხვენს და მათ გულს არასოდეს ატკენს. სურა ბაყარაში ზენობის ძირითადი პრინციპები შემდეგნაირად არის გაცხადებული:

„რომელნიც გაიღებენ თავიანთ ქონებას ალლაჰის გზაზე, შემდეგ კი რასაც გასცემენ უკან ყვედრებასა და დამცირებას არ მიაყოლებენ, მათი საზღაური თავიანთ ღმერთთანაა, მათ არც შიში ექნებათ და არც არასდროს დამწუხრდებიან“. (ბაყარა, 2/262)

„კეთილი სიტყვა და მიტევება უკეთესია ისეთ მოწყალებაზე, რომელსაც თან ახლავს წყენა“. (ბაყარა, 2/263)

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! გაცემული მოწყალება ამაოდ არ ჰქმანთ დაყვედრებითა და დამცირებით; იმის მსგავსად, რომელიც ხალხის დასანახად გასცემს თავის ქონებას, და არ სწამს ალლაჰი და დღე უკანასკნელი. მდგომარეობა მისი იმ კლდეს ჰგავს, რომლის ზემოდან მიწაა, ღვართქაფი დაეცა მას და დარჩა სალი ქვა. ეგენი ვერაფერს განაგებენ რაც შეიძინეს, იქიდან. რამეთუ ალლაჰი არ დაადგენს ურწმუნოებს ჭეშმარიტ გზას“.

ზემოთ მოცემული აიათების შინაარსიდან გამომდინარე ვიგებთ, რომ იმისათვის, რომ ზექათი და მოწყალება დიად გამჩენის წინაშე მისაღები იყოს, საჭიროა იმ ადამიანების დაყვედრებისა და შეურაცხყოფისგან დაცვა, ვისაც დახმარებას აღმოვუჩენთ. დაყვედრება ეს არის, როცა ადამიანი ვინმესთვის მიცემულ მოწყალებას ყველგან ახსენებს, პიროვნებას ამცირებს და გაიძახის: „ეს მივეცი, ამდენი მივეცი, ასეთი რამ მივეცი და ასე შემდეგ“. ასევე ცდილობს, რომ მათგან, ვისაც ზექათი თუ მოწყალება გასცა, სარგებელი მიიღოს და საუკთარი ავტორიტეტით იამაყოს. ხოლო თუ რაში გამოიხატება წყენინება, ეს არის ღარიბისა და უპოვარის შერცხვენა, დამცირება და მათთვის შეურაცხმყოფელი ან უშვერი სიტყვებით მიმართვა.

ამიტომაც, ჭეშმარიტი მორწმუნეები, რომელთაც გულები რწმენითა აქვთ აღსავსე, როდესაც ვინმეს სასარგებლოდ მოწყალებას ან ქველმოქმედებას გაიღებენ თავიანთ გაკეთებულ სიკეთეს არასოდეს შეახსენებენ, არ დააყვედრებენ და ამით სიკეთის მადლიანობას ფუჭად არ აქცევენ. არასოდეს დაივიწყებენ, რომ ღარიბების გულის მოგება და მათთვის საამო სიტყვით მიმართვა, იმაზე უფრო უკეთესია, ვიდრე გულის ტკენისა და წყენინების გამომწვევი ტონით მათ შესახებ საუბარი. ამიტომაც ისინი ღარიბების მიმართ ყოველმხრივ თავაზიანად და თავმდაბლურად მოიქცევიან. ჭეშმარიტი მორწმუნეები თავიანთი სიკეთის სანაცვლოს მხოლოდ უზენაესი ალლაჰისგან მოელიან და ასე იტყვიან: „ჩვენ მხოლოდ ალლაჰის კმაყოფილების სურვილით გაპურებთ თქვენ, ჩვენ არ გვსურს თქვენგან საზღაური და არც მადლობა“. (ინსანი, 76/9)

ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ყურანში განსაკუთრებით ხაზგასმითაა აღნიშნული, ზექათი, როგორც ღარიბებისა და უპოვრების უფლება, მეტყველებს იმაზე, რომ ზექათის გადახდის დროს ადგილი არ ჰქონოდა კონკრეტულად უპოვარი პიროვნების დამცირებას, დაყვედრებას და მისი გულის ტკენას. ამასთან ერთად ზექათის გადამხდელს არ ეტრაბახა იმით, რომ ვინმეს ზექათი გასცა. რამეთუ მდიდარი ზექათისა და მოწყალების გაცემით ღარიბს თავის კუთვ-

ნილ უფლებას აბარებს, ხოლო ღარიბი სარჩოს უზენაესი ალლაჰისგან იღებს. ამ თვალსაზრისით მდიდარი ვინმე ქონების განმკარგველია და მისთვის ბოძებული სიმდიდრის გარკვეული ნაწილის სხვებზე გადაცემის მიმართულებით შუამდგომლობის ვალდებულება აკისრია. ის რასაც აკეთებს, მხოლოდ ამანათის მეპატრონეზე დაბრუნებით შემოიფარგლება. შეძლებული პიროვნება, რომელიც აღნიშნულ მდგომარეობას სწორად აღიქვამს, იგი ღარიბსა და უპოვარს არასოდეს დააყვედრებს გაწეულ მატერიალურ დახმარებას. მან, ვინც ღარიბს გაწეული დახმარების შემდეგ ამცირებს და აყვედრებს უნდა იფიქროს, რომ უზენაეს ალლაჰს ძალუძს, სარჩო ყველასთვის თანაბრად მიეცა. მაგრამ ადამიანთა გარკვეულ კატეგორიას ქონებას უხვად უწყალობებს, რომლითაც მათ გამოცდის თუ რაოდენ ხელგაშლილები იქნებიან. თუკი ინებებს ღარიბებს წარმოუდგენელი რაოდენობის სიმდიდრეს უბოძებს. უფრო მეტიც, მათ იმდენად გაამდიდრებს, რომ შეეძლებათ თავის დროზე მათი დამცირებით დაკავებულებს, ზექათი პირიქით გადაუხადონ. მდიდარი, რომელიც დღეს ქონების სიუხვით გამოირჩევა, შესაძლოა ხვალ უმკაცრეს სიღარიბეში აღმოჩნდეს. „ქონების ჭეშმარიტი მფლობელი უზენაესი ალლაჰია“. ცნობილი სწავლული სადი ამბობდა: „როდესაც ვინმეს სიკეთეს გაუკეთებ, თავს დიდ კაცად ნუ წარმოიდგენ და არ თქვა: „მე ბატონი ვარ, ის კი ჩემზეა დამოკიდებული“. ნუ იტყვი, რომ „იმ ღარიბს დრომ მოუღო ბოლო“. რადგან ხმალი, რომელიც მას მოხვდა, ჯერ ისევ ქარქაშში არ ჩადებულა. შესაძლოა იმ ხმალმა ერთ დღეს შენამდეც მოაღწიოს“. (შეიჰი სადი შირაზი, ბოსტანი, გვ. 58)

ანალოგიურად ცნობილი სწავლული მევლანა, შეძლებულ პიროვნებებს აფრთხილებდა, რომ ღარიბებისადმი დამცინავი და გულის მტკენი სიტყვები არ ეთქვათ.

„ხელგაშლილობა, ის როგორც სიღარიბე, უპროვრებს საჭიროებს“. ისე როგორც უმტვერო სარკე ლამაზებს, ხელგაშლილობაც უპოვრებსა და სუსტებს დაეძებს. ლამაზთა სახეები სარკით უფრო ლამაზდებიან. ისინი შეხედავენ რა სარკეს მოირთვებიან. სიკეთისა და ხელგაშლილობის სახე,

ღარიბებისადმი ყურადღებაში გამოიკვეთება. მაშინ, როცა ღარიბი. ხელგაშლილობის სარკეა, კარგად იცოდე, რომ პირიდან ამოსული ჰაერი სარკეს დაორთქლავს ხოლმე. (მევლანა, მესნევი, I, 226, ბეითი ნო: 2740-2745)

მოკლედ, ისე როგორც ღარიბი ხელგაშლილობასა და სიკეთეს საჭიროებს, ანალოგიურად მოითხოვს ხელგაშლილობა და სიკეთე ღარიბებს. ისე როგორც ლამაზები სილამაზის საცქერად სუფთა სარკეს საჭიროებენ, ისევე დაეძებს ხელგაშლილობა უპოვრებს, ღარიბებსა და სუსტებს. მაშ ასე ნუ ეტყვი ღარიბებს აუგ სიტყვას, ნუ დაამცირებ და ნუ ატკენ მათ გულს.

მთელი ისტორიის მანძილზე გათვითცნობიერებული მორწმუნეები, როდესაც ზექათსა და მოწყალებას გაცემდნენ, თავს ღარიბების ადგილას წარმოიდგენდნენ, მთელი თავმდაბლობით მათთან მივიდოდნენ თხოვდნენ მიეღოთ მათ მიერ შეთავაზებული ზექათი თუ მოწყალება. როდესაც ხელის მუჭაში დამალულ ზექათს ღარიბს გაუწოდებნენ, ცდილობდნენ ღარიბის ხელი ზემოთ, ხოლო მათი ხელი ქვემოდან ყოფილიყო. რადგან მათ არ უნდოდათ იმ სამი კატეგორიის ადამიანთა შორის ერთ-ერთი ყოფილიყვნენ, ვისაც დიადი გამჩენი განკითხვის დღეს არ დაელაპარაკებოდა და სახეზე არ შეხედავდა. (მუსლიმი, იმანი, 171; ნესაი, ბუიუ'ი 5)

დასკვნითი სახით უნდა ითქვას, რომ ზექათი რელიგიური პასუხისმგებლობაა, რომლის რელიგიით განსაზღვრულ ადგილებში გაღება არათუ სათნო საქმეს, არამედ რელიგიური ერთ-ერთი ვალდებულების სისრულეში მოყვანაა. ამიტომაც, როდესაც ზექათის ვალდებულებას ვასრულებთ, არასოდეს უნდა ვაწყენინოთ ღარიბებს, უპოვრებს და დამამცირებელი სიტყვებით მათ გული არ უნდა ვატკინოთ. ზექათი ალალი და საუკეთესო ქონებიდან გავცეთ. გაცემისას უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ „ნეტავ მიიღებს დიადი გამჩენი ჩემს ზექათს"? გარდა ამისა რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იგი ყოველგვარი თვალთმაქცობისა და დაყვედრებისგან შორს უნდა იყოს.

ზ. ზექათის არგადამხდელთა მდგომარეობა

იმდენად ბევრია ის წყალობები, რის გამოც დიად გამჩენს მადლიერება უნდა გადავუხადოთ, რომ მთელი სიცოცხლე მის დათვლას თუ მოვინდომებთ ვერაფრით ვერ შევძლებთ ამას. აღნიშნულთან დაკავშირებით ყურანში ვკითხულობთ: „და გიბოძა თქვენ ყველაფერი, რაც შესთხოვეთ მას. და თუ ალლაჰის წყალობათა ჩამოთვლას დაიწყებთ, ვერ დათვლით. უეჭველად, ადამიანი უსამართლოზე უსამართლო და უმადურია“.

მიკრო და მაკრო ელემენტები, ცოცხალი თუ არაცოცხალი არსებები და სხვა, ყველაფერი რაც ამქვეყნად უზენაესმა ალლაჰმა ჩვენს სამსახურში ჩააყენა, მადლიერების გამოხატვას გვავალდებულებს. (იხ. აყარა 2/172; ეღრაფი, 7/10; ენფალი, 8/26; ნაჰლი, 16/114; იასინი, 36/73) გარდა ამისა, როგორც ზემოთ მოცემული აიათის განმარტებაშია მოცემული, მიუხედავად ადამიანისთვის ბოძებული უამრავი წყალობისა, შეუძლია ადამიანს იყოს „ძალიან უმადური და უსამართლო“. ადამიანს შეუძლია არ ცნოს დიადი გამჩენი, დაივიწყოს იგი და არ იცხოვროს იმ გზით, რომელიც მას ებრძანა. რის შედაგადაც იგი ამქვეყნად და საიქიოში წაგებულთა შორის არმოჩნდება.

ნამდვილი ჭეშმარიტებაა, რომ მადლიერება სარჩოს უწყვეტად მატებას, ხოლო უმადურობა სარჩოს შემცირებისა და განადგურების მიზეზი გახდება. ყურანში ვკითხულობთ: „და აკი, გაუწყათ ღმერთმა თქვენ: „თუ ნამდვილად მადლიერნი იქნებით, უთუოდ, წყალობას გიმრავლებთ და თუ უმადურნი იქნებით, უეჭველად, სასჯელი ჩემი საშინელია!“ (იბრაჰიმი, 14/7) აღნიშნული აიათი სწორედ ზემოაღნიშნული აშკარა გამოხატულებაა. გარდა ამისა, ყურანის სხვადასხვა აიათებსა და სურეებში ვრცლად არის მოცემული ისტორია, სადაც ზოგჯერ ამათუიმ ტომის, ზოგჯერ საზოგადოებისა თუ ხალხის სარჩოსადმი უმადურობის გამო გადაგვარების, ხელთარსებული ხელიდან გამოცდლისა და ღვთიური სასჯელის შესახებ გვამცნობს:

„და თქვენს განკარგულებაში მოგცათ ღამე და დღე, მზე და მთვარე. ვარსკვლავებიც მისი ნებით თქვენს განკარგულებაში არიან. უეჭველად, ამაში სასწაულია გონიერ ხალხთათვის“. (ნაჰლი, 16/112)

„ვფიცავ, სებეს მკვიდრთათვის მათი საცხოვრებელი სასწაული იყო: ორი ბაღი - მარჯვნივ და მარცხნივ. ჭამეთ თქვენი ღმერთის სარჩოთაგან და მადლიერნი იყავით მისი. მშვენიერი ქვეყანა და შემნდობი ღმერთი! მაგრამ ზურგი იქციეს და დავატეხეთ თავზე წყალდიდობა და შევუცვალეთ მათი ბაღები ორი სხვა ბაღით: ნახევრად გადაჭმული, მწარე და ეკლიანით... ასე მივუზღეთ იმისთვის, რომ უმადურნი იყვნენ. განა ვსჯით ვინმეს, თუ არა უმადურთ? (სებე, 34/15-17)

„მათ უამბე ორი კაცის მდგომარეობა. დავუდგინეთ ერთ მათგანს ორი ვენახი, გარშემოვლილი ხურმებით და მათ შორის ყანა. ორივე ბაღმა ნაყოფი გამოიღო და არაფერი არ მოჰკლებია, რამეთუ ჩვენ ამოვაჩქეფეთ მათ შორის მდინარე.

და მას სხვა სიმდიდრეც ჰქონდა და უთხრა თავის მეგობარს საუბარში: „მე უფრო მეტი ქონება მაქვს შენზე და უფრო მეტი შემწეებიც მყავს.“ შევიდა იგი თავის ბაღში, უსამართლოდ მოქცეული თავისი სულის მიმართ და თქვა: „არ მგონია, რომ ეს ოდესმე მოისპოსო. არ მგონია დადგეს ჟამი. და თუ მიბრუნებული ვიქნები ჩემს ღმერთთან, უსათუოდ ვპოვებ ამაზე უკეთესს დაბრუნებისთვისო!“

უთხრა მას თავისმა მეგობარმა საუბრის დროს: „ნუთუ უარყე, რომელმაც გაგაჩინა შენ მიწისგან, შემდეგ წყლისგან და მერე ჩამოგაყალიბა შენ კაცად? მაგრამ იგი ალლაჰი ჩემი ღმერთია. და მე არ დავუდგენ თანაზიარს ჩემს ღმერთს არავის. როცა შეხვედი შენს ბაღში, რატომ არ თქვი: „რაც ინება ალლაჰმა! არ არის ძალა, გარდა ალლაჰისა !“ რომც მხედავდე მე ნაკლები ვიყო შენზე ქონებითა და შვილებით.

ეგების ჩემმა ღმერთმა მე მიბოძოს უკეთესი შენს ბაღზე და მოავლინოს მასზე ზეციდან მრისხანება, მაშინ იქცევა იგი ფიქალ მიწად.

ან მიწამ შთანთქოს წყალი მისი, შემდეგ კი ველარასოდეს შეძლებ მის უკან დაბრუნებას! და განადგურდა მისი მოსავალი, მერე ხელების ფშვნეტა დაიწყო იქ გაღებული ჯაფის და ჩალეწილი ვაზის ფანჩატურის გამო, და ამბობდა: „ნეტა არავინ გამეხადა თანაზიარი ჩემი ღმერთისთვისო!“ მას ალლაჰის გარდა არავინ ჰყავდა, რომ დახმარებოდა. ხოლო თავად ვერაფერს გახდებოდა“. (ქეჰფი, 18/32-43)

ყურანი გვაცნობს ის რაც ყარუნს დაატყდა თავს, რამეთუ მან მისთვის ბოძებულით, წარმავალი ქონებითა და სიამაყით გათამამებულმა, დაივიწყა საიქიო და წყალობების მიმართ უმადურობა გამოავლინა.

უზენაესი ალლაჰი ბრძანებს:

„უეჭველად, ყარუნი მუსას ხალხთაგან იყო, მაგრამ ავიწროებდა მათ. ჩვენ ვუბოძეთ მას იმდენი განძი, რომ მათი გასაღებიც კი ემძიმებოდა რამდენიმე ღონიერ კაცს. მისმა ხალხმა უთხრა მას: „ნუ გათამამდები, რამეთუ ალლაჰს არ უყვარს მედიდურნი! იმით, რაც ალლაჰმა გიბოძა, ისწრაფე საიქიო სამყოფელისკენ, და არ დაივიწყო შენი წილი დედამიწაზე. სიკეთე აკეთე ისეთივე, როგორიც ალლაჰმა მოგმადლა და არ გაავრცელო უკეთურობა ქვეყნად, რამეთუ ალლაჰს არ უყვარს უკეთურნი! მიუგო: „ყოველივე ეს მებოძა იმ ცოდნის წყალობით, რომელიც გამაჩნია.“ განა არ იცოდა, რომ მის უწინ ალლაჰმა დაღუპა მთელი თაობები, რომლებიც მჯობნი იყვნენ მასზე თავიანთი ძლიერებითა და რიცხოვნობით? ცოდვილებს არ ჰკითხავენ მათი ცოდვების გამო! გამოვიდა თავის ხალხთან სამკაულებით. რომელთაც სურდათ ამქვეყნიური სიკეთენი, თქვეს: „ნეტავ, ჩვენც გვქონდეს ის, რაც ყარუნს ებოძა! უეჭველად, იგი უდიდესი წილის მფლობელია.“

და თქვეს, რომელთაც ებოძათ ცოდნა: „ვაი, თქვენ! ალლაჰის წყალობა უმჯობესი იქნება მათთვის, ვინც ირწმუნა და ჰქმნა სიკეთე. მაგრამ მას მხოლოდ მომთმენნი მიიღებენ! ჩვენ ვუბრძანეთ მიწას შთაენთქა ის თავის სახლიანად. არ ჰყავდა მას შემწეები, რომლებიც დაეხმარებოდნენ ალლაჰის წინაშე, და ვერც საკუთარ თავს გადაირჩენდა! ხოლო

ისინი, რომელნიც წინადღით ნატრობდნენ მის ადგილზე ყოფნას, მეორე დილით ამბობდნენ: „ვაი! ალლაჰი უზრდის ან უმცირებს სარჩოს თავის მსახურთაგან იმას, ინებებს ვისაც! მოწყალება რომ არ მოეღო ჩვენზე, უბრძანებდა შთავენთქეთ. ვაი! უეჭველად, ურწმუნონი ნეტარნი ვერ შეიქნებიან!“ სწორედ ის უკანასკნელი სამყოფელი დავუდგინეთ მათ, რომელთაც არ სურთ გამედიდურება დედამიწაზე და უკეთურობის გავრცელება. კეთილი აღსასრული მოელით მხოლოდ ღთისმოშიშებს! ის, ვინც წარსდგება კეთილი საქმეებით, მიიღებს უკეთესს, ხოლო რომელნიც წარსდგებიან ავი საქმეებით, მიიღებენ თავიანთი საქმეების საფასურს! (ყასასი, 28/76/84)

ალლაჰის შუამავალი ერთ-ერთ ჰადისში მოგვითხრობს ისტორიას, რომელიც შეეხება ისრაილისშვილთაგან სამ პიროვნების მდგომარეობას და გვაფრთხილებს, რომ ისინი ვინც თავის დროზე არ გადაიხდის ზექათს, დადგება დრო, როცა ისინი იმდენად გაღარიბდებიან, რომ ზექათის გადახდის შესაძლებლობა აღარ ექნებათ.

ისრაილთა შვილებს შორის სამი პიროვნება იყო, რომელთაგან ერთი კეთროვანი, ერთი მელოტი და ერთიც ბრმა გახლდათ. უზენაესმა ალლაჰმა მათი გამოცდა ინება და ანგელოზი მოუვლინა. ანგელოზმა მივიდა რა კეთროვანთან ჰკითხა: „რა არის ის, რაც ყველაზე მეტად გსურს“? მიუგო: „მინდა მქონეს ლამაზი ფერი, ლამაზი კანი და ჩემი გამოჩენა ადამიანებში ზიზღს არ იწვევდეს“. მაშინ ანგელოზმა მას ხელი გადაუსვა, კეთროვნებისგან განკურნა და უმშვენიერესი კანის ფერი დაუბრუნა. ანგელოზმა ამჯერად კითხა: „მითხარი, რა არის ქონება, რაც ყველაზე მეტად გსურდეს“. –მიუგო: „ყველაზე მეტად აქლემი მჭირდება“. მაშინ ანგელოზმა მას ათი თვის ფეხმძიმე აქლემი არგუნა“. ამის შემდეგ ანგელოზმა დალოცა იგი „ალლაჰმა ეს აქლემი შენთვის ბარაქიანი ამყოფოსო“ და წავიდა.

ამის შემდეგ ანგელოზი მელოტთან მივიდა და ჰკითხა: „რა არის ის, რაც ყველაზე მეტად გსურს“? მიუგო: „მინდა მქონეს ლამაზი თმა და ეს შეუხედაობა, რის გამოც ადამიანები არ მეკარებიან, განმშორდეს“. მაშინ ანგელოზმა მას ხელი გადა-

უსვა და თმაც ამოუვიდა. ამჯერად ანგელოზმა მასაც ჰკითხა: „მითხარი, რა არის ქონება, რაც ყველაზე მეტად გსურდეს“. –მიუგო: „ყველაზე მეტად ძროხა მჭირდება“. მაშინ ანგელოზმა მას ფეხმძიმე ძროხა არგუნა“. ამის შემდეგ ანგელოზმა დალოცა იგი „ალლაჰმა ეს ძროხა შენთვის ბარაქიანი ამყოფოსო“ და მესამე პიროვნებასთან - ბრმასთან წავიდა.

ანგელოზი ბოლოს ბრმასთან მივიდა და ჰკითხა: „რა არის ის, რაც ყველაზე მეტად გსურს“? მიუგო: „ყველაზე მეტაც მინდა უზენაესმა ალლაჰმა მხედველობა დამიბრუნოს, და ძალიან მინდა ადამიანები დავინახო. მაშინ ანგელოზმა მასაც გადაუსვა ხელი და უზენაესმა ალლაჰმა ბრმას მხედველობა დაუბრუნა. ანგელოზმა ამჯერად ბრმას ჰკითხა თუ ყველაზე მეტად რის ქონებას ისურვებდა. ბრმამ მიუგო: „ცხვარის ყოლას ვისურვებდი. მაშინ ანგელოზმა მას ფეხმძიმე ცხვარი არგუნა“. ამირგად აქლემმა და ძროხამ შვილები მოიყვანეს, ცხვარმა კრავები იმშობიარა და ასე, საბოლოო ჯამში ერთი მათგანი აქლემების ჯოგის, მეორე ძროხის ნახირის, ხოლო მესამეს ცხვრის ფარის პატრონები გახდნენ.

აღნიშნული მოვლენიდან რამდენიმე ხნის შემდეგ ანგელოზი კეთროვნის ფორმაში და თხოვა: „ღარიბი ვარ, არ მაქვს საშუალება მოგზაურობის გაგრძელების, იქ სადაც წასვლას ვაპირებ, ჯერ უზენაესი ალლაჰის, ხოლო შემდეგ მხოლოდ შენი დახმარებით თუ შევძლებ მიღწევას. ძალიან გთხოვ, რომ დაწყებული მოგზაურობის დასრულებისთვის ერთი აქლემით დამეხმარო. ყოფილმა კეთროვანმა კაცმა მიუგო: „უამრავი ადგილია სადაც ქონების მიცემა შეიძლება“. მაშინ ანგელოზმა უთხრა: „საიდღანაც მეცნობი შენ“. განა შენ ის ალლაჰის მიერ შედეგში გამდიდრებული ღარიბი და კეთროვანი არა ხარ, ვისი დანახვაც არავის უნდოდა? მაშინ კაცმა იუარა და უთხრა: „არა, მე ეს ქონება ჩემი წინაპრებისგან მემკვიდრეობით მერგო“. ამ დროს ანგელოზმა უთხრა: „თუკი შენ ცრუობ, ღმერთმა ძველ ფორმაში დაგაბრუნოს“.

ანგელოზი ამჯერად მელოტის ძველ ფორმაში შევიდა და მასთან მივიდა. მასაც იგივე თხოვნით მიმართა, როგორც

მანამდე კეთროვანს. ყოფილმა მელოტმა ანალოგიური პასუხი გასცა, როგორც კეთროვანმა. ანგელოზმა მასაც უთხრა: „თუკი შენ ცრუობ, ღმერთმა ძველ ფორმაში დაგაბრუნოს“.

ბოლოს ანგელოზი ბრმის ფორმაში შევიდა, მასთან მივიდა თხოვა: „ღარიბი ვარ, არ მაქვს საშუალება მოგზაურობის გაგრძელების, იქ სადაც წასვლას ვაპირებ, ჯერ უზენაესი ალლაჰის, ხოლო შემდეგ მხოლოდ შენი დახმარებით თუ შევძლებ მიღწევას. ღვთისგულისთვის, რომელმაც შენ მხედველობა დაგიბრუნა დაწყებული მოგზაურობის დასრულებისთვის ერთი ცხვარით დამეხმარო და გზის გაგრძელება შევძლო.

მაშინ ბრმამ მიუგო: „მე მართლაც ბრმა ვიყავი, ღმერთმა მხედველობა მაჩუქა. მიბრძანდი, წაიყვანე რამდენიც გენებოს და დატოვე რამდენსაც ისურვებ. ვფიცავ უზენაესი ალლაჰის სახელს, რომ დღეს არავითარ სირთულეს შეგიქმნი იმაში, რამდენის წაყვანასაც ისურვებ. მაშინ ანგელოზმა უთხრა: „ქონება შენი იყოს, ეს შენთვის მხოლოდ გამოცდა იყო, ალლაჰი შენგან კმაყოფილია, ხოლო შენი მეგობრებითვის განრისხებული“. ამ სიტყვების შემდეგ ანგელოზი გაუჩინარდა. (ბუხარი, ენბია, 51; მუსლიმი, ზუჰდი, 10)

ისინი ვინც უზენაესი ალლაჰის ბოძებულ მატერიალურ და სულიერ წყალობების სანაცვლოდ მადლიერებას არ გამოხატავენ და პირიქით გამოავლენენ უმადურობას, არ გასცემენ ქონებისა და სიმდიდრის ზექათს, რომელიც ღარიბი და უპოვარი ადამიანების უფლებაა, საიქიო სამყოფელში მძიმე და აუტანელი სასჯელი ელოდებათ. აღნიშნულთან დაკავშირებით ყურანში ვკითხულობთ:

„ჰეი, თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! უეჭველად, უმეტესი მწიგნობარი და ბერი უსამართლოდ მიირთმევენ ხალხის ქონებასა და აცდუნებენ მათ ალლაჰის გზიდან. და რომელნიც აგროვებენ ოქროსა და ვერცხლს, ხოლო არ გაიღებენ მას ალლაჰის გზაზე, მაშინ ამცნე მათ მწარე სასჯელი! იმ დღეს გაშანთებული იქნება ჯოჯოხეთის ცეცხლზე მათი ზედაპირი, გაახურებენ და დაიდაღება შუბლნი მათი, და

ფერდნი მათნი, და ზურგნი მათნი: აი, ესაა, რაც მოაგროვეთ თქვენი სულისთვის. მაშ, იგემეთ ის, რასაც აგროვებდით“! (თევბე, 9/34-35)

„და ნუ ეგონებათ იმათ, რომელნიც ძუნწნი არიან ალლაჰის ნაბოძები მოწყალების გაღებისას, რომ ეს სიკეთეა (კარგია) მათთვის. არამც და არამც! ეს უარესია (ცუდია) მათთვის. რაც ენანებოდათ,ის შემოეხვევათ (წაეჭირებათ) ყელზე აღდგომის დღეს; და ალლაჰისაა მემკვიდრეობა ცათა და ქვეყნის, და ალლაჰი უწყის, რასაც აკეთებთ“! (ალი ღიმრანი, 3/180)

ისლამის სწავლულები, როგორც ზემოთ აიათშია მოცემული, დაგროვებული ქონებასა და სიმდიდრეს, რომლის ზექათი არ გაიცემა, განძად აფასებენ. ხოლო რაც შეეხება ქონებას, რომლის ზექათის გადახდაც ხდება, განურჩევლად მისი სახეობისა, განძად არ არის შეფასებული. გადმოცემის თანახმად, როდესაც აღნიშნული აიათები გარმოევლინა, თანამიმდევრები საშინელმა შიშმა შეიპყრო. იმის გამო, რომ მათი ქონება განძად იქნა შეფასებული, მას მომავალ თაობებს ვერ დაუტოვებდნენ. როდესაც ომერმა (რ.ა.) მოცემული მძიმე ვითარების შესახებ ალლაჰის შუამავალს ამცნო მან (ს.ა.ს.) მიუგო: „უზენაესმა ალლაჰმა იმისათვის, რომ ქონების დარჩენილი ნაწილი სუფთა დ ალალი იქმნას, ზექათი სავალდებულოდ დაგიდგინათ“. ამ სიტყვებით შუამავალმა (ს.ა.ს.) მათი შიშიც ჩააცხრო და ზემოთ ხსენებული აიათის სწორად გაგება უზრუნველჰყო.

ალლაჰის შუამავალი (ს.ა.ს.) ერთ-ერთ ჰადისში ასე ბრძანებს: „აქლემი, რომლის მფლობელი ზექათს არ გადაიხდის, (განკითხვის დღეს) კარგად გამოკვებილ, ძალამოკრეფილ და ღონიერ მდგომარეობაში პატრონს თავს წაადგება და მას ფეხქვეშ გათელავს. ანალოგიურად ცხვარი, რომლის ზექათსაც არ გადაიხდის მეპატრონე, საკამოდ მსუქან და ძლიერ მდგომარეობაში პატრონთან მივა და მას ფრჩხილებით დაასახიჩრებს, რქებით გათელავს. ალლაჰის შუამავალი ჰადისის გაგრძელებაში ბრძანებს რომ: „აღნიშნული ცხოველების უფლებათა შორის ერთ-ერთი წყაროს თავთან რძის გამოწველა და გზაზე გამვლელ ღარიბებისთვის დანაწილებაა. ფრთიხალად იყავით არცერთმა თქვენგანმა

განკითხვის დღეს მხრებზე არ აიკიდოთ ცხვარი, რომლის ზექათი არ გექნებათ გადახდილი, მოთქმით, გოდებით, არ გაიძახოდეთ „მუჰამმედ“ და ჩემთან არ მოხვიდეთ დახმარების სათხოვნელად. მე მისთვის, ღვთის წინაშე რაიმე დახმარების ძალა არ შემწევს. მე მხოლოდ ვიტყვი, რომ „შენ ჭეშმარიტად გამცნე“.

ისინი ვინც სარჩოსადმი მადლიერების სანაცვლოდ ქონებიდან და სიმდიდრიდან ზექათს გაცემენ, ამქვეყნად და საიქიოში მსგავსი სირთულის წინაშე არ აღმოჩნდებიან. ისინი ბედნიერები იქნებიან. ყურანი მათ შესახებ ბრძანებს:

„არ იქმს ალლაჰი დაგსაჯოთ თქვენ, თუ იქნებით მადლიერნი და ირწმუნებთ! და ალლაჰი ხომ მომმადლებელია, ყოვლისმცოდნეა! (ნისა, 4/147)

ზოგადი შეფასება და დასკვნა

ზექათის უმთავრესი ფუნქცია, ადამიანის მიერ შეძენილი ამქვეყნიური ქონების ალლაჰის გზაზე გახარჯვაა, რასაც შემდგომში საიქიო კაპატილად აქცევს. აი, სწორედ ეს არის ღირსეული მოგება

ზექათი, რომელიც ისლამის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს წარმოადგენს, არათუ მატერიალურად შეძლებული მორწმუნის მოხალისეობრივი დახმარება, არამედ ეს ფინანსური ვალდებულება, რომლის სისრულეში მოყვანა მორწმუნის ვალდებულებას წარმოადგენს. ზექათი, ეს არის ღარიბთა უფლება, რომელიც განსაზღვრული რაოდენობის ქონებაა და ამანათის სახით იმ პიროვნების კუთვნილებაშია, ვინც რელიგიურად მდიდრად ითვლება .

ზექათი თავდაპირველად მონა-მსახურებრივი ფაქტორია. როგორც ყურანიდან, ასევე ალლაჰის შუამავლის (ს.ა.ს.) სუნნეთიდან ირკვევა, ზექათი, დიადი გამჩენის მონა-მსახურისადმი ერთ-ერთი ბრძანება და რელიგიის მთავარი ბურჯია. ზექათი უზენაესი ალლაჰის მიერ ბოძებული ქონებისა და სიმდიდრისადმი გამოხატული მადლიერებაა. ამრიგად მონა-მსახური ზექათის გაცემით, ქონების ჭეშმარიტ მფლობელისადმი მადლიერების მოვალეობა მოხდილად ეთვლება.

ზექათი, პიროვნებებს იცავს რა ქონებისადამი უზადო ჟინისა თუ სიძუნის სენისგან, მას ხელგაშლილობის სათნოებით აჯილდოებს. ზექათი ადამიანის გულს სულიერად, ხოლო ქონებას ღარიბ-უპოვართა უფლებებისგან განწმენდს. როდესაც მატერიალურად შეძლებული მორწმუნე გასცემს ზექათს, არამარტო ღარიბთა გულებს მოიგებს, არამედ იგი საკუთარ გულს ამქვეყნიური ქონებისა და სიმდიდრის დაუოკებელი ჟინისგან დაიცავს, რაც ამქვეყნიურ და საიქიო წონასორობის შენარჩუნებაში დაეხმარება.

ზექათი, ეს არის სოციალური თანადგომის ძირითადი საშუალება. ქველმოქმედებისა და გაზიარების ზნეობით აღსავ-

სე მორწმუნეები არ ცხოვრობენ მხოლოდ საკუთარი თავის საკეთილდღეოდ და ისინი სხვების კეთილდღეობაზეც არანაკლებ ზრუნავენ. ხელთარსებულ ქონებას, როგორც სავალდებულო წესით, ასევე მოწყალებისა და მოხალისეობრივი თანადგომის სახით ღარიბ მორწმუნეებს გაუყოფენ, რითაც მათ შორის მეგობრული, ნდობითი და გულისხმიერებით აღსავსე კავშირები ყალიბდება. რამეთუ მუსლიმი არ იტყვის, რომ „მე მაძღარი ვარ და არ მაინტერებს სხვები როგორ იქნებიან“. ისინი იწყებენ რა უახლოესი ღარიბი ნათესავების დახმარებით, წრე თანდათან ფართოვდება და მოიცავს საზოგადოების ნებისმიერი ფენის შიმშილი მათ გულისტკივილად იქცევა. ზექათის წყალობით ისლამური საზოგადოების შეძლებული ფენა, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი უპოვრების ქონებრივ თანადგომას აღმოუჩენენ, რითაც მათ შორის სიყვარულისა და პატივისცემის კავშირები კიდევ უფრო მყარდება.

ზექათს, ფითრას, მოწყალებასა და საქველმოქმედო ორგანიზაციების ფუნქციონირებას შეუძლია საზოგადოებაში შიმშილისა და სიღარიბის პრობლემა მეტწილად გადაჭრას. ამრიგად განსხვავებულ საზოგადობრივ ფენებს შორის სიძულვილის, გაუტანლობის, შურისა და მტრობის ადგილს, ურთიერთსიყვარული, პატივისცემა და სიმშვიდე დაიკავებს. წინაღდგება კაცთა კვლას, ქურდობას, ყაჩაღობას, ძარცვას, ადამიანის ღირსების შემლახველ ნეგატიურ დამოკიდებულებებსა და სხვა. შემცირდება ადამიანისა და ქონების მიმართ ჩადენილი დანაშაულების რიცხვი. ზექათის წყალობით საზოგადოებაში სიცოცხლის, ქონების,

შთამომავლობისა და ქონების უსაფრთხოება დაცული იქნება.

ზექათი, ქონებას განწმენდს და მას ბარაქიანს გახდის. ამრიგად, ქონება არ დარჩება მხოლოდ მდიდართა ხელთ არსებულ შესაძლებლობად და იგი ღარიბ თუ უპოვართა სასარგებლოდ გამოიყენება, რაც ღარიბებს წარმოუდგენელ სიხარულს შესძენს. ზექათი ადამიანებს ყიდვისუნარიანს გახდის, რაც ეკონომიკურ ცხოვრებას აქტიურ ფორმაში მოიყვანს. გამომდინარე აქედან, კი შეიქნება სამუშაო ადგილები, დასაქმნდება ხალხი და ეს უკანასკნელი კი წაახალისებს წარმოებით სამუშაოებს.

ისლამის ზენობრივი პრინციპის თანახმად, „გამცემი ხელი, ამღებ ხელზე უმჯობესია“. ნებისმიერ მორწმუნეს, ვისაც სურვილი გააჩნია სულიერად კიდევ უფრო ამაღლდეს, ზექათის ცნობიერების წყალობით შეეცდება იყოს მწარმოებელი და ალალი ლუკმის მოგებით დაკავებული. ამ თვალსაზრისით ზექათი, უპოვრებს არათუ მზამზარეული სარჩოს მიღებისა და სიზარმაცისკენ უბიძგებს; პირიქით ახალისებს შრომა-გარჯის, მოგებისა და ქველმოქმედების გაღების მსურველი მორწმუნეებად ჩამოყალიბდნენ.

ისე როგორც ჩვენი სხეული ეკუთვნის ჭეშმარიტ გამჩენს, ასევე მასვე ეკუთვნის ქონება სიმდიდრე რაც რამ ჩვენ გვებოძა. მისი ნებაა ბოძებული სარჩო და წყალობები თავისივე გზაზე გავიღოთ. ალალი შრომით მოგებას გვიბრძანებს, მფლანგველობისა და თვალთმაქცობისგან განრიდებას, ღარიბებზე დახმარებას და მფარველობისკენ მოგვიწოდებს.

ზექათის უმთავრესი ფუნქცია, ადამიანის მიერ შეძენილი ამქვეყნიური ქონების ალლაჰის გზაზე გახარჯვაა, რასაც შემდგომში საიქიო კაპატილად აქცევს.

აი, სწორედ ეს არის ღირსეული მოგება!

წყაროები

აჰმედ ბ. ჰანბელი. (241/855) ელ მუსნედ, I-IV.
აქარი, მუჰლისი; ხალხთა განადგურების მიზეზები და ფორმები, რომლებიც ყურანშია მოცემული. მუსბე, სტამბოლი, 1986
მომხმარებლის მორალი და ზღვარსგადასულობა. რელიგიის საქმეთა სამინისტროს გამომცემლობა. ანკარა, 2008.
აქიუზი, ვეჯდი, ზექათი, გამომცემლობა კვალი. სტამბოლი 2006.
ავდე, ჰალიდ აბდულქადირი, ეთ-თეშრულ- მალი. ფილ ისლამი. ელ-მექთუბულ მისრი ელ-ჰადისი. ქაირო.
ბეშერი, ფარუქი, სოციალური უსაფრთხოება ისლამში. რელიგიის საქმეთა სამინისტროს გამომცემლობა. ანკარა, 1987.
ჩაფრა, მ. უმერი. ისლამი და ეკონომიკა. გამოწვევა, ისლამის დაფუძნება. გაერთიანებული სამეფო. 1992.
დონდურენი, ჰამდი, ისლამის ცოდნის წყარო, მტკიცებულებებით. გამომცემლობა ერქამი. სტამბოლი.
ებუ დავუდი, სულეიმან ბ. ეშას ეს-სიჯისტანი. (275/889) ეს-სუნენი. IIV, ჰზ. მუჰამმედ მუჰიდდინ აბდულჰამიდ ელ-მექთუბულ ისლამ. სტამბოლი.
ებუ უბეიდ ქასიმ ბ. სალამი. კითაბულ-ემვალი. მუჰამმედ ელ-იმარე. დარუშ-შურუქი. ბეირუთი 1989.
ებუ იუსუფი, კითაბულ-ჰარაჯ. ბეირუთი, 1302.
ებუს-სუდ. მაჰმუთ. ისლამური ეკონომიკის საფუძვლები. (ალი ოზქანი) გამომცემლობა ფათიფი. ფათიჰი, სტამბოლი, 1969.
ედ -დარიმი, აბდულლაჰ ბ. აბდურრაჰმანი. (255/868) ეს -სუნენი. I-II, ფევვაზ აჰმედ ზუმერლი-ჰალიდ ეს-სებ ელ-ალიმი. დარულ-ქუთუბულ არაბი. ბეირუთი 1987.
ექრემ ჰანი. მუჰამმედ, ისლამის ეკონომიკის ძირითადი ღირებულებები. (ომერ დინჩერი) გამომცემლობა ქაიჰანი. სტამბოლი, 1988.
ელ-ამმარი, ალი მუჰამმედი, ეზ-ზექათ ფელსეფეთუჰა ვე აჰქამუჰა. რაბითათუი-ალემი-ისლამი. მექა, 1406)
ელ-ბაიჰაქი, ებუ ბექრ, აჰმედ ბ. ელ ჰუსეინი (458-1065)
შუაიბულ-იმან, IVII, მუჰამმედ ეს-საიდი ბესუინი ზაღლული. დარულ ქუთუბულ -ილმიე. ბეირუთი 1410.
იბნ ჰანბელი, აჰმედ I-X ელ-მუსნედი, გამომცემლობა ჩაღრი. სტამბოლი 1994
ბუჰარი, მუჰამმედ ბ. ისმაილ. ელ ჯემიუსსაჰიჰ. (256/869), მოამზადა სალიჰ ბ. აბდულაზიზმა. დარუსსელამ. არაბეთი. 1979
იბს სადი, მუჰამმედ (ვ. 230/844) ეთ-თაბაქათულ-ქუბრა. 2001 დარუ სადირ, ბეირუთი.
ქარამანი, ჰაირეთთინ, "ჯუმა" დია, 2007
ქისაქურექ, ნაჯიფ ფაზილი, ჩილე, გამომცემლობა ბ. დ. სტამბოლი 2002.
ელ ჯამიუს-საჰიჰ. I-III, გამომცემლობა ჩაღრი. სტამბოლი 1992.
ენ-ნედვი, ებულ ჰასენ ალი ელ ჰასენი, ეს-სირეთუნ-ნებევიე. (შუამავალი (ს.ა.ვ) მორალი და ცხოვრება) თარგმნა: ჭოსმან ქესქიოღლუ, ისლამი ნეშრიათი, სტამბოლი 1978

ქოქსალი, მ. ასიმი, ჰზ. მუჰამმედი (ს.ა.ვ) და ისლამი. გამომცემლობა ირფანი. სტამბოლი 1994
მევლანა, შიბლი, ასრი საადეთ, (ისლამის ისტორია) , თარგმნა: ომერ რიზა დოღრული. გამომცემლობა ესერი. სტამბოლი 2004.
მუბარექფური, მუჰამმედ ბდურრაჰმან ბ. აბდურრაჰიმ. თუჰფეთულ აჰვეზი ბიშერჰი ჯამიით-თირმიზი. 2009
აბდულვაჰჰაბ ბდულლატიფ, დარულ ფიქრ. ბეირუთი
ელ მუნავი, აბდურრაუფ, (ვ. 1031/1622) ფეიზულ ქადირი, შერჰულ ჯამიის-საღირ. I-VI, ეგვიპტე 1403
მუსლიმი, ებულ ჰუსეინ იბნულ ჰაჯჯაჯ ელ ქუშეირი 2000
ეთ-თაბერანი, სულეიმან ბ. აჰმედი (360/970) ელ მუჯემულ ქებირ. I-XXV. ჰამდი აბდულმეჯიდ ეს -სელეფი. მექთებეთულ ულუმ ველ-ჰიქემ, მუსული, 1983.
ეთ-თაბერი, მუჰამმედ, ბ. ჯერირი, (310/922) თეფსირი. (ჯამიულ-ბეიანი ფი თევილი-ყურან) I-XXIV, ა. მუჰამმედ შაქირი, მუესსეთეთურ-რუსალე. ბეირუთი 2000.
ეთ-თირმიზი, ებუ ისა მუჰამმედ ბ. ისა. (279/892) ელ-ჯამიუს-საჰიჰი, I-V აჰმედ მუჰამმედ შაქირი, დარულ-ქუთბულ ილმიე, ბეირუთი 1987.
ეზჰერლი, ისმაილი, ზექათი, რელიგიის საქმეთა სამინისტროს გამომცემლობა, ანკარა 1985.
გალვაში, აჰმედი, ისლამის სულიერი მხარე. (ექმედდინ იჰსანი) გამომცემლობა აილდიზი, ანკარა 1977.
გეჩით მ. სალიჰი, ეკონომიკა და რწმენა. დიანეთის ფონდი. ანკარა 2009.
ჰეიეთი, რელიგიური ტერმინები ლექსიკონი, რელიგის საქმეთა სამინისტროს გამომცემლობა, ანკარა 2006.
ჰუდი, მუჰამმედ სალიჰი, ენ-ნიზამულ ალემ ლიზ-ზექათ. რიად, 1427/2006
იბნ ჰანბელი, აჰმედ (ვ. 354/965) ელ-მუსნედი, გამომცემლობა ჩაღრი. სტამბოლი 1993
იბს სადი, მუჰამმედ (ვ. 273/887) ეთ-თაბაქათულ-ქუბრა. I-II, დარუ სადირ, ბეირუთი.1994
ქარამანი, ჰაირეთთინ, "ჯუმა" დია,
ქისაქურექ, ნაჯიფ ფაზილი, ჩილე, გამომცემლობა ბ. დ. სტამბოლი 1973.
ქოქსალი, მ. ასიმი, ჰზ. მუჰამმედი (ს.ა.ვ) და ისლამი. გამომცემლობა ირფანი. სტამბოლი 1998
ქელლექი. ასრი საადეთ, "მუელლეფეი ყულუბ" XXXI, 475-476,
ქარაქაში, ვეჰბი, რატომ ზექათი, გამომცემლობა თიმაში. სტამბოლი 2002.
მუბარექფური, მუჰამმედ ბდურრაჰმან ბ. აბდურრაჰიმ. თუჰფეთულ აჰვეზი ბიშერჰი ჯამიით-თირმიზი. 1979.
აბდულვაჰჰაბ ბდულლატიფ, I-II, დარულ ფიქრ. ბეირუთი. 1969
ელ მუნავი, აბდურრაუფ, ფეიზულ ქადირი, შერჰულ ჯამიის-საღირ., ეგვიპტე 1995

მუსლიმი, ებულ ჰუსეინ იბნულ ჰაჯჯაჯ ელ ქუშეირი.
ელ ჯამიუს-საჰიჰ, გამომცემლობა ჩაღრი. სტამბოლი 2008.
ენ-ნედვი, ებულ ჰასენ ალი ელ ჰასენი, ეს-სირეთუნ-ნებევიე. (შუამავალი (ს.ა.ვ) მორალი და ცხოვრება) თარგმნა: ჭსმან ქესქიოღლუ, ისლამი ნეშრიათი, სტამბოლი 1980.
მეშჰურ, ნიმეთ აბდულლატიფი. ენ-ნიზამულ ალემ ლიზ-ზექათ. რიად, ბეირუთი 1993
მევდუდი, ებულ ალა, ისლამის მიხედვით ეკონომიკის პრინციპები. გამომცემლობა ნიდა. სტამბოლი, 1968.
მევლანა ჯალალედდინ რუმი. (671/ 1273) მესნევი, I-IV, თარგმნა ველედ იზბუდაქმა. გამომცემლობა მები. სტამბოლი, 1953.
მუსლიმი, იბნულ ჰაჯჯაჯი. ელ-ქუშეირი. (261/875) ელ ჯამიუს-საჰიჰ. I-IX. ჰზ. მუჰამმედი. ფუად აბდულბაქი. დარულ ქუთუბულ ილმიე. ბეირუთი, 1995.
ოზექი. ალი- ჰაირეთთინ ქარამანი. მ. აქიფ აიდინი. ჯეჰმედ ერქალი, ზექათი და ღვთისმსახურება. ისლამის მეცნიერებათ აკადემიის გამომცემლობა. სტამბოლი 1984.
ოზექი. ალი, თურქეთის ზექათის პოტენციალი. ისლამის მეცნიერებათა აკადემიის ფონდის გამომცემლობა. სტამბოლი. 1987.
ოზელი, ჯუსტაფა, მუსლიმ და ეკონომიკა, გამომცემლობა კვალი. სტამბოლი, 1997.
პაკსუ. მეჰმედი. ისლამის ცოდნის წყარო განმარტებებითურთ. გამომცემლობა ნესილი. სტამბოლი, 1998.
რაფიი. ჯუსტაფა, სოციალური წესრიგი ისლამში. (ბათურ აჰსენი) გამომცემლობა ფიქირი. სტამბოლი, 1975.
სიდდიქი, მუჰამმედ ნეჯათულლაჰი, ეკონომიკური აზროვნება ისლამში. (გამომცემლობა იაშარი) გამომცემლობა "ბირ" სტამბოლი 1984.
სიდდიქი, მუჰამმედ ნეჯათულლაჰი, ეკონომიკური აზროვნება ისლამში. გაერთიანებული სამეფო. 1996.
სიდდიქი, სელიმი, ა, საქონლის წამოების პრინციპები. (რასიმ ოზდენორენი) გამომცემლობა ფიქირი, სტამბოლი, 1972.
შენთურქი, მ.ჰიქმეთი, კითხვა-პასუხის მიხედვით ზექათი, გამომცემლობა რეჰბერი. სტამბოლი, 2006.
შეიჰ სადი შირაზი, ბოსტან, ქილისელი რიფათ ბილგე. გამომცემლობა მწიგნობარი. შპს. სტამბოლი, 1958.
შიმშექი, უმუთი, ზექათი აიათების მიხედვით. გამომცემლობა ზაფერი. სტამბოლი, 2006.
იავუზი, იუნუს ვეჰბი, ზექათი ისლამში. გამომცემლობა ფეიზი, 1972.
იაზგანი, თურანი, ზექათI სოციალური უსაფრთხოების თვალსაზრისით. თურქეთის დიანეთის ფონდი. ანკარა. 1995.
იენიჩერი. ჯელალი. ისლამის ეკონომიკის საფუძვლები. გამომცემლობა შამილი. სტამბოლი 1980.
ზაიმი, საბაჰათთინი, ისლამი, ადამიანი და ეკონომიკა. გამომცემლობა ახალი აზია. სტამბოლი, 1992.